

1964



საქართველოს
თეატრალური
სამსახურის
გაზეთი

1 1964



ს თ ს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
მ ო ა მ ბ ე

იანვარი, თებერვალი, მარტი
№ 1 (27)

19 თბილისი 64



რედაქტორი—**ლელა ანთაძე**

პ. მგ. მდივანი **ლილი ლომთათიძე**

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,
ნ. გურაბანიძე, ო. ვეაძე, დ. მჭედლიძე,
ბ. ქლენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.



იუნესკოსთან არსებული თეატრების საერთაშორისო ინსტიტუტის ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით 27 მარტი გამოცხადებულია თეატრის საერთაშორისო დღედ.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დადგენილებით ეს დღე ჩვენში ტარდება საბჭოთა თეატრების ძალთა დათვალეობის, მათი მხატვრული და იდეური დონის შემოწმების, საბჭოთა თეატრის საერთაშორისო პრესტიჟისა და გავლენის ამაღლებისათვის ბრძოლის ნიშნით.

ჩვენს დროში მნიშვნელოვნად გაიზარდა თეატრალური ხელოვნების როლი. კომუნისტების გაწეული მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მძლავრი იარაღი ემსახურება ახალი საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებას, ხალხის მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

საბჭოთა თეატრის მოღვაწეები თავიანთი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობენ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ქვეყნების ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის მიზანს ისახავს იმოღვაწეოს მშვიდობის საკეთილდღეოდ. იგი ხალხებს დაეხმარება ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაში, თეატრალურ მოღვაწეებს ხელს შეუწყობს ურთიერთგამოცდილებათა გაზიარებაში.

ამჟამად ეს ინსტიტუტი მსოფლიოს უკვე 50 ქვეყანას აერთიანებს. მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულია „ეროვნებათა თეატრი“, რომელიც ყოველწლიურად, მარტიდან ივნისამდე აჯამებს თეატრალურ სეზონს, უჩვენებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის თეატრალური კოლექტივების საუკეთესო სპექტაკლებს. „ეროვნებათა თეატრის“ სეზონში მონაწილეობას საბჭოთა თეატრებიც იღებენ. მაგალითად, 1958 წელს მონაწილეობა მიიღო მოსკოვის სახმანო თეატრმა, 1959 წელს — ლენინგრადის პუშკინის სახელობის დრამატულმა თეატრმა, 1961 წელს — ვახტანგოვის სახელობის თეატრმა, 1962 წელს — მცირე თეატრმა, ხოლო შარშან — სატირის თეატრმა.

„ეროვნებათა თეატრის“ საშუალებით მტკიცდება საბჭოთა თეატრის კავშირი მსოფლიოს თეატრებთან. თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საზღვარგარეთელ მოღვაწეებს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს რეალისტური ხელოვნებისათვის, სოციალისტური რეალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნება ვითარდება როგორც მრავალეროვნული ხელოვნება. მან საზღვრები როდი იცის. მოკავშირე რესპუბლიკათა თეატრებში ერთნაირი გატაცებითა და სიყვარულით იდგმება რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ქართული, აზერბაიჯანული, სომხური, ლატვიური, უზბეკური და სხვა მოძმე ხალხების დრამატურგთა ნაწარმოებები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ლიტერატურასა და ხელოვნებას უდიდეს ყურადღებას აქცევენ. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა და მხატვრული ინტელექციის წარმომადგენელთა შეხვედრა ტრადიციად გადაიქცა. ამჟამად საბჭოთა თეატრის ყველა მუშაკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ლიტერატურასა და ხელოვნების მოღვაწეებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრიდან ერთი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საბჭოთა კულტურის ყველა ფრონტზე. კერძოდ, ჩვენთვის, თეატრის მოღვაწეთათვის, დიდად საგულისხმო საკითხია თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა. ამ მხრივ ჩვენმა თეატრებმა საგრძნობლად გაამაჩვილეს ყურადღება თანამედროვეობის ამახვილებას პიესების განხორციელებისადმი. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ის დიდი მოთხოვნაა, რომელსაც თანამედროვეობა უყენებს თეატრს, დრამატურგიას, სავსებით დაკმაყოფილებელია, მაგრამ

უდავოა, რომ ჩვენ დღეს უკვე მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს.

ჩვენი თეატრების მხატვრულ აღმავლობას დიდად უწყობს ხელს შემოქმედებითი კადრების ზრდა. ამ ხნის განმავლობაში თბილისისა და პერიფერიების თეატრებში გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები, რომლებმაც მაყურებელთა ყურადღება დაიმსახურეს. განსაკუთრებით საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ის, რომ ბოლო დროს დაწინაურდნენ უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორები. თეატრის ხელმძღვანელებმა შემდგომში რეპერტუარის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ იმ გარემოებას, რომ ხშირად თეატრები ისეთ პიესებს სდგამენ, რომელთა განსახიერებას არავითარი გამართლება არა აქვს. თეატრებს ისიც უნდა ვუსაყვიდლოთ, რომ თითქმის სავსებით მივიწყებულია ჩვენი კლასიკური დრამატურგია. ძალიან იშვიათად იღვმება ის პიესებიც, რომლებმაც სახელი და დიდება შეუქმნა საბჭოთა თეატრს. ეს ხარვეზი დროზე უნდა შევავსოთ.

საგრძობლად გაიზარდა სახალხო თეატრების ქსელი. მათმა რიცხვმა ოცდაექვსმეტს მიაღწია. ეს თეატრები საინტერესო მუშაობას ეწევიან. მათ ძირითადად გამოცდილი ოსტატები უდგანან სათავეში, მაგრამ სახალხო თეატრებს ჩვენგან მეტი ყურადღება და დახმარება ესაჭიროება. პროფესიულ-

მა კოლექტივებმა მათთან მჭიდრო და საჭირო კავშირი უნდა განამტკიცონ.

დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს რუსთაველის სახელობის პრემიის დაწესება. უდავოდ, ეს დიდ სტიმულს მისცემს ჩვენს მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრისა და კინემატოგრაფიის მოღვაწეებს, რათა ფართოდ გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობა.

დიდა საბჭოთა თეატრის აღმზრდელობითი როლი. საბჭოთა მსახიობი სულ სხვა ტიპის მსახიობია. ის არის მსახიობი—ტრიბუნი, მსახიობი—მოქალაქე, ის მონაწილეობს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და მით უფრო დიდია მისი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი პასუხისმგებლობა.

საბჭოთა თეატრის მსოფლიო აღიარება განისაზღვრება მისი კეთილშობილური, ჰუმანური იდეალებით, უკეთესი მერმეისისადმი რწმენით. საბჭოთა თეატრის კამუნისტური იდეურობა, რომელიც შერწყმულია ხალხურობასთან, განსაზღვრავს მის ნოვატორულ მისიას, მის მსოფლიო მნიშვნელობას.

საბჭოთა თეატრში მთელი მსოფლიოს მშრომელები ხედავენ მშვიდობისა და კაცობრიობის საუკეთესო იდეალების დაუღალავად ქომაგს.

ჩვენი ამოცანაა ღირსეულად გავამართლოთ ეს დიდი ნდობა.

თბილისის საზოგადოებრიობაში 1964 წლის 14 იანვარს დიდი ზეიმით აღნიშნა გამოჩენილი მწერლისა და თეატრალური მოღვაწის გ. ერისთავის დაბადებიდან 150 წლისთავი. 14 იანვარი ქართული თეატრის სადღესასწაულო დღეცაა. 1850 წლის 14 იანვარს გ. ერისთავის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ პროფესიულ თეატრს. ამგვარად ზეიმი ორმხრივად იყო დაკავშირებული გ. ერისთავის სახელთან. რესპუბლიკის ცენტრალურმა გაზეთებმა, ჟურნალებმა, რადიომუშეუბლობამ და ტელევიზიამ ფართოდ აღნიშნეს საიუბილეო თარიღი. კინოსტუდიის მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ—დოკუმენტალური ფილმების განყოფილებას დაევალა გადაეღო საიუბილეო დღესასწაულები. თეატრალური საზოგადოების სათეატრო მუხუმის მიერ ხელოვნების მუშაკთა სახლის შენობაში მიუწყო გ. ერისთავის თეატრის სსონისადმი მიძღვნილი გამოფენა. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწის პატივსაცემად სპეციალური საფოსტო მარკა გამოუშვა.

14 იანვარს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სპრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ. მან მოკლედ მიმოიხილა გ. ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა და აღნიშნა, რომ დიდი კომედიოგრაფი ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს თაკილობდა. ის იყო რეჟისორიც, პედაგოგიც, ანტრეპრენიორიც, დრამატურგიც, მსახიობიც. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ რეალისტურ თეატრს. მართალია მის მიერ დაარსებულმა თეატრმა დიდხანს ვერ იარსება. მაგრამ მის მიერ ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში განმტკიცებულმა რეალისტური მეთოდმა შემდეგში იხარა და ამ გზისათვის ჩვენს თეატრს არასოდეს არ გადაუხვევია.

ქართული საბჭოთა თეატრი სავსებით მართებულად თვლის გ. ერისთავს პროფესიული

თეატრის ფუძემდებლად და მოწიწებით თავს იხრის დიდი მოღვაწის ნათელი და სპეტაკი ხსოვნის წინაშე.

თეატრალურ სარბიელზე მოღვაწეობის გარდა გ. ერისთავმა ქართული კულტურის სხვა დარგებშიც შეიტანა წვლილი. იგი იყო პირველი ქართული ჟურნალის „ცისკრის“ დამაარსებელი, პოეტი, ქართული სლიტერატურო ენის შემქმნელი, რეალისტური მიმდინარეობის დამამკვიდრებელი ქართულიტერატურაში. XIX საუკუნეში, დიდი ილიას გამოკლებით, ქართველ ერს არა ჰყავს ისეთი მოღვაწე, რომელსაც ესოდენ წარუშლელი კვალი დაეტოვებინოს ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში. სწორედ ამით იხსენება ის დიდი სიყვარული, რომელსაც გამოხატავს მთელი ქართველი ხალხი გ. ერისთავის ხსოვნისადმი.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა გიორგი ერისთავის შემოქმედების მკვლევარს, პროფესორ დ. გამეზარდაშვილს. მან აღნიშნა, რომ გ. ერისთავი ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში შევიდა, როგორც კრიტიკული რეალიზმის დამწყები, ახალი ქართული დრამატურგიის მამამთავარი, პროფესიული ქართული თეატრისა და პირველი ლიტერატურული ჟურნალის „ცისკრის“ დამაარსებელი.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ქართული თეატრის ფუძემდებლის ცხოვრება და შემოქმედება.

მოხსენების შემდეგ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი ორ განყოფილებად „პოეზიის საღამო“.

15 იანვარს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო გ. ერისთავის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სა-



ხალხო არტისტმა დ. ანთაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ სესიას ესწრებიან გიორგი ერისთავის შთამომავლები — დავით ერისთავის ქალიშვილის ელისაბედის შვილები ნინო და დავით ერისთავები.

სიტყვა მოხსენებისათვის „გიორგი ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება“ მიეცა პროფესორ დ. გამეზარდაშვილს. სრულიად კანონზომიერია, — აღნიშნა მომხსენებელმა, — რომ ჩვენ ვიხდით გიორგი ერისთავის საპატივცემო საღამოებსა და სამეცნიერო სესიებს, იგი მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში იგივე როლს თამაშობდა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, რასაც უფრო მოკვანინებით ილია ჭავჭავაძე. ეს ერთი კაცი ზიდავდა მთელი მუშაობის სიმძიმეს. იგი თავისი დროის ერთერთი ნიჭიერი და სახელმძხვავილი შემოქმედი იყო.

კომედიები „შეშლილი“ და „დავა“ ამ დროს (1848 წ.) უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა. კითხულობდნენ და იზებებდნენ მონოლოგებს. მანანა ორბელიანის სალონში წაიკითხა გ. ერისთავმა ახლად დაწერილი კომედია „გაყრა“, რამაც ქართული თეატრის აღდგენის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა. ამ საქმის განსახორციელებლად მანანა ორბელიანმა თხოვნით მიმართა მთავარმმართველ ვორონცოვს, ვისგანაც დადებითი პასუხი მიიღო. თეატრის დირექტორის თანამდებობისათვის შესაფერის კანდიდატად გიორგი ერისთავი იქნა წარდგენილი.

გ. ერისთავის კომედიების წარმეტება სავსებით ბუნებრივი იყო. მათი სახით ქართულ მწერლობას სრულიად ახალი შინაარსისა და ენის ნაწარმოებები შეემატნენ. საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი აზრი რომანტიზმისა და რომანტიკოსთა სასარგებლოდ აღარ ვითარდებოდა, თანამედროვე ცხოვრება ასახავს ითხოვდა, განვითარების ინტერესები არსებული სინამდვილის მკაცრ კრიტიკას საჭიროებდა. გ. ერისთავის უდიდესი დამსახურება ჩვენი ლიტერატურის წინაშე პირველყოფისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ მიმართულებით სწორედ მან გადადგა პირველი საიმედო და გაბედული ნაბიჯი და საფუძველი ჩაუყარა კრიტიკულ რეალიზმს. თავის პირველსავე კომედიაში („შეშლილი“) გ. ერისთავმა მკითხველის თვალწინ გადაშალა იმდროინდელი ცხოვრება. სააშკარაოზე გამოიყვანა არისტოკრატი ქალთა წარმომადგე-

ნლები და აჩვენა მათი მორალურად დაბალი რივი გადაგვარება.

მწერალმა თავისი თანამედროვეობა კიდევ უფრო გააქრიტიკა კომედიაში „დავა“. ამ პიესამ აშკარად გახადა ერთი მხრივ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ჩამორჩენილობა და ეკონომიური დაკნინება, მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის მოშლა და გადაგვარება.

გ. ერისთავმა „გაყრაში“ ბატონყმური ცხოვრების გარდუვალი დალუპვა იწინასწარმეტყველა. მან ყველასათვის გასაგებად აჩვენა, რომ ბურჟუაზიული ცხოვრების მარწუხებს თავს ვერ დააღწევს ვერც ძველი ყაიღის მებატონეები და ვერც განათლებული მოლიბერალო თავადები, და რომ ბატონყმური ურთიერთობის ნასახლარზე მხოლოდ ბურჟუაზიული ურთიერთობა მკვიდრდება.

იმდროინდელი ჩვენი ცხოვრების ბურჟუაზიული განვითარების რელსებზე გადასვლის აუცილებლობა უფრო ხაზგასმით გ. ერისთავმა კომედია „ძუნწში“ გვიჩვენა.

ამრიგად, — დაასკვნა მომხსენებელმა, — გ. ერისთავი, როგორც დრამატურგი არ გაპყლია იმ დროისათვის გაბატონებულ ტრადიციას — ვოდვეილებისა და მელოდრამების შექმნის გზას. ცხოვრებაში გაბატონებულ ბოროტებასთან საბრძოლველად მან სოციალური კომედია აირჩია. სიტყვა მოხსენებისათვის „გ. ერისთავი ქართული რეალისტური თეატრის ფუძემდებელი“ — ეძლევა დ. ჯანელიძეს. მან თქვა: „დიდი მოღვაწეების დაფასება საჭიროა დღევანდელი მთავის. გ. ერისთავის თეატრის ტრადიციების გათვალისწინება აუცილებელია ჩვენი დღევანდელი თეატრისათვის.“

ჩემი წინადადებაა ჩაისვას გ. ერისთავის ქანდაკება რუსთაველის სახელობის თეატრის შენობის თავისუფალ ნიშაში.

გ. ერისთავის უპირველესი დამსახურებაა რეალისტური დრამატურგიის შექმნა. არ შეიძლება არ აღნიშნოს გ. ერისთავის თეატრის ტრადიცია, — თეატრისა და მწერლობის დაკავშირება. ვერ ნახავთ ვერც ერთ პიესას მისი თეატრის რეპერტუარიდან, რომ იმდროინდელი თანამედროვეობის ამსა-

ხველი არ იყოს. მისმა თეატრმა შესანიშნავად მოიხადა ვალი ჩვენი ხალხისა და კულტურის წინაშე. მისი დრამატურგია ქართულ სახიობას ეწყარებოდა.

ქართველ ხალხს საუკუნოებრივი განვითარებით შექმნილი მდიდარი თეატრალური კულტურა აქვს და ამიტომაც მრავალი რამ არის ამ უძვირფასესი საგანძურისაგან შესწავლილი და შესათვისებელი. მაგრამ განსაკუთრებით დასაფასებელია ქართული სასცენო ხელოვნების წარსულიდან გიორგი ერისთავის რეალისტური თეატრი, რომელსაც 1850 წლის 2 იანვრის (ძვ. სტილით) სპექტაკლით ჩაეყარა საფუძველი.

ვასული საუკუნის 50 წლებამდე ქართველი ხალხი მოკლებული იყო პროფესიულ თეატრს და საშინაო სპექტაკლებით ინარჩუნებდა ხანგრძლივი განვითარებით შექმნილ სცენურ კულტურის ტრადიციებს.

გ. ერისთავმა შესძლო ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ რეალისტურ დრამატულ მწერლობას, შექმნა რეალისტური კომედიის განმასახიერებელი თეატრი და აღზარდა მე-19 საუკუნის ქართულ რეალისტ მსახიობთა პირველი თაობა.

გ. ერისთავის თეატრი აღმოცენდა ქართული მრავალსაუკუნოვანი მსახიობის განვითარების ნიადაგზე, რუსული, დასავლეთ ევროპული სასცენო კულტურის მონაპოვართა შეთვისებითა და გამოყენებით.

გ. ერისთავის რეალისტური თეატრის და მისი დრამატურგიის რეალიზმის ერთ-ერთი მთავარი წყარო ქართული ხალხური დრამა იყო.

მეორე წყარო კი იყო ძველი ქართული დრამატული პოეზია, რომლის ღირსშესანიშნავი ქმნილებანი განსაკუთრებული პატივით იმართებიან, საზოგადოებრივი ინტერესისა და მოვლემის მოქალაქეობრივი შეგნებით და განმანათლებლობის სულისკვეთებით.

სახიობა იყო სინთეზი პოეტური სიტყვის, ცეკვისა და მუსიკის, რამაც ასახვა ჰპოვა გ. ერისთავის კომედიებსა და მის სცენურ განხორციელებაში. მისი კომედიები სანახევროდ ლექსად არის დაწერილი, მოქმედ პირებს ხშირად სასიმღერო ტექსტი აქვს განკუთვნილი, მღერის ნასწავლიც და უსწავლიც (ივანე, ბარამი, მიქირტუმ გასპარიჩი—

არა მარტო მღერიან არამედ ცეკვავენ კიდევ). თეატრის მსახიობებიც ისე შეარჩიდა აღზარდა, რომ ესენი თავის დროის სახელგანთქმული მომღერლები და მოცეკვავენი იყვნენ. გ. დვინაძე პოეტი მომღერალი და მსახიობი იყო და ამგვარიდ თვით თავის არსებით გამოხატავდა სახიობის არსს—სინთეზს პოეტური სიტყვისას და მუსიკისას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს სინთეზურობა ჩვენი თეატრისა არის ის ერთადერთი თავისებულება, რაც შორეული დროიდან მოწყვეტა ჩვენს თეატრს, რაც საფუძვლად დაედო გიორგი ერისთავის ქართულ დრამატურგიას და რეალისტურ თეატრს, რამაც განვითარება ჰპოვა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის, აქვსენტი ცაგარლისა და დ. კლდიაშვილის, ვაჟა ფშაველას დრამატურგიაში, კ. მარჯანიშვილის და სანდრო აბმეტელის რეჟისორულ მიმართულებაში. ჩვენი თეატრის საუკეთესო სპექტაკლები წარმოადგენენ სინთეზს პოეტური სიტყვისას, სიმღერისა და ცეკვისას, ამდენად ისინი განაგრძობენ მრავალსაუკუნოვან ქართული სახიობის ხაზს.

მესამე წყარო გ. ერისთავის დრამატურგიისა და თეატრისა არის რუსული დრამატურგია და თეატრი, დასავლეთ ევროპის თეატრი და დრამატურგია, რასაც მწერალი პოლონეთის საშუალებით გაეცნო.

თანადროულობის არაჩვეულებრივი გრძობა, თანადროულობის ამსახველი რებერტუარის შექმნა, დრამატურგთა მთელი თაობის აღზრდა ეს არის ძვირფასი ტრადიცია გ. ერისთავის თეატრისა.

გ. ერისთავის ცდლობდა ყოველი აქტიორი სკაუთარი შემოქმედების გზაზე დაეყენებინა. აქტიორული განსახიერების მიზნად ევლუციონობას, ერთხელ შექმნილი სახის გადაღებას გ. ერისთავი არ ითმენდა.

გ. ერისთავის მწერლობამ და თეატრმა, ამ თეატრის აქტიორული სკოლიდან გამოსულმა მწერლებმა დიდი როლი ითამაშეს ახალი ლიტერატურული ქართული ენის შექმნაში, ენის გახალხურებაში, ამასთანავე მსახიობებმა თეატრში მოიტანეს ხალხური სიმღერა, კილო, ხალხური ცეკვა და მით თეატრის გახალხურებას, მის ხალხურ სახიობასთან დაახლოებას დიდად შეუწყვეს ხელი.

გ. ერისთავი როგორც დრამატურგი, დირექტორი, აქტიორი, კრიტიკოსი, აღმზრდელი, რომელმაც შესძლო თეატრი ექცია

კულტურულ კერად, მუდამ დარჩება ჩვენი თეატრის დიდ მასწავლებლად.

სიტყვა მოხსენებისათვის „14 იანვარი ქართული თეატრის დღე“ მიეცა ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ბუხნიკაშვილს.

„ქართული თეატრის აღდგენის აღსანიშნავი დღე 2 იანვარი პირველად დაწესდა 1884 წელს. გაზ. „დროება“ საახალწლო ფელეტონში წერდა: „2 იანვარს შესრულდება 34 წელიწადი, რაც თბილისში პირველი წარმოდგენა გაიმართა გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით. ქართულმა დასმა გადასწყვიტა 34 წლის იუბილე გადაიხადოს და ეს დღე დააწესოს მუდმივ, ქართული თეატრის დამაარსებლის გიორგი ერისთავის მოსაგონებლად.“

შემდგომ წლებში, თბილისის დრამატული დასი და სახალხო თეატრები ყოველთვის დიდი ზემოთ აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულს. დღესასწაული იმართებოდა ქუთაისსა და საქართველოს სხვა დაბებში და ქალაქებშიც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ყველა პირობები შეიქმნა ქართული ეროვნული კულტურის და კერძოდ თეატრის ნამდვილი შემოქმედებითი აყვავებისათვის. სცენის შესანიშნავი ოსტატი კოტე მარჯანიშვილი 1922 წელს სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრს და გამოიყვანა მხატვრული სრულყოფის ბრწყინვალე გზაზე. მისივე მოთავეობით დიდი ზემოთ იქნა აღნიშნული ქართული თეატრის ისტორიული დღე—2 იანვარი (ძვ. სტილით). 1923 წლის 2 იანვარს რუსთაველის თეატრში მოეწყო საზეიმო წარმოდგენა, მიძღვნილი ამ დღისადმი. ნაჩვენები იყო ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ კოტე მარჯანიშვილის ახალი დადგმით. კოტე მარჯანიშვილმა ამ წარმოდგენას დიდმნიშვნელოვანი აზრი ჩააქსოვა. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქართული თეატრის ყველა მსახიობებმა, როგორც ახალმა ისე ძველმა თაობამ (ალ. სუმბათაშვილმა, ვასო აბაშიძემ, მაკო საფაროვამ და სხვ.) ამრიგად, კოტე მარჯანიშვილმა ამ წარმოდგენით გაერთიანებისაკენ მოუწოდა ქართული თეატრის ყველა ძალებს.

ორი იანვარი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქცა ქართული თეატრის

საზეიმო დღედ. მაგრამ 1927 წ. დღესასწაული დავიწყებას მიეცა.

დიდად სასიხარულოა, რომ ამჟამად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თაოსნობით ეს დღესასწაული აღდგენილია და ყოველწლიურად ტარდება 14 იანვარს (ძველი სტილით 2 იანვარს).

ვესალმებით ამ თაოსნობას, რადგან მიგვაჩნია, რომ ქართული თეატრის ეს ღირსშესანიშნავი დღე უმართებულოდ იყო მივიწყებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დღე მიმდინარე წელს, როდესაც ასეთი ზემოთ აღვნიშნავთ) 150 წლისთავს გიორგი ერისთავის დაბადებიდან.

იმედი გვაქვს, რომ ამ საინტერესო თარიღს მუდამ აღნიშნავენ ყველა ჩვენი სახანაობითი დაწესებულებანი, მათ შორის სახალხო თეატრებიც, ამ დღეს მოვიგონებთ ჩვენს სახელოვან წინაპართ, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართულ სცენას, ხოლო პირველყოფისა ქართული თეატრის განმაახლებელს გიორგი ერისთავს. მოგონება იმდენად არის საჭირო, რამდენადაც თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებით ტრადიციას, წარსული გამოცდილების შესწავლას. მეორე ნიშნდობლივი თვისება ამ დღესასწაულსა—ჩვენი თეატრის მიღწევების დემოსტრაციაა, ჩვენება იმისა, თუ რამდენად ძლიერია ჩვენი თეატრი თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ ასახვაში.

გ. ბუხნიკაშვილის მოხსენების შემდეგ სენსაზე დამსწრე პირებმა სხვადასხვა წინადადებები წამოაყენეს.

ლევან გათუა: შემომაქვს წინადადება, რომ მივიღოთ სათანადო ზომები და ყურადღება მივაქციოთ გიორგი ერისთავის საფლავს, რომელიც გაძარცვულია, თუჯის ფილა წარწერით კი გატეხილია. დამიტრი ჯანგინაძე: საჭიროა თეატრის დღეიდელი დღესასწაული უფრო ფართო სახით აღვნიშნოთ, საჭიროა, მომავალ წლებში, თეატრალურმა საზოგადოებამ ითავოს კომისიის შედგენა და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. გ. ბუხნიკაშვილი: საჭიროა გიორგი ერისთავის ნაწარმოებების გამოცემა. უნდა ვეცადოთ გამოგვეთ მისი ნაწარმოებები რუსულ ენაზეც. დარწმუნებული ვარ დიდი ინტერესით მიიღებს საზოგადოება კორაღინის



ალბომის რეპროდუქციებსაც. ამასთანავე შეიძლება გამოიყოს გ. დვანიძის მოგონებაც, რომელიც მხოლოდ ხელნაწერის სახით ვრცელდება.

დასასრულს სესიის ხელმძღვანელმა დოდო, ანთაძემ აღნიშნა, რომ ამხანაგების მიერ დასმული საკითხები და შენიშვნები სრულიად სამართლიანია და რომ 2 იანვრის დღესასწაული ღირსეულად უნდა აღინიშნოს. თეატრებმა უნდა დადგან პიესები მისი დრამატურგიიდან. აღსანიშნავია რუსული თეატრის ტრადიცია, როცა კლასიკურ ქმნილებებს სათუთად ინახავენ. დღეს კი როცა 150 წლის იუბილეს ვიხდით გ. ერისთავის დაბადებიდან, ჩვენს თეატრებს არც ერთი ნაწევრტი არ წარმოუდგენიათ მისი პიესებიდან.

გამოჩენილი ქართველი საზოგადოებრივი პატივსაცემად თბილისის უმაღლესი საწავლებლების მიერ მოეწყო საღამოები. 20 თებერვალს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდა გ. ერისთავის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, უცხო ენათა ინსტიტუტისა და რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის გაერთიანებული ღონისძიება. საღამო შესავალი სიტყვით აგახსნა დოც. ვ. ქოჩორაძემ. „გ. ერისთავი—ქართული რეალისტური თეატრის ფუძემდებელი“— მოხსენება გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დ. ჯანელაძემ. „გ. ერისთავის თეატრი და თეატრალური კრიტიკა“ თეატრმცოდნე მ. გოგსაძემ. საღამოს დასასრულს ორივე ინსტიტუტის სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.





თეატრალური ახალგაზრდობის რესპუბლიკური

დათვალიერება და მისი შედეგები

ახალი ეპოქის ხელოვნება, რომელიც მომავლის ადამიანის მისამართითაა, აღანთებს ჩვენს აზრსა და განცდებს. ეს ხელოვნება აფიქრებს ადამიანებს იმის შესახებ, რაც წინათ მათი ყურადღების გარეშე რჩებოდა, ბადებს სწრაფვას უკეთესისა და მშვენიერი-საქენ. ასე ხდება იმ ბედნიერ შემთხვევაში, როდესაც თეატრში მოდის დაკვირვებულნი, დახვეწილი გემოვნების შემოქმედი, რომელმაც იცის ადამიანის ფსიქოლოგია. აქ, მომავლის სპექტაკლის შემქმნელებში ის ხედავს თავისი შემოქმედების თანამოაზრეებს, თავისი საქმის შეუზოგარ და გაბედულ ენთუზიასტებს. ამიტომ, ასეთი ადამიანების ერთობლივი მუშაობა ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებად იქცევა, გადაიქცევა კოლექტივის მიღწევად და ადვილს იქერს ეროვნული თეატრების დიდ გამარჯვებაში. მაგრამ თეატრის შემოქმედებითი მუშაობის ყველაზე მთლიანი მიღწევაა კი, რომელიც შედგება კლასიკური რეპერტუარის, თუ საზღვაგარეთული დრამატურგიის განხორციელების, ვერ შეედრება შემოქმედის იმ სიხარულს, რომელსაც მას ანიჭებს ჩვენი ადამიანების გვირუკი საქმეებით შთაგონებული სპექტაკლი. ამიტომაც ასე დიდი და ძლიერი თანამედროვეობის თემის მიმზიდველობის ძალა.

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში და იდეოლოგიის საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის იგნისის პლენუმის დადგენილებებში, არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ თეატრი მოყოლებულია ასახოს თანამედროვე ცხოვრება, დახატოს დადებითი გმირი, გვიჩვენოს მისი თავდადება და სიყვარული საქმისადმი, ეს თავდადება გახადოს მისხაბდ მაგალითად და შესძლოს ალაფრთოვანოს ათასობით მაყურებელი, ჩაუნერგოს მას კომუნისტური იდეებისადმი ერთგულება, აქციოს

ის უკეთესი მერმისისათვის მებრძოლ ადამიანად. ამიტომაც, რომ ჩვენი თეატრები იბრძვიან, რათა გააუმჯობესონ თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ნაციონალური რეპერტუარი, გაზარდონ მისი ხარისხი და ხედვითი წონა, შემოიკრიბონ თავისი გარშემო როგორც ძველი თაობის დრამატურგები, ასევე ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები. სპექტაკლების იდეური ზემოქმედების ძალა და მხატვრული ხარისხი დიდად არის დამოკიდებული აქტიორულ შესრულებაზე. საჭიროა სისტემატური ზრუნვა თეატრალური ახალგაზრდობის პროფესიულ დაოსტატებისათვის, ახალი საიმედო ძალების გამოვლინებისათვის.

სწორედ ამიტომ, გასული წლის 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწვეეს თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლებისა და თეატრალური ახალგაზრდობის რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვეობისადმი მიძღვნილი საუკეთესო საბჭოთა სპექტაკლებისა და აქტიორულ ოსტატობაში ნიჭიერ ახალგაზრდობის გამოქვლინებას.

ეიურში შევიდნენ: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დგალიშვილი (თავმჯდომარე), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი (მოადგილე), საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გ. იაკაშვილი (მოადგილე), რეჟისორები: პ. ფრანგიშვილი და შ. კილოსანიძე, მხატვარი ფ. ლაპაიშვილი, თეატრმკოდნები: თ. ჯანელიძე, მ. ცხომარია, ნ. შვანგირაძე, კომპოზიტორი ბ. კვერნაძე, საქართველოს



ალექს. კომიტეტის ინსტრუქტორი რ. ხანთაძე.

დათვალეირებაში ჩაება ჩენი რესპუბლიკის სხვადასხვა ჯანრის 21 სახელმწიფო თეატრის მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები, მხატვრები, ისინი ვისაც პროფესიულ თეატრში მუშაობის 5 წლის სტაჟი გააჩნია. მონაწილეობა ვერ მიიღეს სოხუმის ქართული და აფხაზური სახელმწიფო თეატრების კოლექტივებმა.

ეთურიმ ნახა 45 სპექტაკლი, რომლებიც გასინჯულნი იქნენ ადგილებზე, გარდა ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის თეატრისა, იგივე იმეპმად გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის სტაციონარზე იმყოფებოდა.

თეატრებმა ძირითადადში წარმოადგინეს საბჭოთა დრამატურგების ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა თანამედროვეობის, ახალგაზრდობის, კომკავშირების ცხოვრებას. დათვალეირებაზე წარძოდგენილი იყო არა საბჭოთა სინამდვილის ამსახველი საბჭოთა ავტორების პიესებიც და ასევე არა საბჭოთა ავტორების თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებიც. იყო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სპექტაკლი ისინჯებოდა როგორც თანამედროვეობის ასევე ახალგაზრდობის დათვალეირების თვალსაზრისით.

თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლებიდან ეთურიმ მსჯელობის საგნად მხოლოდ ის სპექტაკლები აქცია, რომელთაც საფუძვლად დაედოთ საბჭოთა ავტორების მიერ დაწერილი საბჭოთა დღევანდლობა.

რესპუბლიკურ დათვალეირებებს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეციდნენ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, გრიბოედოვის სახელობის თეატრები და მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრი, რომლებმაც დროულად დაიწყეს მზადება ამ ღონისძიების კეთილსინდისიერად ჩატარებისათვის და სპეციალური პროგრამები და აფიშებიც კი გამოუშვეს. საქმისადმი ასევე სერიოზული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა, ქუთაისის, ბათუმის და თელავის სახელმწიფო თეატრებმა.

თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლებისა და თეატრალური ახალგაზრდობის ამ რესპუბლიკურმა დათვალეირებამ ერთზე კიდევ ცხადჰყო, რომ კარგი პიესა კარგი სპექტაკლის აუცილებელი საფუძველია. ამავ დროს გადამწყვეტია თუ როგორ მუშაობს რეჟისორი, როგორ მიჰყავს მას მსა-

ხიობები და როდესაც ყველა ეს ელემენტის წინაშე მდებარე მამინ სცენური ნაწარმოებებიც წარმატებულია, დათვალეირებამ ასევე ნათელჰყო ნიჭიერი ახალგაზრდობის პროფესიული მომზადება გამოავლინა საიმედო ახალგაზრდობა, როგორც დრამატურგიაში, ასევე რეჟისურაში და აქტიორულ ოსტატობაში. გამოავლინა ის ახალგაზრდობა, რომელიც თავისი უნარისა და შრომის წყალობით მოწინავე ხელოვნათა რიგებში იწყებს ჩადგომას. ამიტომ ასეთი სპექტაკლები და ახალგაზრდობა ეთურიმ უახალისების მიზნით სხვადასხვა სახის ჯილდოთი აღნიშნა.

საქართველოს კულტურის სამინისტროს, ალექს ცენტრალური კომიტეტისა და თეატრალური საზოგადოების დიპლომით დააჯილდოვა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების სიგელით—გრიბოედოვის თეატრის სპექტაკლი „ოკეანე“, გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრის სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ და მახარაძის თეატრის სპექტაკლი „აპრიკუნე“.

ალექს ცენტრალური კომიტეტის სიგელით დააჯილდოვდა რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი „ვახშაობის წინ“, მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი „ვოეკა იალმენის პლანეტაზე“ და ქუთაისის თეატრის თეატრის სპექტაკლი „ბიჭები ეძებენ ვახუშტუს“.

შემოქმედებითი მივლინებით მოსკოვში, დაჯილდოვდნენ: გ. მაცხოვანიშვილი, თელავის თეატრის მთავარი რეჟისორი სპექტაკლ „ტირანები მტკვარის პირას“ დადგმისათვის. გ. ჟორდანიშვილი ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი (ა. სამსონიას პიესის „ჩემი შვილი სიმონის“ დამდგელი. გ. ქავთარაძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, სოსოია (მე ვხედავ მზეს“ მარჯანიშვილის თეატრი) და ზაზას („ვახშაობის წინ“ რუსთაველის თეატრი) როლების შესრულებისათვის, გ. ბეგალოშვილი, მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი, კუჭური არგელაძის როლის („შესანიშნავი სამეული“) შესრულებისათვის, თ. ლაფერაშვილი, ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი, ცანგალას როლის („დაიხი“) შესრულებისათვის, ზ. ქავთარაძე, ქუთაისის თეატრის მსახიობი, არტიომ გუღუნის და გრიგალა კიდის როლების („რღევა“ და „თეთრი ჩრდილები“) შესრულებისათვის.

დაჯილდოვდა შემოქმედებითი მივლინებებით ქ. კიევიში: ე. კაბულაშვილი, გორის თეატრის მსახიობი, ხატის როლის („მე ვხედავ მზეს“) შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დიპლომით დაჯილდოვდნენ: რ. სტურუა, რუსთაველის თეატრის რეჟისორი, სპექტაკლ „ვახშობის წინ“ დადგმისათვის; ნ. დემეტრაშვილი, რეჟისორი, სპექტაკლ „ჩვეულებრივი სასწაულის“ დადგმისათვის (გრიბოედოვის თეატრი) მ. მურვანიძე სპექტაკლ „ჩვეულებრივი სასწაულის“ მხატვრობისათვის (გრიბოედოვის თეატრი), რ. კვიციანიძე—სპექტაკლ „როცა ასეთი სიყვარულია“ მხატვრობისათვის, (ცხინვალის თეატრი). ზ. კუხიანიძე, ავტორი პიესისა „ბიჭები ეძებენ ვახაფხულს“, ა. სანოსიანი, პიესა „ჩემი შვილი სიმონის“ ავტორი, ნ. კილახონიძე, გრიბოედოვის თეატრის მსახიობი, ვეროკას როლის „ვახშობის წინ“ (გრიბოედოვის თეატრი) შესრულებისათვის, ქ. კვიციანიძე—მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ხატია როლის („მე ვხედავ მზეს“) შესრულებისათვის, ლ. ჩიხლაშვილი, მუსიკალური კომედის თეატრის მსახიობი, ჩიხიტას როლის („ჩიხიტას კოცნა“) შესრულებისათვის, ი. საღვთაძე—მოზარდ მსუქურცელთა რუსული თეატრის მსახიობი გოგვას როლის („გოგვა იალმეზის პლანეტაზე“) შესრულებისათვის, გ. გუგუაძე—ცხინვალის თეატრის ოსური დანის მსახიობი, მაღინაძის როლის („ლენგენა სიყვარულზე“) შესრულებისათვის, ლ. ოზგვაშვილი—გორის თეატრის მსახიობი, სოსოიას როლის („მე ვხედავ მზეს“ შესრულებისათვის, თ. ლახიშვილი, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის მსახიობი, ტატიანას როლის („რღვევა“ შესრულებისათვის, ნ. მესხიძე—ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრის მსახიობი, სიმონის როლის („ჩემი შვილი სიმონი“) შესრულებისათვის, ლ. ლონტი—ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრის მსახიობი, ზაზას როლის („ადამიანი დაბრუნდა“) შესრულებისათვის, ლ. ვაშაიძე—ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის მსახიობი, ირმას როლის („თეთრი ჩრდილები“) შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების საიგელომით დაჯილდოვდნენ: უ. დარჩია, რეჟისორი, სპექტაკლ „ჩიხიტას კოცნას“ (მუსიკალური კომედის თეატრი) დადგმისათვის, გ. ევაძე, რეჟისორი, სპექტაკლ „მე ვხედავ მზეს“ (გორის თეატრი) დადგმისათვის, თ. მესხი—რეჟისორი,

სპექტაკლ „თეთრი ჩრდილები“ (ქუთაისის თეატრი) დადგმისათვის, მ. ბერძენიშვილი—სპექტაკლ „კომბლეს“ (თბილისის მუსიკალური თეატრი) მხატვრობისათვის, ლ. კილოვა—გრიბოედოვის თეატრის მსახიობი, ანტჩას როლის („ოკეანე“) შესრულებისათვის, მ. მაჭარაძე—თბილისის თეატრის მსახიობი, ზეგლარ ალას, როლის („კომბლე“) შესრულებისათვის, ლ. გალოვანი—გ. ხეთაგურაძის სახელობის ცხინვალის თეატრის ოსური დანის მსახიობი, აისარუს როლის („ლენგენა სიყვარულზე“) შესრულებისათვის, ნ. არაგვიანი—თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, მაკას როლის („ტირითები მტკვრის პირას“) შესრულებისათვის, ლ. ზინგვა—ქუთაისის თეატრის მსახიობი, კურდელის, ზარტყის, მერცხლის („ბიჭები ეძებენ ვახაფხულს“) განსახიერებისათვის.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდნენ: ფ. ქუთათელაძე—გრიბოედოვის თეატრის მსახიობი, პრინცესას როლის („ჩვეულებრივი სასწაული“) შესრულებისათვის, ა. სანოსიანი—შაუმიანის სახელობის სომხური დრამის მსახიობი, არმენის როლის („ბიღუბე“) შესრულებისათვის, გ. ნიკოლაძე—მოზარდ მსუქურცელთა რუსული თეატრის მსახიობი, ლენას და იულიას როლების) „გოგვა იალმეზის პლანეტაზე“ და „ყოფილი ბიჭები“ განსახიერებისათვის, ზ. ვასიფი, ხეთაგურაძის სახელობის ცხინვალის თეატრის ქართული დანის მსახიობი, კრალის როლის („როცა ასეთი სიყვარულია“) განსახიერებისათვის.

რესპუბლიკური დათვლიერების ფურის მიაჩნია, რომ თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ზოგიერთი კარგი სპექტაკლისა და ახალგაზრდა მსახიობების მოსაწონი მუშაობის მიუხედავად, ჩვენი თეატრების მდგომარეობა არც თუ სახარბიელოა, ჩვენ გვჭკვს ყველა პირობა იმისათვის, რომ ქართული თანამედროვე დრამატურგია ამაღლებული იყოს. მას ჰქონდეს თავისი მწვერვალები და მიღწევები ხელოვნებაში, გვყავს ნიჭიერი რეჟისორები, მსახიობები, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი თეატრები დღეს სათანადო სიმაღლეზე იდგნენ.

თანამედროვეობის დემაზე შექმნილმა სპექტაკლმა არ უნდა დაკარგოს მსუქურცელი, ამიტომ საჭიროა იგი იყოს ცოცხალი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა ამ მუშაობაში უნდა ჩააქსოვოს მთელი გონება და სული. მაშინ იგი უაუოდ უპასუხებს თანამედროვე ამოცანებს.

გამოჩენილი საბჭოთა მხატვრის პეტრე ოცხელის მოღვაწეობა, რომელმაც ხალასი იპიითა და უმრეტე ფანტაზიით, საოცრად მოკლე დროში წარუშლელი კვალი დასტოვა დეკრატული ხელოვნების ისტორიაში, არ განისაზღვრება მხოლოდ ქართულ თეატრში მუშაობით. მას ეკუთვნის ისეთი დადგმები, როგორცაა მოსკოვის კორშის თეატრში „შენებელი სოლნისი“, მცირე თეატრში — „ვერაგობა და სიყვარული“, სტანისლავსკის სახელობის საოპერო სტუდიაში „რიგოლეტო“ და სხვა. მისი შემოქმედების ასეთმა ფართო დიაპაზონმა განაპირობა ის აზრი რომ პეტრე ოცხელის ნამუშევართა გამოფენა, საინტერესო და სასარგებლო იქნება არა მარტო ქართველი საზოგადოებრიობისათვის, არამედ ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია საბჭოთა დეკრატული ხელოვნების ჩამოყალიბებითა და განვითარებით.

14 თებერვალს, საქართველოსა და უკრაინის საზოგადოებების ინიციატივით, ქ. კიევიში, უკრაინის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში, სახეიმი ვითარებაში გაიხსნა პეტრე ოცხელის თეატრალურ-დეკრატული ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენაზე თავი მოიყარა უკრაინის თეატრალურმა საზოგადოებამ, მხატვრებმა, იქაურმა ქართველებმა, რომლებიც წლების მანძილზე ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ქ. კიევიში, დაესწრნენ პრესის რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

გამოფენის გახსნა იქცა უკრაინელი და ქართველი ხალხის ტრადიციული მეგობრობის ზეიმიად. მნახველთა რაოდენობა დღით დღე მატულობდა. ამ საინტერესო დღეებში, მოეწყო პეტრე ოცხელის ხსენისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო. პრეზიდიუმში გამოჩენილ უკრაინელ ხელოვანთა შორის იყვნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმო-

მადგენლები: ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეები, ჟურნალისტი ოთარ ევაძე და მხატვარი კარლო კუკულაძე, რომლებიც სიტყვით გამოვიდნენ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე, რომელმაც ფართო მოხსენება გააკეთა პეტრე ოცხელის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ, მხატვრის და ნინო ოცხელი და საზოგადოების რეფერენტი, თეატრმცოდნე ლილი ლომთაიძე.

გამოფენა ვრცლად მიმოიხილა უკრაინელმა მწერალმა და მხატვარმა ლეონიდ ვოლინსკიმ. იგი ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგადაა ცნობილი, მისი მეტად საინტერესო წერილით „კავკასიის ფერები“.

ლ. ვოლინსკიმ თქვა — „პეტრე ოცხელის ნამუშევართა გამოფენის გახსნისას ერთ-ერთი დამსწრე მხატვარი მომიახლოვდა და გულნატკენმა მითხრა, მე აქ მოვედი, რათა შეგვედროდი თვით ოცხელს, რომელიც 30-იან წლების დასაწყისს გავიცანი. არ ვიცოდი, რომ ეს დადილუა. მე მას ვუბასუხე: მიუხეხედავად ამ საწუწუბარო ფაქტისა, თქვენ მას მაინც შეგვიდით.“

ნამდვილი ხელოვანი არ კვდება, იგი თავისი შემოქმედებით განაგრძობს სიცოცხლეს. დღეს, ჩვენ ყველანი შეგვხდით ასეთ დიდ მხატვარს, ნამდვილ ხელოვანს, შეგვხდით როგორც ცოცხალს.

ყველაზე დიდ საფასურს ასეთი შემოქმედებითი შეხვედრებისას, წარმოადგენს მხატვრის ის საკუთარი ხელწერა, ის ინდივიდუალიზმი მხატვრისა, რომელიც საშუალებას იძლევა შეიქნათ იგი, იმ ხელმოწერის გარეშე, რომლითაც ჩვეულებრივ, ხელმოწერილი ხოლმე ყოველი მისი ნაწარმოები, ისევე, როგორც ჩვენ სტრიქონებით ვცნობთ ამა თუ იმ პოეტს, ხოლო ფურცლებით ამა თუ იმ პროზაიკოსს, ხშირ შალიაპინს ან რომელიმე საყვარელ დრამატულ მსახიობს.



ყველა ის ნაწარმოები, რომელიც აქ არის გამოყენილი და რომლის ხილვის საშუალებაც ჩვენდა სასიხარულოდ მოგვეცა, აღინიშნება განუყოფელი და ინდივიდუალური ხელწერით. თეატრის მხატვრისათვის განსაკუთრებით ძნელია შეინარჩუნოს შემოქმედებაში ისეთი ინდივიდუალური ხელწერა, როგორც ეს პეტრე ოცხელმა შეინარჩუნა.

თეატრალური მხატვარი თავის ბუნებით, თავის მოწოდებით და მიზნით წარმოგვიდგება, თუ შეიძლება ასე ითქვას ინტერპრეტატორად, ე. ი. დრამატურგის იდეის გამომხატველად პლასტიკის ენით. ამაშია სწორედ მხატვრის ძალა, რომელიც მეტისმეტად ღრმად და ფაქიზად გადმოსცემს დრამატურგის აზრს, ამავე დროს მთლიანად კი არ უნდა შეერწყას მას, არამედ ღრმად შეიჭრას მასში და ამასთანავე დარჩეს დამოუკიდებელი. როდია მარტო ჩემი შეხედულება, რომ თეატრალური მხატვრის ეს თვისება განსაკუთრებითაა ძვირფასი.— ამ თვალსაზრისით პეტრე ოცხელის ნამუშევრები რაღაცით ვან გოგის სურათებს გვაგონებს (თუმც ვაჩვენებთ არაფერით არ ვაგვს მათ). ამგვარი გამდიდრება, რაზედაც მუშაობს მხატვარი, ძალიან მაღლა სწევს მხატვრის, განსაკუთრებით თეატრალური მხატვრის შემოქმედების ხარისხს. მეორე მხრივ პეტრე ოცხელის მხატვრობაში დიდდ მნიშვნელოვანია, ის თვისება რომ სხვადასხვა ეპოქის დრამატურგის გადაწყვეტის დროს ის ღრმად ნაციონალურ ქართველ მხატვრად რჩება. ესეც იშვიათი თვისებაა, ეს არის გამდიდრება დრამატურგისა თეატრში.

მე, რომელიც დიდი ხანი არ არის გახლდით საქართველოში, ამას განსაკუთრებულად კარგად ვგრძნობ, კარგად ვხედავ. პეტრე ოცხელის ნამუშევრებში ვხედავ ქართული ხელოვნებისათვის, — ქართული ფერწერისა და გრაფიკისათვის მეტისმეტად დამახასიათებელ ინდივიდუალურ ხაზებს.

ჩემის აზრით — განაგრძობს ლ. ვოლინსკი, — ქართულ ხელოვნებას ყველა სახეში, ფერწერაშიც კი, პოეტური ხაზი სჭარბობს, მე პირადად ამას ვხსნი ქართველი ხალხის თავისებურებით, მათი პლასტიკით, მათი პოეზიით, მათი გრაციით. ვფიქრობ, რომ ქარ-

თული ხელოვნების ეს განსაკუთრებული რიტმი სიანს პეტრე ოცხელის ნამუშევრებშიც. მის ნამუშევრებში ვხედავ ნათესაურ კავშირს გუდიაშვილის ადრინდელ ნამუშევრებთან და სხვა ქართველ მხატვრებთან. მისი ნათესაური კავშირი ქართულ ფრესკაშია, ე. ი. მონუმენტულობა და ამავე დროს პოეტური და მოხდენილი ხაზები.

მე ვხედავ მის ნათესაურ კავშირს, ისეთ ნაციონალურ გენიასთან, როგორც არის ფიროსმანიშვილი, ერთი შეხედვით, პეტრე ოცხელის დახვეწილ, ელევანტურ და ნაწილობრივ რაფინირებულ გრაფიკაში თითქოს და სულ არ არის მსგავსება ფიროსმანიშვილთან, მაგრამ ამავე დროს არის მსგავსება შავი ფერის ისე მსუყედ გამოყენებაში, რომელიც დამახასიათებელია ქართული ხელოვნებისათვის და რომელსაც აქვს კიდევაც თავის საფუძველი.

მე უკვე მომიცა საშუალება გამომეტქვა ჩემი აზრი ამ საკითხზე. იგი შეიძლება მოგვეჩვენოს სადაოდ. ვფიქრობ ასე მსუყედ გამოყენებული შავი ფერი ხალხურია, ნაციონალურია. იგი ქართული ნაციონალური ტანსაცმელიდან მოდის. ჩვენ მხატვრებს ძალიან გვეშინია შავი ფერის, ვთვლით რა რომ შავი ფერი არის ნიშანი მეტისმეტი სევდისა, ფიროსმანიშვილი და ოცხელი კი გვიმტკიცებენ, რომ ეს სრულიად არ არის მართებული.

საქართველოს თეატრალურ მხატვრებს, დაწყებული შერვაშიძიდან, რომელიც ისეთ ბრწყინვალე თეატრალურ მხატვრებთან მუშაობდა როგორებიც გოლოვინი, კუსტოლიევი, დობუენისკი და სხვები იყვნენ და დამთავრებული ამ ახალგაზრდა, ჩვენგან უდროოდ წასულ მხატვრით, რომლის ნამუშევრებს ჩვენ დღეს ვიხილავთ, შეაქვთ თავისი სერიოზული და განსაკუთრებული განძი საბჭოთა თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში.

პეტრე ოცხელის ნამუშევრები იმ გარკვეული და უკვე მომწიფებული შეხედულებებით ხასიათდება, რომელიც თეატრალურ დეკორატიული მხატვრობის ხელოვნების თვისებაშია. ისინი არაჩვეულებრივად გრაფიკულია თავისი ნახატი, და ამავე დროს არაჩვეულებრივ სკულპტურულია თავის გადაწყვეტით.

პეტრე ოცხელი თეატრალურ გაფორმებაში გულსისმობდა, არა როგორც სცენის მოსართვის, არამედ მასში ხედავდა მსახიობისათ-

ვის სამოქმედო პოსტამენტს, პედესტალს. პეტრე ოცხელი თავის ხერხებში მეტისმეტად თავშეკავებულია, ძუნწიც კი, გამომსახველ საშუალებებში, მაგრამ მიუხედავად ამისა საოკარ შედეგებს აღწევს.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ თეატრის მხატვარი თავის მიზანს არ უნდა აღწევდეს ლიტერატურულ-ილუსტრაციულად, არამედ დრამატურების იდეას პლასტიკის საშუალებებით უნდა გამოხატავდეს.

თუ გადავავლებთ წარსულს თვალს, შეიძლება მოვიფიქროთ, რომ თეატრის ერთ-ერთი უძველესი რეფორმატორი რიხარდ ვაგნერი ამბობდა: „მომავალში სცენაზე მასპურებელი გამომსახველ ფორმების მაგიერ იხილავს შინაარსობრივ მინისმებებსა“. ეს მეტისმეტად არსებული და სწორი წინასწარმეტყველებაა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი ასე დიდი ხნის წინ ითქვა.

თეატრის სხვა თეორეტიკოსების აზრითაც ნამდვილ, იდეალურ ილუსტიას, თეატრი ლაკონიზმით უნდა აღწევდეს.

მე ვთვლი, რომ პეტრე ოცხელის ნამუშევრები სრულიად გარკვეულად დგანან რეალისტური თეატრის, ნამდვილი თეატრის სადარაჯოზე. ეს მისი ნამუშევართა დამახასიათებელი ნიშანია, და შემთხვევითი არ არის რომ ოცხელი იყო შემჩნეული ისეთი დიდი რეჟისორის მიერ, როგორც კოტე მარჯანიშვილია. მარჯანიშვილს არ შეეძლო არ შეემჩნია პეტრე ოცხელის ნიჭიერება. სრულიად გასაგებია, რომ მან ვინც საბჭოთა თეატრის გარიჟრაჟზე კიევი სპექტაკლი „სვების წყარო“ დადგა, შეამჩნია პეტრე ოცხელის ტალანტი, და მიიწვია იგი თანამშრომლად. ისინი სხვადასხვი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ—ერთი შემოქმედებითი თვალთახედვით თეატრალურ ხელოვნებაში.

გამთავრებ რა ჩემს გამოსვლას მიიწვი კიდევ ერთხელ აღვნიშნო ხაზგასმით ის აზრი, რომ პეტრე ოცხელის შემოქმედება, ეკუთვნის არა მხოლოდ ისტორიას, არამედ დღევანდელ დღეს და ჩვენს მომავალსაც, ეს იმიტომ, რომ პეტრე ოცხელის ხელოვნება ნამდვილი ხელოვნებაა, რომელიც საშუალოდ დარჩება. იცოცხლებს იმიტომ, რომ პეტრე ოცხელის ხელოვნებაში დაყენებულია ისეთი საკითხები, რომლებიც ყოველთვის ააღლავებენ თეატრს.

ლ. ვოლინსკის შემდეგ მღელვარე სიტყვით გამოვიდა უკრაინის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინის სახალხო არტისტი ვასილი ხარჩენკო. იგი ამბობს: „არიან ხელოვანნი, რომელთა შემოქმედებაც მეტეორივით გაიქროლებს ხოლმე. დიდხანს არ ანათებს მაგრამ სამარადისოდ რჩება მესხიერებაში, როგორც ვანძი კულტურის ისტორიისა.

პეტრე ოცხელის შემოქმედება გვაგონებს სწორედ ასეთ მოკიადვე მეტეორს, რომელიც ჩაქრა და ამავე დროს სრულადმოდ დარჩა ხალხთა მესხიერებაში. შეიძლება იცხადრო ხანგრძლივად, მაგრამ ვერ დასტოვო დიდი კვალი ხელოვნებაში, მაგრამ შეიძლება ილწვოდვე მხოლოდ 9 წელი, ისევე, როგორც პეტრე ოცხელი და საშუალოდ დაიმიქიდრო ადგილი თეატრალური კულტურის საგანძურში.

მე ვფიქრობ, გამოფენა რომელსაც ჩვენ გავეცანით, მხოლოდ პეტრე ოცხელის სსოვნის ნიშანი არ არის, არც ჩვენი ურთიერთ შეგობრობისა და სიმამატეების ნიშანი. პეტრე ოცხელის ნამუშევრების ეს სერია ბევრს ასწავლის თანამედროვე მხატვრებს, განსაკუთრებით კი ჩააფიქრებს ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

პეტრე ოცხელი შესანიშნავ ნაწარმოებებთან, ახალგაზრდა მხატვრები იგრძნობენ, რომ ის არ ეკუთვნის მხოლოდ ისტორიას, მისი ხელოვნება მომავლისაკენ იუპურება და საესებით ეთანადერება თანამედროვეობას.

დიდი მადლობა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, რომლებმაც ასე გულუხვად გავვიზიარა მათი დირექტორი, ნიჭიერი შვილის შემოქმედებით გამოწვეული სიხარული. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხთა კულტურის განვითარებასა და წინსვლას.

სალამოზე სიტყვით გამოვიდა მხატვარი, ფერმწერი არმენ ატაიანი. იგი 10 წელია ნაყოფიერად მოღვაწეობს უკრაინაში.

მან თქვა—„პეტრე ოცხელის, ამ თავისებური და ნიჭიერი მხატვრის ნაწარმოებების ხილვისას ყველაზე ძვირფასია ის განცდა, რომ გრძნობ ნამდვილ შემოქმედს, რომელიც ყველაფერს აღიქვამდა ძალიან მწვევედ, და ვადმოსცემდა მათ მხოლოდ თავისი შინაგანი არსის წყალობით, თავისი დამოკიდებულებით“.

ყველაზე ძვირფასია ის, რომ იგი თავისი ქართველი ხალხის ნამდვილი მხატვარი იყო. აქ ზევრი ითქვა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელ—განსაკუთრებულ პლასტიკაზე, რამაც დიდი როლი ითამაშა პეტრე ოცხელის შემოქმედებაში.

უნდა გავაჩნდეს დიდი ტალანტი რათა ერთნაირად მაღალ დონეზე გააფორმო როგორც ტრავედა, ასევე კომედია—ეს იშვიათი გამოჩენილია და ყველასათვის არ არის მისაღწევია.

როდესაც მე ვათვალიერებდი ამ ნამუშევრებს, დასაწყისში ჩემში იგი აღფრთოვანებას იწვევდა, მაგრამ თანდათანობით აღფრთოვანებასთან ერთად გაკვირვება მატულობს, იმის გამო, თუ როდენ დიდი ნიჭით და ტალანტით იყო დაჯილდოებული ეს პიროვნება.

პეტრე ოცხელი სულ 30 წლის იყო როცა დაიღუპა. დაიღუპა სწორედ შემოქმედებითი სიმწიფის წლებში, თავისი ცხოვრების აღმაველობის წლებში.

პეტრე ოცხელის დეკორაციის ესკიზები, არ არის მხოლოდ ფონი მსახიობისათვის, იგი დრამატურგიული სიუჟეტის გახსნა და გადაწყვეტა.

პეტრე ოცხელი იყო დიდი ხელოვანი და შესანიშნავი პიროვნება, რომელიც დღესაც ჩვენს გვერდში იმყოფება.

შემდეგ, საღამოზე სიტყვით გამოვიდა ხელოვნებისმცოდნე არკადი დრაკი. «უკრაინის საზოგადოებრიობას—ალნიშნა მან,—განსაკუთრებით გვახარებს ის აზრი, რომ შესანიშნავი ქართველი თეატრალური მხატვრის პეტრე ოცხელის შემოქმედება, ნამდვილი შემოქმედებითი სიმწიფის აღმავლობის დროს ასე უდროოდ შეწყვეტილი მხოლოდ ისტორიას არ ეკუთვნის. პეტრე ოცხელის შემოქმედება ეკუთვნის დღევანდელ დღეს, ეკუთვნის ჩვენი საბჭოთა თეატრალური კულტურის მომავალს».

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე უკრაინის მხატვართა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მხატვარი ანტონ შიროკოვი, რომელმაც პარტიული ორგანიზაციისა და მთელი უკრაინის მხატვრების სახელით მაღლობა გადაუხადა, ქართველ მეგობრებს, ვინაც

ასე ფაქიზად შეინახა და შეინარჩუნა პეტრე ოცხელის შემოქმედება.

პეტრე ოცხელის რეალისტური ხელოვნება,—განაგრძობს ანტონ შიროკოვი სამუდამოდ დარჩება ახალგაზრდა, რაც განსაკუთრებით ძვირფასია დღეისათვის, როდესაც ხელოვნებაში გამწვავებული ბრიოლა მიმდინარეობს რეალიზმის საკითხებზე არა მხოლოდ ფერწერაში, არამედ გრაფიკაშიც და ასევე თეატრალურ ხელოვნებაში.

ახლო მომავალში, ერთი წელი სრულდება მთავრობის ხელმძღვანელების ინტელიგენციასთან მნიშვნელოვან შეხვედრიდან. წლის დასასრულს, როდესაც ჩვენ ანგარიშს ჩავებათ, თუ როგორ ვიდრე ხელოვნებაში რეალიზმის სადარაჯოზე, ვფიქრობ აქტივში შევა დღევანდელი გამოფენაც.

რეალისტი მხატვარი პეტრე ოცხელი, რომელიც ღრმად შეიგრძნობდა ყოველივე იმას, რასაც აკეთებდა, დღეს ჩვენს წინაშე წარმოვადგა, როგორც ცოცხალი შემოქმედი.

დიდი ხანი არ არის, რაც ვიყავი საქართველოში, სადაც ერთხელ კიდევ ვიგრძენი, თუ როდენ თბილი და მეგობრული დამოკიდებულება არსებობს უკრაინულ და ქართველ მეგობართ შორის. დაე ეს გამოფენა იქცეს უკრაინულ და ქართველი ხალხის შემდგომი შემოქმედებითი მეგობრობის ერთერთ მყარ დასაყრდენად.

საღამოს დასასრულს, უკრაინის საზოგადოებრიობას მაღლობა გადაუხადა მხატვრის დამ ნინო ოცხელმა.

პეტრე ოცხელის ნამუშევართა გამოფენა კიევში, უკრაინელი და ქართველი ხალხის შემოქმედებითი მეგობრობის ზეიმი იყო. გამოფენის ხარისხობრივად ჩატარებამ და მაღალმა დონემ ბუნებრივად განაპირობა ამ ორ ხალხს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების სურვილი ამ საერთო აზრის პრაქტიკულად განხორციელებისათვის მზადდება ორი გამოფენა, — საბჭოთა უკრაინის თეატრალურ მხატვართა გამოფენას იხილავს ქართველი საზოგადოებრიობა, რომელიც საპასუხოდ კიევში საბჭოთა ქართველ თეატრალურ მხატვართა საუკეთესო ნამუშევრებს გამოფენს.

თეატრის სპექტაკლების განხილვა

მიმდინარე წლის 14 მარტს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქ. სსრ კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირთან ერთად ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწვეეს ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლების განხილვა.

დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპ. სახ. არტისტმა დ. ანთაძემ.

დღეს, — განაცხადა დ. ანთაძემ, ჩვენ განვიხილავთ მუსიკალური კომედიის თეატრის შემოქმედებით მუშაობას, მის ბოლოდროინდელ რეპერტუარს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეატრს შეტად რთულ პირობებში უხდებოდა უბინაობის გამო მუშაობა, მაინც შეტად ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა.

დღეს, აქ, ან თეატრის მიღწევებზე უნდა ვიმსჯელოთ გულწრფელად, ობიექტურად, მის როგორც ნაკლოვანებებზე, ასევე მიღწევებზე, რათა მომავალში უფრო გააუმჯობესოს და მაღალ დონეზე აიყვანოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა.

მოხსენება თემაზე: „ვ. აბაშიძის სახ. თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის შემოქმედებითი მუშაობა“ წაიკითხა მუსიკის-მცოდნემ გულბათ ტორაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა: „მუსკომედია საყვარელი ჟანრია, გვყავს ნიჭიერი კომპოზიტორები და დრამატურგები, რომელთაც უნარი აქვთ დღეისათვის ჩამორჩენილი ეს ჟანრი წინ წამოსწიონ კარგი ნაწარმოებებით. არიან საიმედო არტისტული ძალები, რომლებსაც ძალუძთ მაღალ პროფესიულ დონეზე დააყენონ თეატრის შემოქმედება.“

ამ რამდენიმე წლის წინათ მუსკომედიის თეატრის მხატვრული დონე ერთობ დაბალი იყო, რადგან რეპერტუარში იყო სუსტი პიესები. ასევე სუსტი იყო მათი ვოკალური შესრულებაც.

უკანასკნელი წლებში თეატრის ცხოვრებაში აშკარა გარდატეხა მოხდა. თეატრმა დიდი მუშაობა გასწია იდეურ მხატვრული დონის ამაღლებისა და შემოქმედებითი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის. დასში მოვიდა ახალი შეგება თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სახით, გადახალისდა აგრეთვე ძველი კადრებიც. სპექტაკლოფენბახის „პერიკოლას“ დადგმამ თეატრს სრულფასოვანი გამარჯვება მოუპოვა. ამ სპექტაკლში თავი ისახელეს ახალგაზრდა მსახიობებმა — ე. გურაშვილმა, ო. ბახტაძემ, თ. მერკვილაძემ და თეატრის წამყვან მსახიობებად იქცნენ. ამას მოჰყვა სხვა ახალი დადგმები, ნ. გულიაშვილის „სალხინობელი“, რომელიც გამოირჩევა ხარისხობებით, ი. დუნიავის „დალი ქარი“, შ. მილორაგას „საყვარელი დისშვილი“, რომლებმაც მაყურებელთა და პრესის დადებითი შეფასება დაიმსახურეს. თეატრს გააჩნდა ჩრდილოვანი მხარეებიც. ეს იყო ა. კერესელიძის „სამი პატარაილი“, და შ. მილორაგას „დალი“ რომლებიც სუსტი იყო, როგორც სიუჟეტურ-დრამატიულად, ასევე მუსიკალური მხრითაც. წარმოდგენილი სპექტაკლები ხასიათდებოდა ბანალური კომიკური ინტრიგებით, ტექსტში მოკლებული იყო ყოველგვარ კომიზმს, მისი მუსიკალური ენა იყო იაფფასიანი. უფერული იყო აგრეთვე რეჟისორულ ნამუშევარიც.

არასრულფასოვანი იყო მუსიკალურად აგრეთვე რ. ვაბიჩაძის ოპერეტა „ჭირბინა“ ამიტომაც იყო, რომ ვერ შერჩა რეპერტუარს.

„პერიკოლას“ შემდეგ მეორე სერიოზული წარმატება ხვდა წილად დ. არაყიშვილის კომიკურ ოპერას „დინარას“ განახლებას. ამ დროისათვის განსაკუთრებით იგრძნობოდა თეატრის ზრდა როგორც საშემსრულებლო, აგრეთვე კომპოზიტორთა მუსიკალური შემოქმედებითი პროდუქციის მხრივაც. ამავე



პერიოდს ეკუთვნის შ. მილორაგას ოპერეტა „კომპლუ“ და „სიმღერა თბილისზე“. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი შესანიშნავი ნაწარმოებია მუსიკალური ხელოვნების თვალსაზრისით“.

— მუსიკალურ კომედიაში, — აცხადებს აშხ. გ. ტორაძე, — მუსიკას ეკისრება აქტიურ-დრამატურგული, გამოსახვეითი, პირველხარისხოვანი როლი, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი კომპოზიტორები ზოგჯერ ამ გარემოებას ივიწყებენ.

კომპოზიტორმა რ. გუდიაშვილმა საფუძვლიანად გადაამუშავა ოპერეტა „დინარა“. მასში შეტანილი იქნა თვით არაკომპოზიციონალური ლირიზმის ზოგიერთი ნიმუშიც. მაგ. „ვარსკვლავინსა ღამეს“, და „ღერწამი“. „დინარას“ ახალი რედაქციის შემდეგ თეატრს შეეძინა კარგი ქართული მუსიკალური კომედია, რომელსაც თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს.

თეატრს შემოკრებილი ჰყავს ნიჭიერი კომპოზიტორები: რ. გაბიჩვაძე, შ. მილორაგა, ა. კერესელიძე, ს. ცინცაძე, გ. ცაბაძე, ვ. კუროტილი, ჯიბუტი და სხვები. მიუხედავად ამისა ამ ქანრიისათვის მაინც ცოტა დაწერილი და ისიც ზოგჯერ დაბალი ხარისხისაა. ზოგიერთმა დადგამამ კი დიდი რეზონანსი მოიპოვა და რესპუბლიკის გარეთაც გადაინაცვლა, რაც მეტად სასიამოვნოა.

გადადის რა აშხ. გ. ტორაძე ცალკეული სპექტაკლების განხილვაზე ამბობს, რ. ლალიძის „კომპლუს“ მუსიკა მახვილი გრძნობითა დაწერილი, მსუბუქი და ადვილად დასამახოვრებელია. მასში ნათლადაა გამოხატული როგორც ლირიული, ისე კომიკური — საყოფაცხოვრებო მხარე. დამაჯერებლადაა მთავარ გმირთა მუსიკალური სახეები. შესანიშნავია ცალკეული მუსიკალური ნიმუშებიც, რომელიც დამოუკიდებლად არსებობის უფლებას ინარჩუნებენ.

დამსახურებული წარმატება ხვდა აგრეთვე შ. მილორაგას ოპერეტას — „სიმღერა თბილისზე“ რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა. კომპ. შ. მილორაგა ამ ენარში ყველაზე ინტენსიურად მუშაობს. იგი უკვე 13 ოპერეტის ავტორია.

აუდიტორიის კარგი შეფასება დაიმსახურა სპექტაკლმა: „მხოლოდ შენ ერთს“, დიდი ხანია მუშაობს ამ ენარში აგრეთვე კომპოზიტორი გ. ცაბაძე. მალე მისი ოპერეტა დაიდგმება მოსკოვის სცენაზე.

სულხან ცინცაძის ოპერეტა „წმინდა პროფესიონალური ენითაა დაწერილი. იგი ნამდვილი საოპერეტო ორკესტრის მუსიკაა, რთული პარტიტურით, მაგრამ დიბრეტო, თემატური მასალა არასაკმარისადაა დამუშავებული.

შეორე მოხსენებით თემაზე: „გ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის მიმდინარე რეპერტუარი“ გამოვიდა თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე.

— მუსიკალური კომედიის თეატრი — ამბობს ნინო შვანგირაძე, — დღითიდღე ივსება ახალი შემოქმედებითი ძალებით, რაც ამ თეატრის განუხრავლად ზრდას მოასწავებს.

თეატრალური კულტურა, — განაგრძობს მომხსენებელი, რეპერტუარიდან არ გამოირიყვას არც ენარობრივ მრავალსახეობას და არც თემატურ მრავალფეროვნებას. მასურებლისათვის ერთნაირადაა საჭირო კომედიაც და ოპერეტაც, დრამაც და ტრაგედია. ამ თეატრის ჟანრი მუსიკალური კომედია და ოპერეტა, რომლის ტექსტუალურ საფუძველად იგი კომედიურ ლიბრეტოებს იყენებს.

ისე როგორც სხვა თეატრების, ამ თეატრის ძირითადი თემა თანამედროვე ადამიანია მისი ღრმა ინტელექტუალური და რომანტიკული სამყაროთი.

მუსიკალური კომედიის თეატრში, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, იგრძნობა ძიება რეპერტუარის შექმნაში, რისთვისაც მიმართავენ როგორც ორიგინალურ, აგრეთვე თარგმნილ და კლასიკურ ნიმუშებსაც.

თანამედროვეობის თემაზე შექმნილი ლიბრეტოები: ნ. ხუნწარაძის „შესანიშნავი სამეფოები“, „სიმღერა თბილისზე“ და „მეკარე“, ლევან ჭუბაბრიას „სამი უფროსის მსახური“ და „მხოლოდ შენ ერთს“, ო. რაზმაძის და ნ. მახარაშვილის „ორი ქალიშვილი“, ლ. ჭუბაბრიას და რ. ებრალიძის „მეგობრები“, პეტრე გრუზინსკის „აბლაბუდა“ და სხვა.

მუსიკომედიის თეატრის რეპერტუარში — დასძენს აშხ. ნ. შვანგირაძე ბოლო ხანებში შეტანილია თანამედროვე თემაზე დაწერილ მოძვე რესპუბლიკების ავტორთა ნაწარმოებები, მავალითად ი. შატუნოვსკის „ჩანტას კონცა“, რომელმაც ქართველი მასურებლის მოწონება დაიმსახურა.

ნ. ხუნწარაძის „მეკარე“-ს ლიბრეტოს სიუჟეტი სადაა. იგი ეხება ქართველ ფეხბურთელთა ცხოვრებას, სადაც „გაქირტიკებულია“



ისეთი სპოორტსმენები, რომლებსაც წარმატებებმა თავბრუსხვევებს; ლიბრეტოში ნაჩვენებია მეგობრობა და ნამდვილი სიყვარულის ძალა.

სპორტის თემა დღეს ჩვენს ლიტერატურაში და ხელოვნებაში ფართოდ იკიდებს ფეხს. იგი საფუძვლად დაედო ბევრ საინტერესო სპექტაკლსა და კინოფილმსაც. მათი უმეტესი ნაწილი კომედიის ფორმითაა წარმოდგენილი.

„მეკარგი“ ძირითადი დრამატურგიული ხასიათი არაა მკვეთრი და სხვა სიუჟეტურ ხაზებთან არაა მთლიანობაში. დრამატურგი დიდი რაოდენობით იყენებს სიტყვის კომიზმს, ეს კი ხელს უშლის კომედიის გმირების ხასიათების გამოკვეთას. ისინი სქემატურ სახეებად რჩებიან, რომელთაც არ გააჩნიათ ინდივიდუალური თვისებები. ამიტომაც ისინი ადვილად გადადიან ერთი პიესიდან მეორეში. ასეთებია: ლევან ხუნდაძე — „მეკარგი“, მიხეილი „შესანიშნავი სამეფოში“, დემიტრი კუჭუხაძე და ნიკო ნამორაძე „ორ ქალიშვილი“ და სხვა.

სპექტაკლი „მეკარგი“ აქტიურულად ძლიერია. დამაჯერებელია ელენე ჩოხელის მიერ შექმნილი სახე. ასევე პროფესიონალურად სრულყოფილია ვ. სალარიძის, ვ. იანვარაშვილის, ი. ქუთათელაძის მიერ განხორციელებული სახეები, რომელთაც გვერდით უდგათ ნიჟერი ახალგაზრდები თ. მერკვილაძის, თ. ხელაშვილის, ზ. კახიანის, ი. ვასაძის ლ. ჩიბალაშვილის და სხვათა სახით.

იგივე ავტორს ეკუთვნის ოპერეტა „შესანიშნავი სამეფოში“ ლიბრეტო. სიუჟეტი მარტივია. ენება სამი სტუდენტის ცხოვრებას. კუჭური ამთავრებს თეატრალურ ინსტიტუტს, მამაკი მის აგრონომობაზე ოცნებობს და თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შეიტყობს რომ შვილს თავიდანვე უთქვია უარი აგრონომობაზე. ეს სტუდენტები ერთად ცხოვრობენ. ლიბრეტოს დასაწყისშივე პერსონაჟები საოცარ გაუგებრობათა ბაღში იხლართებიან და ბოლოს ყველაფერი კეთილად მთავრდება. მამაც გაბარებულა და შეყვარებულებმაც ერთმანეთი მონახეს.

ასეთ დახლართულ კომედიაში ძნელია ერთ გამოკვეთილ იდეაზე და თემაზე ლაპარაკი, მაგრამ ჟანრის გადაწყვეტის საშუალებები კი ნათელია, იგი მიღწეულია გარეგნული კომიზმით.

თუ ავტორს სურდა ეთქვა, რომ პროფესიის არჩევაში მშობლები ობიექტურები უნდა იყვნენ და ხელი უნდა შეუწყონ მისი ნიჟიერების გამომქვანებას, მაშინ ეს უნდა ყოფილიყო პიესის ძირითადი იდეა.

სპექტაკლში კარგი აქტიორული ნამუშევრებით გამოირჩევიან თ. ბეგალიშვილის — კუჭური, ი. ვასაძე — რომენტი, ვ. იანვარაშვილი — თეო.

ლ. კუბაბრიას კომედიას — „სამი უფროსის მსახური“, გააჩნია საინტერესო თემა — პატიოსან კაცს, ოჯახისათვის თავდადებულ მამას არ სურს დაარღვიოს მოცემული საზოგადოების ფორმების სოციალ-დემოკრატიული წესები და ნორმები, მაგრამ ცხოვრების ზედმეტი ელემენტები აიძულებენ მოიქცეს ისე როგორც მათ აწყობთ. პიესაში მწერლის ალღოთია დანახული იოლი და პნელი გზების საკითხი, ცხოვრებასთან შეშინებული დამოკიდებულების შესახებ. ამდენად პიესა საინტერესოა. მასში მოტანილია ახალი სახეები, დასმულია საზოგადოებრივი საკითხები უშუალოდ, ყოველგვარი შტამების გარეშე, და პიესა ერთ-ერთი საგულისხმო ნაწარმოებია, მაგრამ აქვს ნაკლოვანი მხარეებიც. ცალკეული გმირები სრულყოფილი არ არის, სახეები ზოგჯერ სქემატურია, ამიტომ მაყურებელი ვერ ერკვევა ზოგიერთ გმირში დადებითია ის თუ უარყოფითი.

ეველი ხერხების რესტავრაციის ნიშნებით არის დაწერილი ო. რაზმაძის და ნ. მახარაშვილის ლიბრეტო „ორი ქალიშვილი“.

ხელოვნების ვერცერთი დარგი განმეორებას ვერ ითმენს და იგი ტრაფარეტად იქცევა. ტრაფარეტი, ერთფეროვნება, ყველაფრის გამახსარაგება სკენიდან უარყოფითი ვაჟენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, მის გემოვნებაზე.

„ორი ქალიშვილი“ მცირე სიუჟეტური კომედიაა. პროფესორის მანქანის მძღოლი კიკელი ექიმად მიიღეს. ავტობიოსანი — პროფესორად, ქარაფშუტა ციური პროფესორის რძლობაზე ოცნებობს, რასაც მისი დედაც უწყობს ხელს და ა. შ.

მთავარია არა სიუჟეტის დახლართვა და გაუგებრობათა რაოდენობის გაზრდა, არამედ ის, თუ რამდენად ლოგიურია ეს გაუგებრობანი და როგორ ემსახურება გონივრულ იდეას. წარმოდგენილ ლიბრეტოში არ არის მოცემული მომქმედ პირთა მთლიანი განვი-



თარების ხაზი. დედის ალერსით განებეგრებული და დამოუკიდებლობის შეუჩვეველი ციურის სახის გამოკვეთისადმი უნდა ვამაზებულეულიყო ყურადღება, მაშინ ამოცანა ნათელი იქნებოდა: მშობლის წვლილი ბევრით, შრომის მოყვარე ადამიანის ჩამოყალიბებაში და სხვა.

ჩვენი მკურებელი მოითხოვს ხელოვნებისაგან, რომ იგი სწორედ ესმარებოდეს თანამედროვეობის დიდ მოვლენებს, იმ დიდ ძვრებს, რაც დღევანდელი ადამიანის გონებრივ და სულიერ სამყაროში ხდება. აი, როცა ამ თვალსაზრისით ვუდგებით ჩვენ დღეს ქართული თეატრის მუშაობის შეფასებას, მაშინ რა თქმა უნდა დაუქმყოფილებლობის გრძნობას იწვევს ქართული დრამატურგიის სავნად სექტანტობის თემის აღება და ქართული მუსიკალური კომედიის თეატრში მისი წარმოდგენა.

ქართულები არასოდეს ყოფილან რელიგიის ორტოდექსები. ქართველი ხალხისათვის, მისი ინტელექტუალური ზრდისათვის არასდროს არ წარმოადგენს საშიშროებას არამც თუ სექტანტობა, მთელი ქრისტიანული რელიგიაც კი.

პეტრე გრუზინსკის ლიბრეტო „აბლაბუდა“ სექტანტობის თემაზეა აგებული. სასურველი იქნებოდა კომპოზიტორ სულხან ცინცაძის შესანიშნავი მუსიკა, ქართველ ხალხისათვის სხვა უფრო არსებითი მნიშვნელობის მქონე თანადროულობის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებზე აქცერებულიყო. საჭიროა მუსიკამედის თეატრში მომავალშია უფრო მეტად იბრძოლოს სრულფასოვანი თანამედროვე ქართული ლიბრეტოების შექმნაზე, სიუჟეტური კომედიებისა და ოპერეტების შექმნაზე.

მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს: თეატრმცოდნე ვ. კიკნაძე, მუსიკისმცოდნეებმა ან. წულუკიძემ, მ. ფიჩხაძემ, ხელ. დამსახ. მოღვაწეებმა კომპოზიტორებმა ალ. შავერზაშვილმა და ვ. თორაძემ, ხელ. დამსახ. მოღვაწეებმა რეჟისორებმა მ. კვლიაშვილმა, ბ. გამრეკელმა და შ. მესხმა, თეატრმცოდნე ელ. კვიციანიამ, კულტურის მინისტრის მოადგილემ აკ. დგალიშვილმა და სხვ.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მუსიკალური კომედიის თეატრზე, — აცხადებს სიტყვაში გამოსული თეატრმცოდნე ვ. კიკნაძე, — არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუსიკალური კომე-

დიის თეატრს უაღრესად რთული მსახიობიც ესაჭიროება, რომელშიაც ერთის მხრივ გამოხატული იქნება მასში დრამატიული საწყისი, ე. ი. წმინდა აქტიორული ფსიქოლოგია, პირველ რიგში უნდა იყოს განცდის მსახიობი და შემოქმედი, ხოლო მეორეს მხრივ მას ექნება მუსიკალური მონაცემებიც. ამ ორივე მხარის შერწყმა, დაცვა და ჰარმონიული განვითარება არის ამ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების სული.

მე არ შემიძლია არ დავეთანხმო მომხსენებელს, ვანაგრძობს ვ. კიკნაძე, — იმ კრიტიკაში, რომელიც მიეცა პეტრე გრუზინსკის, როცა იგი „აბლაბუდას“ ლიბრეტისტს. რა საჭიროა დღეს სექტანტობაზე ვწეროთ და დავდგათ სპექტაკლი, როდესაც ისევ ჩვენ ხალხს ამდენი ამალელებელი პრობლემა აქვს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ყველა ჩვენგანს ცხოვრებაში მოხდა დიდი ტკივილები, დიდი სიხარული, რატომ არ ამოიღო ხმა ჩვენმა დრამატურგებმა, არ დაიდგა ერთი პიესაც კი ამ ტკივილებსა და სიხარულზე.

ჩემის აზრით კარგი იქნებოდა ლიბრეტოს ავტორს პეტრე გრუზინსკის არ დაეხარჯა თავის ნიჭი და ენერგია ასეთ თემატკაზე, რადგან ჩვენი ქართველი ადამიანისათვის ეს არ არის დიდი მტკივნეული პრობლემა და არც დამახასიათებელია მისთვის სექტანტობა.

მუსიკის-მცოდნე ამხ. მ. ფიჩხაძემ ილაპარაკა სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებაზე. მან საყვედური გამოთქვა, რომ მუსიკალური კომედიის მუშაობაში ნაკლებად დებულობენ მონაწილეობას ჩვენი წამყვანი კომპოზიტორები. საჭიროა ამ მხრივ თეატრშიც გადადგას ნაბიჯი, რადგან მუსიკალურ თეატრში და საერთოდ ოპერეტაში მუსიკა არის მთავარი; მიუხედავად სუსტი ლიბრეტოსი „აბლაბუდაში“ შესანიშნავად ჰდერს სულხან ცინცაძის მაღალი გემოვნებით დაწერილი მუსიკა. საჭიროა ასეთი თანამშრომლობა თეატრისა და კომპოზიტორის შორის მომავალშია გაგრძელდეს.

ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური თეატრის კოლექტივის ხეტიალს, უბინაობის გამო, ბოლო მოეღება უახლოეს თვეებში. — აცხადებს ხელ. დამსახ. მოღვაწე, კომპოზიტორი ალ. შავერზაშვილი, — მაგრამ თქმა არ უნდა ახალა შენობაში მას სრულიად



ახლებურად მოუხდება წარმართის თავის შემოქმედებითი მუშაობა. თეატრის ხელმძღვანელობამ აქედანვე უნდა გაითვალისწინოს ის, რომ თეატრის დასჭირდება მათი კარგი დადგმების აღდგენა, ახალი დეკორაციებისა და კოსტუმების დამზადება და შესაძლებელია აქტივობა კადრებით შევსებაც. ორკესტრიც უნდა შეიქმნას კვალიფიციური ორკესტრანტებით. საჭიროა თეატრის მუშაობაში ჩაებას როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორები, რათა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი სანიმუშო თეატრად გადაეკეთოს.

ხელ. დამსახ. მოღვაწე, რეჟისორმა მის. კვალაშვილმა ილაპარაკა რა სპექტაკლ „აბლაბუდას“ შესახებ აღნიშნა, რომ სპექტაკლის მუსიკალურმა გაფორმებამ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— კომპოზიტორი სულხან ცინცაძე, — დასძინს ორატორი, — სერიოზულად მიუძღვა მუსიკალური კომედიის რთულ პრობლემას და მაღალ დონეზედაც აიყვანა იგი თავისი შესანიშნავი მუსიკით.

აღსანიშნავია სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ზოგიერთი ნაკლოვანებანიც. სრულიად შეუფერებლად მიმაჩნია უფარდო სცენა, სადაც დეკორაციების გადადგმა-გადმოდგმა მაყურებელთა თვალწინ ხდებდა. შრაფალსურათიანობა, სცენაზე მსახიობთა გაუთავებელი მისვლა-მოსვლა და ასევე გაუთავებელი სურათების ცვლა. ყოველივე ეს ხელს უშლის მსმენელებს ცინცაძის მშვენიერი მუსიკის მოსმენაში. ბოლოს არ შემიძლიან არ აღვნიშნო ელ. ჩოხელის; ე. გურაშვილის და ვ. სალარიძის ბრწყინვალე თამაში.

თეატრმცოდნე ელ. კვიციანიამ ილაპარაკა მუსიკალური კომედიის შემოქმედებით მუშაობაზე და საერთოდ ოპერეტის ტრადიციებზე წარსულში საქართველოს სინამდვილეში, — ასევე აღნიშნა, რომ „აბლაბუდაში“ არ არის დიდად საჭირობო ოტო თემა. საგანგებოდ რომ შევადგინოთ მაყურებლის ანკეტა, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს სპექტაკლი არის უმისამართო, ე. ი. ეს ვერ ახდენს შემოქმედებას აუდიტორიაზე, მაგრამ იმდენად, რამდენადაც სექტანტობა საქართველოშიც არსებობს, მას ფელეტონები და წერილები ეყოფა.

თბილისის მუსიკალური კომედიის მუშაობის შესახებ, — აცხადებს მუსიკისმცოდნე ამბ ა. წულუკიძე, — უკანასკნელ წელს ბევრი ითქვა პრესასა და საზოგადოებაში. ამ თეატრმა უკანასკნელ ხანებში, მიუხედავად რთული პირობებისა მაინც გარდაქმნა თავისი შემოქმედებითი მუშაობა, შეიქმნა მტკიცე რეპერტუარი.

ქართველ ხალხს გააჩნია გენიალური, დაუმრეტელი იუმორი, ყოველ ხალხურ იუმორულ თქმაში, რაღაც პრობლემა არის. სწორედ ამ იუმორის გავრცელება და გაზრდა ევალება ჩვენი ხელოვნებას.

პეტრე გრუზინსკის ლიბრეტოს „აბლაბუდას“ შესახებ: პიესა დაწერილია რუსულ ენაზე და გადმოკეთებულია ქართულად. ს. ცინცაძის მუსიკა შესანიშნავია. მაგრამ სამწუხაროა, რომ მუსკომედიის თეატრი ასეთ წვრილმან თემაზე ხარჯავს თავის ტალანტს. სექტანტების ამზავი ჩვენი ხალხისათვის არ არის ისეთი პრობლემა, რომ გვაღელვებდეს.

ქართული მუსიკალური კომედიის შემოქმედებითი მუშაობასა და მის პერსპექტივებზე ილაპარაკეს აგრეთვე ხელ. დამსახ. მოღვაწე კომპოზიტორმა დ. თორაძემ, ხელ. დანსახ. მოღვაწეებმა ბ. გამრეკელმა და შ. მესხმა. შეაჯამა რა დისპუტის მუშაობა საქ. სსრკ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. ბ. დვალისვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ მომავალ სეზონს მუსიკალურ კომედიის თეატრი თავის სტაციონატში გახსნის. ცხადია თეატრის ხელმძღვანელობასა და მის შემოქმედ კოლექტივს დასჭირდება თავის მუშაობის ახლებურად წარმართვა. ამაში ცხადია თვითველმა ჩვენგანმა უნდა შეუწყოს ხელი. საქ. სსრკ. კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების ერთერთი დახმარება თეატრისადმი ისიც იქნება, რომ თანამედროვეობის ამსახველ პიესებზე ახლად გამოცხადებულ კონკურსის პირობებში რომელიც უახლოეს დღეებში იქნება გამოქვეყნებული, შეტანილი იქნება აგრეთვე მუსიკალური კომედიის ლიბრეტოების წარმოდგენის პირობებიც, რაც ხელს შეუწყობს რეპერტუარის შევსებას და მის გამდიდრებას.

მანერაობა მუშაობას

სასცენო მეტყველების მეთოდურმა საბჭომ თავისი გასვლითი სხდომები ჩაატარა ქალაქებში—მახარაძესა და ბათუმში ამა წლის 21, 22 და 23 თებერვალს.

მახარაძის თეატრში მეთოდურმა საბჭომ ნახა დუმბაძისა და ლორთქიფანიძის პიესა „მე ვხედავ მზეს“, ხოლო ილია ქავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში ორი სპექტაკლი: ალ. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“ და კარლ ვიტლინგერის „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“.

გასვლით სხდომებზე საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ რესპუბლიკის სახალხლო არტისტმა დ. ანთაძემ აღნიშნა სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს მუშაობა ქართული სასცენო სწორმეტყველების საკითხებზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აწუხებდა თეატრში განზრახულია მეთოდურმა საბჭომ ჩაატაროს სამეცნიერო სესია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს დრამატული თეატრების წარმომადგენლები და რომელიც მიეძღვნება ქართულ სასცენო სწორმეტყველებას. ამჟამად მეთოდური საბჭოს შემადგენლობა ეცნობა მასალებსა და შემდეგ კი მოახდენს შეგროვილი მასალის განზოგადობას.

აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა ილაპარაკა ქართული სწორმეტყველების საკითხებზე და აღნიშნა, რომ მახარაძის თეატრის სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ზოგიერთი შემსრულებელი არ ჩინოვანდება თბილისის მსახიობებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხატიას როლის შემსრულებელი მსახიობი ე. დარჩია, კარგია აგრეთვე სოსიას როლის შემსრულებელი ე. მექვაბიშვილი, მშვენიერია ლუკიას როლის შემსრულებელი მსახიობი რ. ლომინაძე, კესარიას როლის

შემსრულებელი ან. ანდლუაძე და სხვები. მსახიობების მეტყველების შესახებ უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ სცენიდან იკარგებოდა და არ ისმოდა ზოგიერთი მსახიობის ლაპარაკი მაყურებელთა დარბაზში. დოკტორმა მ. მრეველიშვილმა, შენიშნა, რომ ამ სპექტაკლის ნახვას ქონდა დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა. დადებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ამ სპექტაკლში მოვისმინეთ სანიმუშო გერულნიკი. ხოლო უარყოფითი—რომ მახარაძის თეატრის მსახიობების ლიტერატურულ მეტყველებაზე ჩვენ ვერ ვიქონიებთ მსჯელობას. მან უყრადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მაყურებელთა დარბაზს მეტად ცუდი აკუსტიკა აქვს და ნაწილობრივ ამისი ბრალიც არის რომ ბევრი რამ იკარგება მსახიობების მეტყველებიდან.

პროფესორმა შ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ მახარაძის თეატრში სპექტაკლის „მე ვხედავ მზეს“ დადგმას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მეტყველების თეატრისათვის. საქმე ისაა, რომ კუთხური კოლორიტის გამოვლენას აქ ბუნებრივი პირობები გააჩნია, და ამგვარად, მახარაძელთა შესრულება შემოხსენებულ პიესისა შესაძლებელია სამაგალითოდ და სანიმუშოდ მივიჩნიოთ. მართლაც, თუ საქართველოს სხვა თეატრებში ამ სპექტაკლში შეიმჩნევა ერთგვარი სიკრულე და აღრევა ინტონაციის სფეროში და არ არის მიღწეული ერთგვარობა, ერთიანი მელოდიკური ფონი, მახარაძის თეატრში ამის მაგალითს ვერ ვპოულობთ; აქ დიალექტური ინტონაციური თავისებურება შეურყენელად აოის დაცული და თავისი ბუნებრივი სახით გამოიყურება, თუმცა ალაგ-ალაგ შეიმჩნევა ენობრივი ნატურალიზმის არასასურველი გამოვლინებანი.

მიუხედავად ამ დადებითი გარემოებისა



აქ სასცენო მეტყველების ზოგიერთი მხარე შენიშვნებს იმსახურებს. ზოგიერთი მსახიობის მეტყველება, ასე ვთქვათ „შინაურულია“, „თავისთვის ლაპარაკის“ შთაბეჭდილებას ბადებს და დავიწყებულა ის, რომ საუბარი სცენაზე მიმდინარეობს და ყოველი ფრაზა მსმენელისათვის (მაყურებლისათვის) არის გამიზნული. ამ ე. წ. ენობრივი ნატურალიზმის შედეგია, რომ ზოგიერთი მსახიობის მიერ წარმოთქმული ფრაზები არ ისმის და სწორია ამ მიმართულებით სათანადო მუშაობა იქნეს გაწეული. მეორე მხრივ, — განაგრძობს შ. ძიძიგური, — ალაგ-ალაგ შეიმჩნევა ტექსტიკული ენის შეცვლა: დიალოგი მთლიანად აგებულია გურულ კილოზე, მაშინ როდესაც ავტორს დიალექტის თავისებურებანი დიდი ზომიერებით აქვს დაცული და გმირის მეტყველება მთლიანად და სავსებით არის დაფუძნებული ამ კილოს ფონეტიკურ-გრამატიკულ ქარგაზე. ასეთი გადახვევაში, ვფიქრობ, უნდა აღიკვეთოს ჩვენ სცენაზე.

საერთოდ სპექტაკლში, შ. ძიძიგურის დასკვნით, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ბათუმის თეატრის სპექტაკლების შესახებ აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა განაცხადა, რომ კარგი შთაბეჭდილება დარჩა. სპექტაკლში „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“ ძალიან მოეწონა მსახიობ გ. გოგიბერიძის თამაში, მაგრამ მის მეტყველებაში ბგერა არ მოეწონა და ამ ბგერასთან დაკავშირებული ძ, ც, წ ბგერა, რომლებიც მსახიობის წარმოთქმაში მკაფიოდ არ ისმის. ასე, მაგალითად, სიტყვა „საავადმყოფოს“ წარმოთქმის დროს არ ისმის წინა ს. წარმოთქმაში ამ ნაკლს მსახიობმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

ალ. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“ არის ისეთი სპექტაკლი, რომელშიაც მწვავედ დგას საკითხი ჩვენი დროის ახალგაზრდობის საქციელის შესახებ, რასაც პასუხი უნდა გავცეთ. ახალგაზრდი დრამატურგს მოუძენია პიესის ძარღვი და მის განხორციელებაში კარგად ახერხებს, მაგრამ ერთგვარ გადაჭარბებას უნდა ერიდოს და კარგი იქნება თუ ზოგიერთ კორექტივს შეიტანს პიესაში. ამ სპექტაკლში სტეფანის როლის შემსრულებელს საქ. რესპ. დამს. არტისტს გ. იმნაიშვილს მკაფიო გამოთქმა ქონდა, მაგრამ ეს იყო გურული კილო. ვფიქრობ,

რომ გურული კილო ზომიერად ყოფილიყო გამოყენებული. მსახიობის მეტყველება დიალექტიზმს ემორჩილებოდა ინტონაციურად. საერთოდ, სცენიდან უნდა ისმოდეს სალიტერატურო ენა და ასეთ მეტყველებაში შეიძლება შიგ ჩართული იყო კოლორიტული მომენტები. ჩვენ რომ სცენა ვაქციოთ ერთგრაფიის ნიმუშად, ეს იქნებოდა შეცდომა. მაგრამ სავალალოა ის გარემოება, რომ სალიტერატურო ენა ხელში არ გვიკავია. უცხო ენის შესწავლის დროს ჩვენ ხელთ გვაქვს ხოლმე ფირზე ჩაწერილი სანიმუშო წარმოთქმები. ამ ჩანაწერებს უსმენს სტუდენტი და სწავლობს ენისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას. საჭიროა შეიქმნას ქართული მეტყველების ნიმუშები, ამისათვის შეირჩეს მსახიობების, ლექტორების, თუ სხვათა მეტყველება და ჩაიწეროს ფირზე.

ბროფესორმა შ. ძიძიგურმა თქვა, რომ სასცენო მეტყველების მეთოდურ საბჭოს ჯერ არ გაუშლია მუშაობა მთელი გაქანებით, და ის თავის მუშაობის შემამზადებელ საფეხურებზე იმყოფება. ჩვენ ჯერჯერობით მასალას ვაგროვებთ. დადგება დრო ამ მასალის განზოგადებისა. ჩვენი ამოცანა არის მოგავაგროთ ქართული სასცენო სწორმეტყველების საკითხი და თუ ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რომ სცენა არის საუკეთესო სარბიელი მეტყველებისა, ამიტომ სასცენო მეტყველების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა არის ის რთული ამოცანა, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ. ეს ისე ეკ არ უნდა ვავიგოთ, რომ სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს ჩამოყალიბება ხვალვე გარდაქმნის მეტყველების მდგომარეობას ქართულ სცენაზე. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო იქნება სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოსა და თეატრების შემოქმედებითი კოლექტივების ერთობლივი მუშაობა, რასაც ხანგრძლივი დრო დაქირდება.

უნდა ვიღიაროთ, რომ წარსულთან შედარებით ღრეანდელი დონე სასცენო მეტყველებისა დაქვეითებულია. ეს გარემოება დაკავშირებული არის საერთოდ ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობასთან. სიჭრელი, აღრეულობა, დიალექტიზმის მოძალბა იწვევს იმას, რომ ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურა შეირყა. თუ ისტორიულად ქართული სალიტერატურო

ენა ერთ დიალექტურ წრეს ეყრდნობოდა, ახლა მისში ბევრი დიალექტი ისმის, ლიტერატურულ ენა ისტორიული კატეგორიაა და არა აბსოლუტური. როდესაც ენისათვის ერთი დიალექტი იყო საყრდენი და ამოსავალი, მაშინ სალიტერატურო ენის სტრუქტურაც ერთგვაროვანი იყო, მაგრამ როდესაც სხვა დიალექტებმაც მიიღეს მონაწილეობა სამწერლო ენის შექმნაში, ამან გამოიწვია სიჭრელე. თორემ, სად ჩვენი დროის ენის განვითარების ასპარეზი და სად ლაღო მესხაშვილის დროის ენისა. ენათმეცნიერები დიდ მუშაობას აწარმოებენ და იბრძვიან ამ საკითხის მდგომარეობისათვის.

როდესაც ჩვენ ვზრუნავთ სცენის მეტყველების განვითარებისათვის ჩვენს წინაშე დგება რამდენიმე საკითხი. ჯერ ერთი, სასცენო მეტყველებას მოეთხოვება სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა. მაგრამ როგორი უნდა იყოს პიესაში გმირის ენა? გამოყენებულ იქნას დიალექტი თუ გვირები მეტყველებენ სალიტერატურო ენაზე?

მწიგნობრულ ენაზე მეტყველება ყალბი იქნება და მხატვრული თვალსაზრისით გაუმართლებელი. თუ პიესაში ინტელიგენციაა გამოყვანილი მან უნდა ილაპარაკოს ლიტერატურულ ენაზე, მაგრამ როდესაც პიესაში გამოყვანილია გლეხი, მის მეტყველებას არ უნდა ემჩნეოდეს მწიგნობრული მეტყველების შტამში, არსებობს სასაუბრო ენის სტრუქტურა, რომელიც განსხვავებულია მწიგნობრულ ენისაგან. ჩვენი ინტელიგენტის მეტყველება სასაუბრო სტრუქტურის უნდა იყოს. სტელურად სასაუბრო მეტყველებას ახასიათებს სიმსუბუქე. დრამატურგია უნდა იყოს სასაუბრო მეტყველების ნიმუში. ისმის კითხვა, პიესის გმირი თუ სკოლაგაუფლელი გლეხია იგი ლიტერატურული ენით უნდა მეტყველებდეს თუ როგორ? აქ დგას კუთხური ენის გამოყენების ზომიერების საკითხი. ამის ნიმუშს იძლევა დ. კლდიაშვილის პიესების პერსონაჟები, ავტორი ზომიერად და აქა-იქ ხმარობს დიალექტურ ფორმებს და ამით მხატვრული ეფექტი მიღწეულია. თუ მწერალი გმირის მეტყველებას მთლიანად დიალექტებზე ააგებს, ეს იქნება ენობრივი ნატურალიზმის გამოვლენა. დრამატურგმა უნდა მოინახოს ტიპობრივი ფორმები დიალექტიდან და პიესისათვის ეს საკმარისი იქნება.

მეორე ხერხით, რომელსაც უნდა მიხვთათვდეს მწერალი და დრამატურგი ეს არის ილიომები, ფრაზეოლოგიზმები, ლექსიკური თავისებურებანი, სიტყვათა საქცევები. ამის მაგალითს შევხვდით ალ. სამსონიას პიესაში, რომელსაც კარგად აქვს გამოყენებული სიტყვა ხიდები „შემეხიდე“. ასეთი ფრაზეოლოგიზმები და ლექსიკური დიალექტიციზმი კოლორიტსაც მიანიშნებს და სალიტერატურო ენაშიც გაგრძელდება, როგორც დიალექტში შეგუზავებული სალი ფორმები, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს სალიტერატურო ენას.

მსახიობმა კი მეტყველებაში კოლორიტის მინიშნების საშუალებად ინტონაცია უნდა გამოიყენოს.

ბოლოს უ ძინიჯური შეეხო ბათუმის თეატრის სპექტაკლების ზოგიერთ ნაყოფან მხარეს. მან აღნიშნა, რომ მსახიობ ცანავას მეტყველებას ერთი ნაკლი აქვს. წინადადებას იწყებს აღმავალი მელოდიკური ხაზით. წინადადების ბოლო ნაწილი არის ძალიან დაბალი ტონურად, რისგამოც მისი მეტყველება მონოტონურ შობამედილებას ქმნის. ამ მსახიობის მეტყველებაში ნაკლებია ხმის მოდულაცია. ერთი ფრაზა მეორეს გავს ინტონაციურად. მსახიობმა უნდა იზრუნოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

დოცენტი მ. მრგვლიშვილი ზოგიერთ შენიშვნას აკეთებს მსახიობის მეტყველების მიმართ. მსახიობმა ნ. წერეთელმა მეტყველების ტემპის ზომიერ გამოყენებას, უნდა მიაქციოს ყურადღება, ცანავამ—ხმის გამოყენებას, ხოლო გ. გოგიბერიძემ—წარმოთქმის ნაკლოვანებებს. მსახიობი რ. კაკაურიძე აღრეული დიალექტებით მეტყველებს. მან აღნიშნა, რომ ქართულ თეატრებში მეტყველების თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობა არსად გვინახავს, მაგრამ ამ მხრივ ბევრი რამ გასაკეთებელი და მოსაგვარებელია ქართულ სასცენო მეტყველებაში, რასაც მეთოდური საბჭოს მუშაობა უთუოდ ხელს შეუწყობს.

პროფესორმა დ. ჯანელიძემ თქვა, რომ ალ. სამსონიას პიესაში დაყენებულია სწორმეტყველების საკითხი. სპექტაკლში ხაზგასმულია თუ რას უნდა ვებრძოლოთ ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად. სპექტაკლში მხილებული არიან ჯარგონით, უწმაწური სიტყვებით მოლაპარაკე ახალგაზრდები. მე-



ტყელების საკითხის ასე მწვავედ გამოხატვა პიესაში დრამატურგის დამსახურებია. ალ. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონ“ გვიჩვენებს თანამედროვე ახალგაზრდობის როგორც დადებითი ისე უარყოფით მხარეებს. სპექტაკლში იმდენად ხატოვნად, რეჟისორული გამომგონებლობით და მსახიობების შთამაგონებელი თამაშით არის გადმოცემული ახალგაზრდობის საკითხი, რომ სპექტაკლი იდეურ მიზანს აღწევს. უარყოფითი პერსონაჟებს სწორად, მამხილებლად ასრულებენ მსახიობები: შერვაშიძე, საკანდელიძე, ტაკიძე და ტორონჯაძე. ამ კომედიაში დადებითის ჩვენების საკითხიც სწორად არის გადაჭრილი, მაგრამ დადებითი პერსონაჟები პიესაში არ არიან სათანადოდ დატვირთულნი მოქმედებაში, სქემატურად გამოიყურება თალიკოს სახე. მსახიობ ნ. მესხიძის შესრულება ისეთ თვისებებით არის მოცემული, რომ მაყურებელი გრძნობს, არ შეიძლება ეს ახალგაზრდა მთლიანად გადაგვარდეს, ამიტომ ბუნებრივად გეჩვენებათ, რომ ის დაუბრუნდა შრომას და სახლს. მსახიობ იმნაიშვილის მიერ შექმნილი სევასტის სახე არის თბილი, მართალი და საინტერესო. ლ. აფხაზაძე კარგად ანსახიერებს ანეტას სახეს. გრამიტონის სახის შემსრულებელი რ. კაკაუაძე გამოიყოფა დიალექტიზმების ქარბი ხმარებით.

რეჟისორ გ. ყორღანიას როლი განსაკუთრებით ჩანს ამ სპექტაკლში. ეს ახალგაზრდა თეატრალური ინსტიტუტის მიერ არის აღზრდილი და მან ღირსეულად დაიცვა ჩვენი ინსტიტუტის სახელი და მის მიერ

შექმნილ სპექტაკლში გამართლდა სტალინის ქოთა რეჟისორის, როგორც სპექტაკლის იდეური ხელმძღვანელის მეტად რთული მისია, გ. ყორღანიამ გაგვახარა თავისი ფანტაზიით და ახალდამწყებ დრამატურგისათვის მხარდაჭერით.

კარლ ვიტლინგერის პიესაში „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“, რომლის დადგმა ეკუთვნის საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. ინასარიძეს, თითოეული მსახიობი ხუთ-ხუთ როლში გვეჩვენება და ყველგან პროფესიონალურ სიმძლევედგანან და ზოგიერთი როლის შესრულებაში კი მაღალ ოსტატობას ამჟღავნებენ. ასეთი იყო მსახიობ ნ. წერეთლის მიერ შექმნილი ჰერტრუდას სახე.

და ბოლოს, დ. ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ბათუმის თეატრი დიდი ყურადღების ღირსია. იგი ღირსია ატარებდეს ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელიც ქართულ თეატრს უფრო თხილდებოდა როგორც ქართული მართლმეტყველების კერას.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს ბათუმის თეატრის მსახიობმა საქ. სსრ სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ, აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დიასამიძემ და თეატრის დირექტორმა შ. დავითაძემ, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს წარმომადგენლებს გარჯისათვის და საქმიანი შენიშვნებისათვის.



საწარმოო განყოფილება

ცნობილია, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოება ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წარმოადგენს. იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საბჭოთა თეატრალურ ხელოვნების განვითარებას, განამტკიცოს თეატრის მუშაკების კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, აღზარდოს თეატრალური მოღვაწეები საბჭოთა პარტიოტიზმის კომუნისტური მორალისა და ეთიკის სულისკვეთებით, ხელი შეუწყოს თეატრალურ მოღვაწეთა იდეოპოლიტიკური დონისა და წაბტრული ხელოვნების ოსტატობის ამაღლებას. ჩაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები იმ მიზნით, რომ საზოგადოების წევრებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს თავიანთი პროფესიის უკეთ დაუფლებისათვის.

თეატრალური საზოგადოება, თანახმად თავისი წესდებისა, საარსებოთ ქმნის ფინანსიურ საფუძველს, როგორც თეატრალურ საზოგადოების წევრთა შესასვლელისა და საწევრო შესატანებისაგან, აგრეთვე საზოგადოების დამხმარე საწარმოების შემოსავლებისაგან.

საწარმოო განყოფილება, ძირითად მატერიალურ ბაზას უქმნის საზოგადოების პრეზიდენტს და აძლევს მას საშუალებას ფართოდ გაშალოს მუშაობა, სახელმწიფო და სახალხო თეატრების შემოქმედებითი კოლექტივებში და ასევე საზოგადოების ცალკეულ წევრთა შორის.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილებას, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობს: ბ. სიხარულიძე და მისი მოადგილე ა. ქედია გააჩნია შემდეგი სამუშაოები:

1. ფოტო-სამხატვრო-სარეპორტაჟო-დეკორატიული, რომელიც ამზადებს, თეატრალური დიდგმების, დრამატურგების, მსახიობების, რეჟისორების სურათებს. აკეთებს სხვადასხვა სახის მხატვრულ სტენდებს, საპატიო

დაფებს, მხატვრულად გაფორმებულ ჩარჩოებს კედლის გაზეთისათვის, დიკრამებს, სქემებს, ლოზუნგებს და ამდაგვარ სხვადასხვა სახის სანახაობათა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეც-შეკვეთით.

აღნიშნულ სამუშაოს სხვადასხვა უბანზე ხელმძღვანელობენ გამოცდილი ოსტატები ი. ქუჩუხელი და ბრიგადირები ნ. ერქომაიშვილი და ვ. მაქსუღოვი.

2. გრიმ-კოსმეტიკის, თმისა და პარიკების დამამზადებელი სამუშაო რომლის ხელმძღვანელია ი. აბრამიშვილი, ხოლო ლაბორანტი ტენოლოგი მ. ბერიძე, სამუშაოს თეატრალური სპეციფიურობის გამო ცალკეულ უბნების დამატებით მეთვალყურეობას უწევენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. მეგლაძე და მსახიობ-გრიმიორი მ. ლედანაშვილი, აქ ამზადებენ ნატურალური თმის პარიკებსა და პარიკებისათვის სხვადასხვა ფერის თმა, გრიმის დამხმარე საცხს „დემის“ სახელწოდებით, პუდრს, ვაზელინს, თმის საღებავ გამას, ტუშს და ყოველივე საჭირო დამხმარე მასალას, რაც მსახიობს სჭირდება სცენაზე ამა თუ იმ როლში, სახის გარეგნული იერის შესაცვლელად. უნდა ითქვას, რომ ეს სამუშაო საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილების ძირითადი სამუშაოა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სანახაობათა დაწესებულებებს და მათში მომუშავე ხელოვანთ, განსაკუთრებით ყურადღება ექცევა სახალწლო-სადღესასწაულო საღამო-მეჯლისების უზრუნველყოფას სხვადასხვა სამკაულებით: ნიღბებით, ტკაცუნებით, სერპანტინით და სხვა.

ასევე საწარმოო განყოფილებას გააჩნია ეგრეთწოდებული „ბუტაფორიული“ ნაწარმის დამამზადებელი სამუშაო, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ დარგში ხანგრძლივად მომუშავე, თეატრის ყოფილი მუშაკი კ. ხუნდაძე. ეს სამუშაო დაწესებულებების შეკვეთით



ამზადებს საჭირო სამკაულს და ცდილობს დაიცვას ხარისხიანობა,

წარმოებასთან არსებობს ევრეთწოდებულ ბელოვური - ძვირფასეულობის - სუვენირული და დამზადარე მექანიკური სამკრო, რომელიც ამზადებს: სუვენირულ ნაწარმს. მაგალითად ბელოვანთა და ჩვენი რესპუბლიკის ღირს-შესანიშნავ ადგილმდებარეობის სურათებს საეტიკალურ ჩარჩოებში, რომლებიც ითვლებიან სუვენირად.

ამ სამკროს ხელმძღვანელობენ ოსტატები თ. ვახვახიშვილი და რ. ვარშამოვი.

საწარმოო განყოფილების მეხუთე სამკროში მზადდება დეკორაციების, ესკიზების, ხელო-ლოვანთ მუშაკების სურათებისათვის ფერის ჩარჩოები ამ სამკროს ხელმძღვანელია ბ. სააკოვი.

დამოლოს საწარმოო განყოფილებასთან არსებობს კიდევ ერთი სამკრო, საამქინძაო და კოლოფების დამამზადებელი. ეს სამკრო რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ავალიანი ძირითადად ემსახურება ზემო ჩამოთვლილ სამკროებს, რომლებსათვისაც მზა-ნაწარმი შესაფუთავ ტარას ამზადებს.

ამგვარად, საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილება მთლიანად ემსახურება რესპუბლიკის სანახაობათა დაწესებულებებს, აწოდებს მათ საჭირო საეც-დამზადარე საგნებს იაფ ფასებში და ხარისხიანად შესრულებულს. დაწესებუ-ლებათა ხელმძღვანელებს შეუძლიათ თეატრალურ საზოგადოების საწარმოო განყოფი-ლებას (კიროვის ქუჩა № 13 ტელეფონი 9-98-41) შეუკვეთონ ან შეიძინონ თავიანთი საჭიროებისათვის სხვადასხვა საგნები და მასალები სათანადო თანხის გადარიცხვით.

ასევე აღსანიშნავია სამკროებში მომუშა-ვეთა ავ-კარგიანობა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოე-ბის სარევიზიო კომისიამ საწარმოო განყო-ფილებაში ჩაატარა დოკუმენტალური რევი-ზია, 1961 წლის 1 აგვისტოდან 1963 წლის 1 ოქტომბრამდე. გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. სათანადო აქტი გადაეცა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. გაცერო, რა სარევიზიო კომისიის აქტს. საზოგადოების თავმჯდომარემ აშხ. დ. კ. ანთაძემ საწარმოო განყოფილებაში არსე-ბული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და-უშვა ბრძანება, რაც მთელ რიგ ღონისძიე-ბებს ითვალისწინებს.

ამასთანავე საწარმოო განყოფილების ცალ-კეულ მუშაკებს გამოეცხადათ მითითება, საყვედური, სასტიკი საყვედური და გა-ფრთხილება.

სარევიზიო კომისიის შემოწმების შედეგად ისიც აშკარა გახდა, რომ წარმოებაში არიან მთელი რიგი მოწინავე მუშაკები, პარტიული და უპარტიო ამხანაგებისა, რომლებიც წლიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და მიუხე-დავად ამისა საწარმოო განყოფილების გასული წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრუ-ლება დაბალ დონეზე იდგა. ამიტომ მიმდის ხარე წლის იანვარში, თეატრალური საზო-გადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ, საწარმოო განყოფილების უფროსმა და საზოგადოებასთან არსებული პარტიურის, პროფკავშირის, კომკავშირის და პარტიულ სახელმწიფო კომისიის ხელმ-ძღვანელებამ, მიწვია სამკროების უფროსე-ბის, მთავარი ოსტატების და მოწინავე მუშა-მოსამსახურეთა თათბირი, სადაც განი-ხილეს მრავალი საჭირობოროტო საკითხები. გამოირკვა; რომ 1963 წლის საწარმოო გეგ-მის შესრულებლობას ჰქონია, თავის ობიექ-ტური მიზეზები, რომლის აღმოსაფხვრელად-დაც მიმდინარე წლისათვის მთელი რიგი ღონისძიებები დაისახა.

მეითთა ბუტაფორიის სამკროს ხელმ-ძღვანელს აითვისოს და გამოუშვას უფრო მეტი რაოდენობის ასორტიმენტი.

მიმდინარე წელს, საწარმოო განყოფილე-ბამ უნდა იზრუნოს როგორც დეკორაციების და დანადგარების დამამზადებელი ასევე სათეატრო ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შემ-კერავი სამკროების ჩამოსაყალიბებლად. სათა-ნადო პროექტი უახლოეს ხანში დასამტკი-ცებლად უნდა წარმოედგინოს პრეზიდიუმს.

პარტიურის უფლებანმა აშხ. ა. ჰელიამ მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს უფრო მეტი გულისყურით მოეპყრონ თავიანთ საქმიანო-ბას, იყვნენ კარგი მაგალითის მაჩვენებლები მუშაობის და ნაწარმის სარისხის გაუმჯო-ბესებაში.

თათბირზე ყველამ ერთხმად აიღო ვალდე-ბულება, რათა მიმდინარე წელს გადაჭარბე-ბით და ვადაზე ადრე შეასრულოს, როგორც საწარმოო, აგრეთვე საფინანსო გეგმა. გაა-უმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, იზრუნოს თვითღირებულების შესამცირებლად და ნა-წარმის შესაფუთავ ტარას მისცეს უფრო მეტი სიღამაზე. გამოითქვა აზრი, რათა გაიშალოს სამკროთაშორისო სოცშეჯიბრი, რისთვისაც გამოიყო კომისია.

ზემო აღნიშნულ დადგენილებების და ვალდებულების პირნათლად შესრულებისა-თვის თეატრალური საზოგადოების პრეზი-დიუმის ხელმძღვანელობამ წარმოების მუშა-კებს ყოველგვარი დახმარება აღუქვა.

საქართველოს სსრ თეატრების ახალი დადგმები
1963 წ. 1-იანვარიდან 1964 წ. 1 იანვრამდე



რამდენჯერ რამდენ
დაიდგა თეატრში

ოპერისა და მუსკომედიის თეატრებში:

1. ივენანა—ოპერა ლ. ფალიაშვილის, ლიბრეტო ო. ჭელიძის და გ. ნახუცრიშვილის.	5	1
2. დონ-კიხოტი—ბალეტი ლ. მინკუსის	13 (აღდგ)	1
3. შჩელკუნჩიკი—ბალეტი პ. ჩაიკოვსკის	1	
4. რიგოლეტო—ოპერა ჯ. ვერდის	5 (აღდგ)	1
5. ლუჩია—ოპერა დონეციტის	8	1
6. პოემა—ბალეტი—ოთხი დამოუკიდებელი ქორეოგრაფიული ნოველა ფ. ლისტის და ჯ. გერშვინის	4	1
7. თავადი იგორი—ოპერა ა. ბოროდინის	2 (აღდგ)	1
8. შესანიშნავი სამეული—ოპერეტა—მუსიკა გ. ცაბაძის, ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიას	78	1
9. მზის დაბნელება—მუსიკალური კომედია—მუსიკა ვ. ცაგარეიშვილის, ლიბრეტო ბ. გამრეკელის	39	1
10. რომეო, ჩემო ჭეზობელო—მუს. კომედია—მუსიკა რ. გაჯიევის, ლიბრეტო ვ. ესმანის	20	1
11. მეგობრები—მუს. კომედია—მუსიკა რ. ლალიძის, ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიას და რ. ებრაღიძის	36	1
12. ცირკის პრინცესა—ოპერეტა—ლიბრეტო ნ. მერცაღლსკის ნ. ბრამბერის და გრიუმ ვალდის მოტივებზე.	2	1

დრამატულ თეატრებში:

1. მესამე სურვილი	ბ. ბლაჟევი	27	1
2. სასწაულმოქმედი	უ. გიბსონი	27	1
3. ამირანი	დ. გაჩეჩილაძე	36	1
4. ჭინჭრაქა	გ. ნახუცრიშვილის	31	1
5. მეტეხის ჩრდილში	ო. მამფორია	43	2
6. ვახშობის წინ	ვ როზოვი	34	2
7. პეპო	გ. სუნდუკიანი	16	1
8. რღვევა	ბ. ლავრენიევი	32	2
9. კერპი	კრონინი	37	1
10. ბულარა	მ. ჯაფარიძე	51	2
11. უსახელო ვარსკვლავი	სებასტიანი	35	1
12. ლიუბოვ იაროვაია	ტრენევი	25	1
13. აურზაური არაფრის გამო	უ. შექსპირი	22	1
14. კოლხეთის ცისკარი	კ. ლორთქიფანიძე	163	2
15. შესანიშნავი დღე	ი. ზლობინი	73	1
16. ეზოში ავი ძაღლია	კ. ბუაჩიძე	66	1
17. პალატა	ს. ალიოშინი	34	1
18. ჩვეულებრივი სასწაული	ე. შვარცი	27	1
19. ოკეანე	ა. შტიინი	18	1
20. საჭიროა მატყუარა	დ. პსთაისი	37	1

21. ვერაგობა და სიყვარული	შილერი	44	1
22. ჯუმშუდ ვარანდელი	მ. კოჩარიანი	25	1
23. მოხერხებული შეყვარებული	ლოპე-დე-ვეგა	30	1
24. ხიდზე	გ. ზორიანი	24	1
25. ძია ბაღდასარი	ა. პარონიანი	29	1
26. საიათნოვა	ს. ავიანი	28	1
27. ეორე დანდენი	მოლიერი	7	1
28. ტანია	ა. არბუზოვი	4	1
29. რ. ე. ს. (გაიდარის მოთხრობის მიხედვით)	რაზნოვი	12	1
30. ადამიანი დაბრუნდა	ა. აბშილავა	118	3
31. თეთრი ჩრდილები	ო. ჩიჯავაძე	14	1
32. ხელაშვილების ოჯახი	ი. ვაკელი	17	1
33. ირინეს ბედნიერება	დ. კლდიაშვილი	52	1
34. საქმენი აჭიმეთური	გ. შარუაშვილი	35	1
35. მკაცრი ქალიშვილები	კ. ბუაჩიძე	53	1
36. ადამიანი იბადება ერთხელ	ოტ. იოსელიანი	32	1
37. ამაღლებული სოფელი	ვ. კანდელაკი	39	1
38. სიყვარულის წისკელი	მ. შარათაშვილი	36	1
39. მე ვხედავ მზეს	გ. ლორთქიფანიძე		
	ნ. დუმბაძე	234	7
40. ტირიფები მტკვრის პირას	გ. ბერძენიშვილი	46	2
41. მოპარული ბედნიერება	ივ. ფრანკო	7	1
42. მინდვრის დედოფალი	შ. როყვა	24	2
43. გული ხელის გულზე	გ. ბერძენიშვილი	15	1
44. აფროდიტეს კუნძული	ა. პარნისი	15	1
45. ქამუშაძის გაჭირვება	დ. კლდიაშვილი	3	1
46. ბიძია თომას ქოხი	ჰ. ბიჩერ სტოუ	62	2
47. მე, ბებია, ილიკო და ილარიონი	ნ. დუმბაძე		
	გ. ლორთქიფანიძე	55	2
48. თეთრი ღამურა	დ. თაქთაქიშვილი	6	1
49. ბედნიერი უილბლო	ო. ჩიჯავაძე	2	1
50. რატომ	მ. შარათაშვილი	5	1
51. ცხოვრების ჯარა	ა. კაკაბაძე	5	1
52. ყვარყვარე თუთაბერი	პ. კაკაბაძე	17	2
53. ჩემი ყვავილედი	მ. შარათაშვილი	1	—
54. უცხოური ჩემოდანი	დ. უგრემოვი	18	1
55. და-ცმა	ვ. გუნია	67	1
56. სასჯელის შიშით	პ. გრუზინსკი	86	1
57. სახსოვარი	ს. მოვარაძის	18	1
58. მამის კვალზე	დ. კვიციანიძე	10	1
59. სიყვარულის ძალა	გ. ბერძენიშვილი	9	1
60. სიმღერის შეთხზვა იოლი როდია	ნ. თარბა	15	1
61. ივანე აფხაზი	მ. ჩამაგუა	46	1
62. სამი მინიატურა	დ. გულია, შ. ქაღლა,		
	ა. ჩეხოვი	17	1
63. კლოდის ცოლი	ა. დიუმა (შვილი)	26	1
64. ლვთაბრძივი კომედია	ი. შტოკი	7	1
65. სისხლიანი ქორწილი	ფ. ვარსია ლორკა	3	1
66. ოჯახური აურზაური	მ. მეიო და ენეკენი	69	1
67. როგორ მოვარჯულოთ ცოლი	ჯ. ფლეტჩერი	119	2
68. დამოკლეს მახვილი	ნ. ჰიქმეთი	13	1

69. მედეა	ლ. სანიკიძე	55	1
70. შემთხვევა გზაზე	გ. ივანიშვილი	79	2
71. პატიმარი 702 (სახელგანთქმული 702)—მიროდინი	ლ. მილორაფა	13	1
72. მრუდე კიბე	სოფოკლე	1	—
73. მეფე ოიდიპოსი	ა. სამსონია	8	1
74. ჩემი შვილი სიმონი	კ. ვიტლინგერი	8	1
75. ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცო	ა. შარტანოვ-ასკერბი	7	1
76. ხანძიგუასა	მ. მაძიევი	50	2
77. მისაგებელი	მ. ტუაიევი და	19	1
78. სხვის ცხენზე ნუ შეჯდები	ა. იარალოვი	38	1
79. ლეგენდა სიყვარულზე	მ. გაგლოევი	17	1
80. ხასანა	დ. მამსუროვი	28	1
81. პოემა გმირებზე	ს. ხაჩიროვი	4	1
82. მხიარული სტუმარი	გ. მუხტაროვი	1	—
83. უთავო მხედარი	მაინ რიდი	62	1
84. ძალად ექიმი	შოლიერი	25	1
85. წეროები	მ. გოგოლაშვილი	9	1
86. ცეკვის მასწავლებელი	ლომე-დე-ვევა	46	1
87. ნაცარქექია	გ. ნახუცრიშვილი	23	1
88. ძუნწი	გ. ერისთავი	48	1
89. ხიდს იქით	ა. მილერი	14	1
90. ბახტრიონი	დ. გაჩეჩილაძე	14	1
91. 93 წელი	ვ. პიუგო	6	1
92. ბრაკონიორები	ე. რანეტი	7	1
93. მოხუცის გული	ლ. მილორაფა	59	1
94. მაცი ხვითა	ან. ფურცელაძე	21	1
95. აპრაკუნე	ი. ვაკელი	31	1
96. გრიგალი	ვიონოვიჩი	15	1
97. ფიფქა და შვიდი ჯუჯა	ლ. უსტინოვა და ო. ტაბაკოვი	33	1
98. ალგები	ვ. გოგოლაშვილი	58	1
99. ვოვა და პლანეტა აწიამედე	კარასტილოვი	71	2
100. თეთრად ფრიალებს აფრა ეული	ვ. კატევი	8	1
101. ცისკარაულების ბუდე	რ. ბეჟანიშვილი	1	—
102. ჩექმებიანი კატა	მაკაროვი (პეროს მიხედვით)	1	—
103. პრინცესა ტურანდოტი	ფ. შილერი	53	1
104. ბრაზილიის საუნჯე	მარია კლარა მაშადუ	52	1
105. გზა მშვიდობისა	ვ. როზოვი	32	1
106. სომბრერო	ს. მიხალკოვი	20	1
107. დაკარგული დრო	ალ. თაბორიძე	20	1
108. გლახის ნაამბობი	ი. ჭავჭავაძე	61	2
(ინსცენირება)	გ. ნახუცრიშვილის)	80	1
109. ერთი თავის ხახვის მოტაცება	მარია კლარა მაშადუ	35	1
110. მიაი წყნეთელი	ვ. კანდელაკი	35	1
111. წეროს ფრთები	კინოსიტა ძიუდი	35	1
112. პეტრო სორიდოს ალი	ე. მინი და ა. მიჩკოვსკი	51	1
113. რომანტიკოსები	ე. როსტანი	17	1
114. ცოცხალი პორტრეტი	მორეტო	7	1
115. ყოფილი ბიჭები	ნინა ივანტერი	15	1
116. ალისფერი ყვავილი	ი. კარნაუხოვა და ო. ბრაუსეიჩი	32	1

117. მხიარული შემთხვევა	კ. გოლდონი	42	
118. პიფის თავგადასავალი	ე. ჟუკოვსკაია და მ. ასტრახანი	70	
119. დაიკო მელაქუდა	ლ. ვერპიჟკაია	41	1
120. ფიფქიას სკოლა	ლანდაუ	51	1
121. წითელქუდა	ე. შვარცი	69	1
122. ალენუშკა	ი. დანციგერი	38	1
123. ცეროდენა	ა. ბრუშტინი	58	1
124. ქალბებელა	დ. კასრადე (ინსტ. ქ. კასრადის და გ. ჩხაიძის)	49	1
125. დაკარგული საუნჯე	გ. სტეფანოვი	50	1
126. ჩექმებიანი კატა	ლ. ბრაუსევიჩი	54	1
127. კომბლე	გ. ნახუცრიშვილი	1	—
128. ჯოჯოხეთის მოციქულები	ა. შალუტაშვილი	25	1
129. ყვავი, ბუ და მელაქუდა	ს. ცაგარეიშვილი	78	1
130. ამირანი	ლ. მილორაფა	13	1
131. დაიყვირე მამალო	ს. ჭეიშვილი	3	1

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ერთჯერ ნაჩვენებია ის სპექტაკლები, რომლებიც წარმოდგენილი იყო წლის დასასრულს,
30, 31—დეკემბერს.





1964 წლის პირველი კვარტალში

ჩვენმა საზოგადოებამ გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ვაშუქებულია „მოამბის“ პირველ ნომერში, ჩაატარა კიდევ შემდეგი ღონისძიებები:

როგორც ცნობილია გაერთიანებული ერების ქვეკომიტეტის იუნესკოს (კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილება) თაოსნობით დადგინდა, რომ 27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დადგენილებით ეს დღე ჩვენში ტარდება შესაბამისად. ამ მიზნით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიმდინარე წლის 27 მარტს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად აღნიშნა თეატრის საერთაშორისო დღე. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ან. თ. ბუაჩიძემ, (რის შემდეგაც მოხსენებით თემაზე.) — „27-მარტი თეატრის საერთაშორისო დღე“ გამოვიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ან. დ. ანათაძე.

სიტყვებით გამოვიდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტები, ვ. გომიაშვილი, ო. დიმიტრიადი და აკ. ვასაძე, რესპ. სახ. არტისტი დ. ალექსიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბელოუსოვა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ევაძე.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებისა რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრში საზოგადოების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სპექტაკლების განხილვისა და მათ მიღებაში. ასე მაგალითად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა გ. ციციშვილმა მონაწილეობა მიიღო სოხუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის გ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“ მიღებაში. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გომიაშვილმა თელავის

თეატრში — „უთაფო მხედარი“, ვ. კვიციანიძე — ბათუმის თეატრში „მინდია“ დოც. ბ. ნიკოლაიშვილმა, რომელმაც აგრეთვე ჩაწერა სპექტაკლი სასცენო მეტყველების თელავის თეატრში.

ამავე დროს საზოგადოების ხაზით თეატრის თვითმოქმედ კოლექტივებში და კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ხაზით წაკითხული იქნა მოხსენებები: „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება“ — კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ოსურ კოლექტივში, მომხსენებელი რესპ. სახ. არტისტი არ. ჩხარტიშვილი, „გრიმი სპექტაკლში“ და „გრიმის ტექნოლოგია“ — ბორჯომის სახალხო თეატრში, მომხსენებელი გრიმის ოსტატი მ. დედანაშვილი, ძერჟინსკის სახელობის კლუბში — „გიორგი ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება“ მომხსენებელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუნჩიკაშვილი, სოხუმის კულტურის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტში — მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლები“ და „აღამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს“ — მომხსენებელი ფილოსოფიური მეცნიერებათა დოქტორი ი. თავაძე და სხვა.

გადახალისდა და განაახლეს მუშაობა საზოგადოების სამეცნიერო — შემოქმედებითი განყოფილებასთან არსებულმა სექციებმა.

რეჟისორისა და მსახიობისა, რომელშიაც შედიან ხელ. დამსახურებული მოღვაწე, ს. ქელიძე (თავმჯდომარე), რეჟისორი ან. ქუთათელაძე (მოადგილე) რესპ. დამსახურებული არტისტი თ. თეთრაძე (მდივანი), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები მ. კვალიაშვილი, შ. კილოსანიძე, გ. მიქელაძე რესპ. დამსახ. არტისტები თ. თარხნიშვილი, მ. პიასეცი და რეჟისორი მ. გიჟიყვრილი.

აღნიშნულმა სექციამ შეადგინა 1964 წლის სამოქმედო გეგმა და შეუდგა მუშაობას.



გენიალური დრამატურგის იულიამ შექსპირის დაბადებიდან 400 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სექციამ მონაწილეობა მიიღო საიუბილეო სამეცნიერო სესიის პროგრამის შემუშავებაში, რომელიც საზოგადოების ხაზით უნდა ჩატარდეს.

სამხატვრო-სადადგმო ნაწილის სექციამ, რომლის ბიუროშიაც შედიან ხელ. დამსახ. მოღვაწე ვ. ლაპიაშვილი (თავმჯდომარე), ლ. ლომთათიძე (მდივანი), ხელოვნების დამ-

სახურებელი მოღვაწეები ელენე ახვლედიანი, ს. ქობულაძე, დ. თავაძე, ს. ვირსალაძე და კ. ჩანკვეტაძე. ამ თავითვე ფართოდ გაშალა მუშაობა, რათა უკრაინის დედაქალაქ კიევში მიმდინარე წელს მოეწყოს ქართველი საბჭოთა თეატრალური მხატვრის ნამუშევართა გამოფენა, ხოლო კიეველი მხატვრებისა თბილისში, მონაცვლებითი ხასიათის ღონისძიება უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ ორი მოძმე ხალხის შემომქმედებითი მუშაკების დამეგობრებას.





КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

27 марта—международный день театра

В Советском Союзе день театра—смотр идейно-художественного уровня советского театрального искусства, его растущей роли в деле формирования человека коммунистического общества, дружеских связей между народами мира.

Международный институт театра объединяет уже 50 стран. Организованный по его инициативе „Театр национальностей“ ежегодно с марта по июнь месяц подытоживает театральный сезон мира. В нем постоянно принимают участие и советские театры. Руководствуясь принципами социалистического реализма, встречами художественной интеллигенции с руководителями партии и правительства, в особенности решениями июньского пленума ЦК КПСС, многонаци-

ональный советский театр выносит свои достижения на мировую арену искусства.

Соответственно с общим подъемом советского искусства, за прошедший год после знаменательной встречи деятелей культуры с руководителями партии и правительства, в грузинском театре много улучшилось в смысле решения вопросов современности в драматургии, роста творческих кадров и сети народных театров. Стимулирующим фактором в дальнейшей работе является учреждение премии имени Ш. Руставели. Но великое назначение советского театра не разрешает оставаться на достигнутом. Советский народ требует большего и театр его должен оправдать—это великое доверие.

Юбилей Георгия Эристави

14 января 1964 г. в малом зале театра имени Руставели театральная общественность Грузии праздновала 150 летие со дня рождения выдающегося писателя-реалиста и театрального деятеля, основоположника нового профессионального театра Георгия Эристави. Вечер со вступительным словом открыл министр культуры Грузинской ССР Т. П. Буачидзе. С докладом о жизни и творчестве Г. Эристави выступил исследователь творчества писателя проф. Д. Гамезардашвили. После доклада коллектив театра Руставели показал „Вечер поэзии“ в двух частях.

15 января в Доме работников искусств Театральное общество Грузии устроило научную сессию, посвященную Г. Эристави. Сессию открыл председатель президиума Театрального общества нар. арт. Д. Антадзе. Были прослушаны три доклада: Д. Гамезардашвили—жизнь и творчество Г. Эрис-

тави Д. Джanelидзе—Г. Эристави—основоположник грузинского реалистического театра, Г. Бухникашвили—14 января—день грузинского театра.

Присутствующие на сессии товарищи выступили с рядом предложений: привести в порядок могилу Г. Эристави, в будущем праздник театра отмечать шире и многообразней, издать произведения Г. Эристави на русском языке и др.

Следующий вечер, посвященный юбилею Г. Эристави состоялся в г. Гори.

20 февраля в Гос. педагогическом институте состоялся совместный вечер института иностранных языков и Театрального института им. Руставели. Вечер открыл доц. Ш. Кочорадзе. Присутствующие выслушали два доклада; Д. Джanelидзе—Г. Эристави основоположник грузинского реалистического театра и М. Гогсадзе—театр Г. Эристави и театральная критика. Во втором отделении—концерт.



ისეთი სპოტიკსმენები, რომლებსაც წარმატებებმა თავბრულდახვიეს: ლიბრეტოში ნაჩვენებია მეგობრობა და ნამდვილი სიყვარულის ძალა.

სპორტის თემა დღეს ჩვენს ლიტერატურა-სა და ხელოვნებაში ფართოდ იკიდებს ფეხს. იგი საფუძვლად დაედო ბევრ საინტერესო საპეტაკლსა და კინოფილმსაც. მათი უმეტესი ნაწილი კომედიის ფორმითაა წარმოდგენილი.

„მეკარეში“ ძირითადი დრამატურგიული ხაზი არაა მკვეთრი და სხვა სიუჟეტურ ხაზებთან არაა მთლიანობაში. დრამატურგი დიდი რაოდენობით იყენებს სიტყვის კომიზმს, ეს კი ხელს უშლის კომედიის გამორების ხასიათების გამოკვეთას. ისინი სტემატურ სახეებად რჩებიან, რომელთაც არ გააჩნიათ ინდივიდუალური თვისებები, ამიტომაც ისინი ადვილად გადადიან ერთი პიესიდან მეორეში. ასეთებია: ლევან ხუნდაძე — „მეკარეში“, მიხეილ „შესანიშნავი სამეულში“, დიმიტრი ჭკუასელი და ნიკო ნამორაძე „ორ ქალიშვილში“ და სხვა.

საპეტაკელი „მეკარე“ აქტიორულად ძლიერია. დამაჯერებელია ელენე ჩოხელის მიერ შექმნილი სახე. ასევე პროფესიონალურად სრულყოფილია ვ. სალარიძის, ვ. იანვარაშვილის, ი. ქუთათელაძის მიერ განხორციელებული სახეები, რომელთაც გვერდით უდგათ ნიჟიერი ახალგაზრდები თ. მერკვილაძის, თ. ხელაშვილის, ზ. კახიანის, ი. ვასაძის ლ. ჩიბალაშვილის და სხვათა სახით.

იგივე ავტორს ეკუთვნის ოპერეტა „შესანიშნავი სამეულის“ ლიბრეტო. სიუჟეტი მარტივია. ეხება სამი სტუდენტის ცხოვრებას. კუკური ამთავრებს თეატრალურ ინსტიტუტს, მამა კი მის აგრონომობაზე ოცნებობს და თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შეიტყობს რომ შეიღს თავიდანვე უთქვია უარი აგრონომობაზე. ეს სტუდენტში ერთად ცხოვრობენ. ლიბრეტოს დესაწყისშივე პერსონაჟები საოცარ გაუგებრობათა ბადეში იხლართებიან და ბოლოს ყველაფერი კეთილად მთავრდება. მამაც გახარებულია და შეყვარებულებმაც ერთმანეთი მონახეს.

ასეთ დახლართულ კომედიაში ძნელია ერთ გამოკვეთილ იდეაზე და თემაზე ლაპარაკი, მაგრამ ჟანრის გადაწყვეტის საშუალებები კი ნათელია, იგი მიღწეულია გარკვეული კომიზმით.

თუ ავტორს სურდა ეთქვა, რა უნდა იყენებოდა პროფესიის არჩევაში მშობლები ობიექტურები უნდა იყვნენ და ხელი უნდა შეუწყონ მისი ნიჭიერების გამოძვლავებას, მაშინ ეს უნდა ყოფილიყო პიესის ძირითადი იდეა.

საპეტაკლში კარგი აქტიორული ნამუშევრებით გამოირჩევიან თ. ბეგალიშვილის — კუკური, ი. ვასაძე — რომენტი, ვ. იანვარაშვილი — თეო.

ლ. ჭუბაბრიას კომედიას — „სამი უფროსის მსახური“, გააჩნია საინტერესო თემა — პატიოსან კაცს, ოჯახისათვის თვდაღებულ მამას არ სურს დაარღვეოს მოცემული საზოგადოების ფორმების სოციალ-ფსიქოლოგიური წესები და ნორმები, მაგრამ ცხოვრების ზედმეტი ელემენტები აიძულებენ მოიქცეს ისე როგორც მათ აწყობთ. პიესაში მწერლის ალღოთია დანახული იოლი და ბნელი გზების საკითხი, ცხოვრებასთან შემწანური დამოკიდებულების შესახებ. ამდენად პიესა საინტერესოა. მასში მოტანილია ახალი სასუბები, დასმულია საზოგადოებრივი საკითხები უშუალოდ, ყოველგვარი შტამების გარეშე, და პიესა ერთ-ერთი საგულისხმო ნაწარმოებია, მაგრამ აქვს ნაკლოვანი მხარეებიც. ცალკეული გმირები სრულყოფილი არ არის, სახეები ზოგჯერ სტემატურია, ამიტომ მასურბელი ვერ ერკვევა ზოგიერთ გმირში დადებითა ის თუ უარყოფითი.

ძველი ხერხების რესტავრაციის ნიშნებით არის დაწერილი ო. რაზმაძის და ნ. მახარაშვილის ლიბრეტო „ორი ქალიშვილი“.

ხელოვნების ვერცერთი დარგი განმეორებას ვერ ითმენს და იგი ტრაფარეტად იქცევა. ტრაფარეტი, ერთფეროვნება, ყველაფრის გამასხარავება სცენიდან უარყოფითი გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, მის გემოვნებაზე.

„ორი ქალიშვილი“ მცირე სიუჟეტის კომედიაა. პროფესორის მანქანის მძღოლი კიკალო ექიმად მიიღეს. ავტობელოსანი — პროფესორად, ქარაფშუტა ციური პროფესორის რძლიობაზე ოცნებობს, რასაც მისი დედაც უწყობს ხელს და ა. შ.

მთავარია არა სიუჟეტის დახლართვა და გაუგებრობათა რაოდენობის გაზრდა, არამედ ის, თუ რამდენად ლოგიურია ეს გაუგებრობანი და როგორ ემსახურება გონებრივ იდეას. წარმოდგენილ ლიბრეტოში არ არის მოცემული მომქმედ პირთა მთლიანი განვი-



თარების ხაზი. დედის ალერსით განებივრებული და დამოუკიდებლობას შეუჩვეველი ციურის სახის გამოკვეთისადმი უნდა ვამახვილებულყო ყურადღება, მაშინ ამოცანა ნათელი იქნებოდა: მშობლის წვლილი ბეჯითი, შრომის მოყვარე ადამიანის ჩამოყალიბებაში და სხვა.

ჩვენ მაყურებელი მოითხოვს ხელოვნებისაგან, რომ იგი სწორედ ეხმაურებოდეს თანამედროვეობის დიდ მოვლენებს, ამ დიდ ძვრებს, რაც დღევანდელი ადამიანის გონებრივ და სულიერ სამყაროში ხდება. აი, როცა ამ თვალსაზრისით ვუღვებთ ჩვენ დღეს ქართული თეატრის მუშაობის შეფასებას, მაშინ რა თქმა უნდა დაუჭყაყოდლობის გრძნობას იწვევს ქართული დრამატურგიის საგნად სექტანტობის თემის აღება და ქართული მუსიკალური კომედიის თეატრში მისი წარმოდგენა.

ქართველები არასოდეს ყოფილან რელიგიის ორტოდესები. ქართველი ხალხისათვის, მისი ინტელექტუალური ზრდისათვის არასდროს არ წარმოადგენს საშიშროებას არამც თუ სექტანტობა, მთელი ქრისტიანული რელიგიაც კი.

პეტრე გრუზინსკის ლიბრეტო „აბლაბუდა“ სექტანტობის თემაზეა აგებული. სასურველი იქნებოდა კომპოზიტორ სულხან ცინცაძის შესანიშნავი მუსიკა, ქართველ ხალხისათვის სხვა უფრო არსებითი მნიშვნელობის მქონე თანადროულობის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებზე აქცერებულიყო. საჭიროა მუსკომედის თეატრმა მომავალშიაც უფრო მეტად იბრძოლოს სრულფასოვანი თანამედროვე ქართული ლიბრეტოების შექმნაზე, სიუჟეტური კომედიებისა და ოპერეტების შექმნაზე.

მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს: თეატრმცოდნე ვ. კიკნაძემ, მუსიკისმცოდნეებმა ან. წულუკიძემ, მ. ფიჩხაძემ, ხელ. დამსახ. მოღვაწეებმა კომპოზიტორებმა ალ. შავერზაშვილმა და ვ. თორაძემ, ხელ. დამსახ. მოღვაწეებმა რეჟისორებმა მ. კვლიაშვილმა, ბ. გამარჯვებამ და შ. მესხმა, თეატრმცოდნე ელ. კვიციანიამ, კულტურის მინისტრის მოადგილემ აკ. დვალისვილმა და სხვ.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მუსიკალური კომედიის თეატრზე, — აცხადებს სიტყვაში გამოსული თეატრმცოდნე ვ. კიკნაძე, — არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუსიკალური კომე-

დიის თეატრს უაღრესად რთულ მსახიობთა მსახიობიც ესაჭიროება, რომელშიაც ერთის მხრივ გამოხატული იქნება მასში დრამატიული საწყისი, ე. ი. წმინდა აქტიური ფსიქოლოგია, პირველ რიგში უნდა იყოს განცდის მსახიობი და შემოქმედო, ხოლო მეორეს მხრივ მას ექნება მუსიკალური მონაცემებიც. ამ ორივე მხარის შერწყმა, დაცვა და ჰარმონიული განვითარება არის ამ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების სული.

მე არ შემიძლია არ დავეთანხმო მომხსენებელს, განავრძობს ვ. კიკნაძე, — იმ კრიტიკაში, რომელიც მიეცა პეტრე გრუზინსკის, როგორც „აბლაბუდას“ ლიბრეტისტს. რა საჭიროა დღეს სექტანტობაზე ვფიქროთ და დავდგათ სპექტაკლი, როდესაც ისევე ჩვენ ხალხს ამდენი ამაღლებელი პრობლემა აქვს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში მოხდა დიდი ტკივილები, დიდი სიხარული, რატომ არ ამოიღო ხმა ჩვენმა დრამატურგიამ, არ დაიდგა ერთი პიესაც კი ამ ტკივილებსა და სიხარულზე.

ჩემის აზრით კარგი იქნებოდა ლიბრეტოს ავტორს პეტრე გრუზინსკის არ დაეხარჯა თავის ნიჭი და ენერგია ასეთ თემატიკაზე, რადგან ჩვენი ქართველი ადამიანისათვის ეს არ არის დიდი მტკივნეული პრობლემა და არც დამახასიათებელია მისთვის სექტანტობა.

მუსიკის-მცოდნე ანხ. მ. ფიჩხაძემ ილაპარაკა სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებაზე. მან საყვედური გამოთქვა, რომ მუსიკალური კომედიის მუშაობაში ნაკლებად დებულობენ მონაწილეობას ჩვენი წამყვანი კომპოზიტორები. საჭიროა ამ მხრივ თეატრშიც გადადგას ნაბიჯი, რადგან მუსიკალურ თეატრში და საერთოდ ოპერეტაში მუსიკა არის მთავარი; მიუხედავად სუსტი ლიბრეტოს „აბლაბუდაში“ შესანიშნავად შეერს სულხან ცინცაძის მაღალი გემოვნებით დაწერილი მუსიკა. საჭიროა ასეთი თანამშრომლობა თეატრისა და კომპოზიტორს შორის მომავალშიაც გაგრძელდეს.

ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური თეატრის კოლექტივის ხეტიალს, უბინაობის გამო, ბოლო მივღება უახლოეს თვეებში. — აცხადებს ხელ. დამსახ. მოღვაწე, კომპოზიტორი ალ. შავერზაშვილი, — მაგრამ თქმა არ უნდა ახალა შენობაში მას სრულიად



ახლებურად მოუხდებდა წარმართოს თავის შემოქმედებითი მუშაობა. თეატრის ხელმძღვანელობამ აქედანვე უნდა გაითვალისწინოს ის, რომ თეატრის დასჭირდება მათი კარგი დადგმების აღდგენა, ახალი დეკორაციებისა და კოსტუმების დამზადება და შესაძლებელია აქტივობით კადრებით შევსებაც. ორკესტრიც უნდა შეივსოს კვალიფიციურა ორკესტრანტებით. საჭიროა თეატრის მუშაობაში ჩაებას როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორები, რათა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი სანიმუშო თეატრად გადავაქციოდ.

ხელ. დამსახ. მოღვაწემ, რეჟისორმა მის. კვალაიშვილმა ილაპარაკა რა სპექტაკლ „აბლაბუდას“ შესახებ აღნიშნა, რომ სპექტაკლის მუსიკალურმა გაფორმებამ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— კომპოზიტორი სულხან ცინცაძე, — დასძინს ორატორი, — სერიოზულად მიუდგა მუსიკალური კომედიის რთულ პრობლემას და მაღალ დონეზედაც აიყვანა იგი თავისი შესანიშნავი მუსიკით.

აღსანიშნავია სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ზოგიერთი ნაკლოვანებანიც. სრულიად შეუფერებლად მიმაჩნია უფარდო სცენა, სადაც დეკორაციების გადაღმა-გადმოდგმა მაყურებელთა თვალწინ ხდება. მრავალსურათიანობა, სცენაზე მსახიობთა გაუთავებელი მისვლა-მოსვლა და ასევე გაუთავებელი სურათების ცვლა. ყოველივე ეს ხელს უშლის მსმენელებს ცინცაძის მშვენიერი მუსიკის მოსმენაში. ბოლოს არ შემოძლიან არ აღენიშნო ელ. ჩოხელი; ე. გურაშვილის და ე. სალარიძის ბრწყინვალე თამაში.

თეატრმცოდნე ელ. კვიციანი ილაპარაკა მუსიკალური კომედიის შემოქმედებით მუშაობაზე და საერთოდ ოპერეტის ტრადიციებზე წარსულში საქართველოს სინამდვილეში, — ასევე აღნიშნა, რომ „აბლაბუდაში“ არ არის დიდად საჭირობორტო თემა. საგანგებოდ რომ შევადგინოთ მაყურებლის ანკეტა, მივალოთ იმ დასკვნამდე, რომ ეს სპექტაკლი არის უმისამართო, ე. ი. ეს ვერ ახდენს შემოქმედებას აუდიტორიაზე, მაგრამ იმდენად, რამდენადაც სპექტანტობა საქართველოშიც არსებობს, მას ფელეტონები და წერილები ეყოფა.

თბილისის მუსიკალური კომედიის მუსიკალური მუშაობის შესახებ, — აცხადებს მუსიკისმცოდნე ამხ. ა. წულუკიძე, — უკანასკნელ წელს ბევრი ითქვა პრესასა და საზოგადოებაში. ამ თეატრმა უკანასკნელ ხანებში, მიუხედავად რთული პირობებისა მაინც გარდაქმნა თავისი შემოქმედებითი მუშაობა, შექმნა მტკიცე რეპერტუარი.

ქართველ ხალხს გააჩნია გენიალური, დაუზრეტელი იუმორი, ყოველ ხალხურ იუმორულ თქმაში, რაღაც პრობლემა არის. სწორედ ამ იუმორის გავრცელება და გავრდაევალება ჩვენს ხელოვნებას.

პეტრე გრუზინისკის ლიბრეტოს „აბლაბუდას“ შესახებ: პიესა დაწერილია რუსულენაზე და გადმოკეთებულია ქართულად. ს. ცინცაძის მუსიკა შესანიშნავია. მაგრამ სამწუხაროა, რომ მუსიკომედიის თეატრი ასეთ წვრილმან თემაზე ხარჯავს თავის ტალანტს. სპექტანტების ამბავი ჩვენი ხალხისათვის არ არის ისეთი პრობლემა, რომ გვაღელვებდეს.

ქერთული მუსიკალური კომედიის შემოქმედებითი მუშაობასა და მის პერსპექტივებზე ილაპარაკეს აგრეთვე ხელ. დამსახ. მოღვაწე კომპოზიტორმა დ. თორაძემ, ხელ. დანსახ. მოღვაწეებმა ბ. გამარეკელმა და შ. მესხმა. შეაჯამა რა დისპუტის მუშაობა საქ. სსრკ კულტურის მინისტრის მოადგილემ ანხ. აკ. დვალისკომ, რომელმაც განაცხადა, რომ მომავალ სეზონს მუსიკალური კომედიის თეატრი თავის სტაციონატში გახსნის. ცხადია თეატრის ხელმძღვანელობასა და მის შემოქმედ კოლექტივს დასჭირდება თავის მუშაობის ახლებურად წარმართვა. ამაში ცხადია თვითელმა ჩვენგანმა უნდა შეუწყოს ხელი. საქ. სსრკ. კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების ერთერთი დახმარება თეატრისადმი ისიც იქნება, რომ თანამედროვეობის ამსახველ პიესებზე ახლად გამოცხადებულ კონკურსის პირობებში რომელიც უახლოეს დღეებში იქნება გამოქვეყნებული, შეტანილი იქნება აგრეთვე მუსიკალური კომედიის ლიბრეტოების წარმოდგენის პირობებიც, რაც ხელს შეუწყობს რეპერტუარის შევსებას და მის გამდიდრებას.

კანაპროზის მუშაობას

სასცენო მეტყველების მეთოდურმა საბჭომ თავისი გასვლითი სხდომები ჩაატარა ქალაქებში—მახარაძესა და ბათუმში ამა წლის 21, 22 და 23 თებერვალს.

მახარაძის თეატრში მეთოდურმა საბჭომ ნახა დუმბაძისა და ლორთქიფანიძის პიესა „მე ვხედავ მზეს“, ხოლო ილია ქავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში ორი სპექტაკლი: ალ. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“ და კარლ ვილდენბერგის „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“.

გასვლით სხდომებზე საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ რესპუბლიკის სახალხლ არტისტმა დ. ანთაძემ აღნიშნა სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს მუშაობა ქართული სასცენო სწორმეტყველების საკითხებზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აწე ამრიგის თეატრში განზრახულია მეთოდურმა საბჭომ ჩაატაროს სამეცნიერო სესია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს დრამატული თეატრების წარმომადგენლები და რომელიც მიეძღვნება ქართულ სასცენო სწორმეტყველებას. ამჟამად მეთოდური საბჭოს შემადგენლობა ეცნობა მასალებსა და შემდეგ კი მოახდენს შეგროვილი მასალის განზოგადოებას.

აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა ილაპარაკა ქართული სწორმეტყველების საკითხებზე და აღნიშნა, რომ მახარაძის თეატრის სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ზოგიერთი შემსრულებელი არ ჩამოუვარდება თბილისის მსახიობებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხატიას როლის შემსრულებელი მსახიობი ე. დარჩია, კარგაა აგრეთვე სოსიას როლის შემსრულებელი ვ. მექვაბიშვილი, მშენიერი ლუკიას როლის შემსრულებელი მსახიობი რ. ლომინაძე, კესარიას როლის

შემსრულებელი ან. ანდლულაძე და სხვები. მსახიობების მეტყველების შესახებ უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ სცენიდან იკარგებოდა და არ იმყოფა ზოგიერთი მსახიობის ლაპარაკი მაყურებელთა დარბაზში. დოცენტმა მ. შრეველიშვილმა, შენიშნა, რომ ამ სპექტაკლის ნახვას ქონდა დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა. დადებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ამ სპექტაკლში მოვისმინეთ სანიმუშო გურული კილო. ხოლო უარყოფითი—რომ მახარაძის თეატრის მსახიობების ლიტერატურულ მეტყველებაზე ჩვენ ვერ ვიქონიებთ მსჯელობას. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მაყურებელთა დარბაზს მეტად ცუდი აკუსტიკა აქვს და ნაწილობრივ ამისი ბრალიც არის რომ ბევრი რამ იკარგება მსახიობების მეტყველებიდან.

პროფესორმა შ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ მახარაძის თეატრში სპექტაკლის „მე ვხედავ მზეს“ დადგმას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მეტყველების თეატრისთვის. საქმე ისაა, რომ კუთხური კოლორიტის გამოვლენას აქ ბუნებრივი პირობები გააჩნია, და ამგვარად, მახარაძელთა შესრულება ზემოხსენებულ პიესისა შესაძლებელია სამაგალითოდ და სანიმუშოდ მივიჩნიოთ. მართლაც, თუ საქართველოს სხვა თეატრებში ამ სპექტაკლში შეიმჩნევა ერთგვარი სიკრულე და აღრევა ინტონაციის სფეროში და არ არის მიღწეული ერთგვარობა, ერთიანი მელოდიკური ფონი, მახარაძის თეატრში ამის მაგალითს ვერ ვპოულობთ; აქ დიალექტური ინტონაციური თავისებურება შეურყვნელად აოის დაცული და თავისი ბუნებრივი სახით გამოიყურება, თუმცა ალაგ-ალაგ შეიმჩნევა ენობრივი ნატურალიზმის არასასურველი გამოვლინებანი.

მიუხედავად ამ დადებითი გარემოებისა



აქ სასცენო მეტყველების ზოგიერთი მხარე შენიშვნებს იმსახურებს. ზოგიერთი მსახიობის მეტყველება, ასე ვთქვათ „შინაურულია“, „თავისთვის ლაპარაკის“ შთაბეჭდილებას ბადებს და დავიწყებულა ის, რომ საუბარი სცენაზე მიმდინარეობს და ყოველი ფრაზა მსმენელისათვის (მაყურებლისათვის) არის გამიზნული. ამ ე. წ. ენობრივი ნატურალიზმის შედეგია, რომ ზოგიერთი მსახიობის მიერ წარმოთქმული ფრაზები არ ისმის და რბაზში. ეს მნიშვნელოვანი ნაკლია და საჭიროა ამ მიმართულებით სფთავადო მუშაობა იქნეს გაწეული. მეორე მხრივ, — განაგრძობს შ. ძიძიგური, — აღაგ-ალაგ შეიმჩნევა ტექსტისეული ენის შეცვლა: დიალოგი მთლიანად აგებულია გურულ კილოზე, მაშინ როდესაც ავტორს დიალექტის თავისებურებანი დიდი ზომიერებით აქვს დაცული და გვირის მეტყველება მთლიანად და სავსებით არის დაფუძნებული ამ კილოს ფონეტიკურ-გრამატიკულ ქარგაზე. ასეთი ვადახვევანი, ვფიქრობ, უნდა აღიკვეთოს ჩვენ სცენაზე.

საერთოდ სპექტაკლი, შ. ძიძიგურის და სკენით, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

ბათუმის თეატრის სპექტაკლების შესახებ აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა განაცხადა, რომ კარგი შთაბეჭდილება დარჩა. სპექტაკლში „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“ ძალიან მოეწონა მსახიობ გ. გოგობერიძის თამაში, მაგრამ მის მეტყველებაში ბერბა არ მოეწონა და ამ ბერბასთან დაკავშირებული ძ, ც, წ ბერბა, რომლებიც მსახიობის წარმოთქმაში მკაფიოდ არ ისმის, ასე, მაგალითად, სიტყვა „საავადმყოფოს“ წარმოთქმის დროს არ ისმის წინა ს. წარმოთქმაში ამ ნაკლს მსახიობმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

აღ. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“ არის ისეთი სპექტაკლი, რომელშიაც მწვავედ დგას საკითხი ჩვენი დროის ახალგაზრდობის საქციელის შესახებ, რასაც პასუხი უნდა გავცეთ. ახალგაზრდი დრამატურგს მოუძებნია პიესის ძარღვი და მის განხორციელებასაც კარგად ახერხებს, მაგრამ ერთგვარ ვადაქარბებას უნდა ერიდოს და კარგი იქნება თუ ზოგიერთ კორექტივს შეიტანს პიესაში. ამ სპექტაკლში სევასტის როლის შემსრულებელს საქ. რესპ. დამს. არტისტს გ. იმნაიშვილს მკაფიო გამოთქმა ქონდა, მაგრამ ეს იყო გურული კილო. ვფიქრობ,

რომ გურული კილო ზომიერად ყველაზე უფრო გამოყენებული, მსახიობის მეტყველება დიალექტიზმს ემორჩილებოდა ინტონაციურად. საერთოდ, სცენიდან უნდა ისმოდეს სალიტერატურო ენა და ასეთ მეტყველებაში შეიძლება შიგ ჩართული იყო კოლორიტული მომენტები. ჩვენ რომ სცენა ვაქციოთ ენობრივად ნიშნულად, ეს იქნებოდა შეცდომა. მაგრამ სავალალოა ის ვარემოება, რომ სალიტერატურო ენა ხელში არ გვიკავია. უცხო ენის შესწავლის დროს ჩვენ ხელს გვაქვს ხოლმე ფირზე ჩაწერილი სანიმუშო წარმოთქმები. ამ ჩანაწერებს უსმენს სტუდენტი და სწავლობს ენისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას. საჭიროა შეიქმნას ქართული მეტყველების ნიმუშები, ამისათვის შეიჩრეს მსახიობების, ლექტორების, თუ სხვათა მეტყველება და ჩაიწეროს ფირზე.

პროფესორმა შ. ძიძიგურმა თქვა, რომ სასცენო მეტყველების მეთოდურ საბჭოს ჯერ არ გაუშლია მუშაობა მთელი ვაქანებით, და ის თავის მუშაობის შემამზადებელ საფეხურებზე იმყოფება. ჩვენ ჯერჯერობით მასალას ვაგროვებთ. დადგება დრო ამ მასალის განზოგადებისა. ჩვენი ამოცანა არის მოვაგვროთ ქართული სასცენო სწორმეტყველების საკითხი და თუ ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რომ სცენა არის საუკეთესო სარბიელი მეტყველებისა, ამიტომ სასცენო მეტყველების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა არის ის რთული ამოცანა, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს ჩამოყალიბება ხვალვე ვარდამქნის მეტყველების მდგომარეობას ქართულ სცენაზე. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა იქნება სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოსა და თეატრების შემოქმედებითი კოლექტივების ერთობლივი მუშაობა, რასაც ხანგრძლივი დრო დაქირდება.

უნდა ვღიაროთ, რომ წარსულთან შედარებით დღევანდელი დონე სასცენო მეტყველებისა დაქვეითებულია. ეს ვარემოება დაკავშირებული არის საერთოდ ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობასთან. სიკრელი, აღრეულობა, დიალექტების მოძალევა იწვევს იმას, რომ ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურა შეიჩრყა. თუ ისტორიულად ქართული სალიტერატურო

ენა ერთ დიალექტურ წრეს ეყრდნობოდა, ახლა მასში ბევრი დიალექტი ისმის. ლიტერატურულა ენა ისტორიული კატეგორიაა და არა აბსოლუტური. როდესაც ენისათვის ერთი დიალექტი იყო საყრდენი და ამოსავალი, მაშინ სალიტერატურო ენის სტრუქტურაც ერთგვაროვანი იყო, მაგრამ როდესაც სხვა დიალექტებმაც მიიღეს მონაწილეობა სამწერლო ენის შექმნაში, ამან გამოიწვია სიჭრელე. თორემ, სად ჩვენი დროის ენის განვითარების ასპარეზი და სად ლაღო მესხა-შვილის დროის ენისა. ენათმეცნიერები დიდ მუშაობას აწარმოებენ და იბრძვიან ამ საკითხის მდგომარეობისათვის.

როდესაც ჩვენ ვზრუნვით სცენის მეტყველების განვითარებისათვის ჩვენს წინაშე დგება რამდენიმე საკითხი. ჯერ ერთი, სასცენო მეტყველებას მოეთხოვება სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა. მაგრამ როგორ უნდა იყოს პიესაში გმირის ენა? გამოყენებულ იქნას დიალექტი თუ გვირგვინი მეტყველებენ სალიტერატურო ენაზე?

მწიგნობრულ ენაზე მეტყველება ყალბი იქნება და მხატვრული თვალსაზრისით გაუმართლებელი. თუ პიესაში ინტელიგენციაა გამოყვანილი მან უნდა ილაპარაკოს ლიტერატურულ ენაზე, მაგრამ როდესაც პიესაში გამოყვანილია გლეხი, მის მეტყველებას არ უნდა ემჩნეოდეს მწიგნობრული მეტყველების შტაბში, არსებობს სასაუბრო ენის სტრუქტურა, რომელიც განსხვავებულია მწიგნობრულ ენისაგან. ჩვენი ინტელიგენტის მეტყველება სასაუბრო სტრუქტურის უნდა იყოს. სტილურად სასაუბრო მეტყველებას ახასიათებს სიმუხუბე. დრამატურგია უნდა იყოს სასაუბრო მეტყველების ნიმუში. ისმის კითხვა, პიესის გმირი თუ სკოლაგაუფელი გლეხია იგი ლიტერატურული ენით უნდა მეტყველებდეს თუ როგორ? აქ დგას კუთხური ენის გამოყენების ზომიერების საკითხი. ამის ნიმუში იძლევა დ. კლდიაშვილის პიესების პერსონაჟები, ავტორი ზომიერად და აქა-იქ ხმარობს დიალექტურ ფორმებს და ამით მხატვრული ეფექტი მიღწეულია. თუ მწერალი გმირის მეტყველებას მთლიანად დიალექტებზე ააგებს, ეს იქნება ენობრივი ნატურალიზმის გამოვლენა. დრამატურგმა უნდა მონახოს ტიპობრივი ფორმები დიალექტიდან და პიესისათვის ეს საკმარისი იქნება.

მეორე ხერხით, რომელსაც უნდა მიმართავდეს მწერალი და დრამატურგი ეს არის იდიომები, ფრაზეოლოგიზმები, ლექსიკური თავისებურებანი, სიტყვათა საქცევები. ამის მაგალითს შეგვხვდით ალ. სამსონიას პიესაში, რომელსაც კარგად აქვს გამოყენებული სიტყვა ხიდები „შემეხიდე“. ასეთი ფრაზეოლოგიზმები და ლექსიკური დიალექტიციზმი კოლორიტსაც მიანიშნებს და სალიტერატურო ენაშიც გავრცელებდა, როგორც დიალექტში შემუშავებული სალიტერატურო ენისა.

მსახიობმა კი მეტყველებაში კოლორიტის მინიშნების საშუალებად ინტონაცია უნდა გამოიყენოს.

ბოლოს შ. შიძიგური შეეხო ბათუმის თეატრის სპექტაკლების ზოგიერთ ნაკლოვან მხარეს. მან აღნიშნა, რომ მსახიობ ცანავას მეტყველებას ერთი ნაკლი აქვს. წინადადებებს იწყებს აღმავალი მელოდიური ხაზით. წინადადების ბოლო ნაწილი არის ძალიან დაბალი ტონურად, რისგამოც მისი მეტყველება მონოტონურ შთაბეჭდილებას ქმნის. ამ მსახიობის მეტყველებაში ნაკლებია ხმის მოდულაცია. ერთი ფრაზა მეორეს გავს ინტონაციურად. მსახიობმა უნდა იზრუნოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

დოცენტი მ. მრეგლიშვილი ზოგიერთ შენიშვნას აკეთებს მსახიობის მეტყველების მიმართ. მსახიობმა ნ. წერეთელმა მეტყველების ტემპის ზომიერ გამოყენებას, უნდა მიაქციოს ყურადღება, ცანავამ—ხმის გამოყენებას, ხოლო გ. გოგიბერიძემ—წარმოთქმის ნაკლოვანებებს. მსახიობი რ. კაკაურიძე აღრუული დიალექტებით მეტყველებს. მან აღნიშნა, რომ ქართულ თეატრებში მეტყველების თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობა არსად გვინახავს, მაგრამ ამ მხრივ ბევრი რამ ვასაკეთებელია და მოსავარგებელია ქართულ სასცენო მეტყველებაში, რასაც მეთოდური საბჭოს მუშაობა უთუოდ ხელს შეუწყობს.

პროფესორმა დ. ჯანელიძემ თქვა, რომ ალ. სამსონიას პიესაში დაყენებულია სწორმეტყველების საკითხი. სპექტაკლში ხაზგასმულია თუ რას უნდა ვებრძოლოთ ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად. სპექტაკლში მხილებული არიან ჭარგონით, უწყალოდ სიტყვებით მოლაპარაკე ახალგაზრდები. მე-

ტყველების საკითხის ასე მწვავედ გამოხატვა პიესაში დრამატურგის დამსახურებაა. ალ. სამსონიას „ჩემი შეილი სიმონ“ გვიჩვენებს თანამედროვე ახალგაზრდობის როგორც დადებითი ისე უარყოფით მხარეებს. სპექტაკლში იმდენად ხატოვნად, რეჟისორული გამომგონებლობით და მსახიობების შთამბგონებელი თამაშით არის გადმოცემული ახალგაზრდობის საკითხი, რომ სპექტაკლი იდეურ მიზანს აღწევს. უარყოფითი პერსონაჟებს სწორად, მამბილებლად ასრულებენ მსახიობები: შერვაშიძე, საკანდელიძე, ტაყიძე და ტორონჯაძე. ამ კომედიაში დადებითის ჩვენების საკითხიც სწორად არის გადაჭრილი, მაგრამ დადებითი პერსონაჟები პიესაში არ არიან სათანადოდ დატვირთულნი მოქმედებაში. სქემატურად გამოიყურება თალიკოს სახე. მსახიობ ნ. მეისხიძის შესრულება ისეთ თვისებებით არის მოცემული, რომ მაყურებელი გრძნობს, არ შეიძლება ეს ახალგაზრდა მთლიანად გადაგვარდეს, ამიტომ ბუნებრივად გეჩვენებათ, რომ ის დაუბრუნდა შრომას და სახლს. მსახიობ იმნაიშვილის მიერ შექმნილი სევასტის სახე არის თბილი, მართალი და საინტერესო. ლ. აფხაზავა კარგად ანახიერებს ანეტას სახეს. გრამიტონის სახის შემსრულებელი რ. კაკაუაძე გამოიყოფა დიალექტიზმების ქარბი ხმარებით.

რაჟისორ გ. ჟორდანიას როლი განსაკუთრებით ჩანს ამ სპექტაკლში. ეს ახალგაზრდა თეატრალური ინსტიტუტის მიერ არის აღზრდილი და მან ღირსეულად დაიცვა ჩვენი ინსტიტუტის სახელი და მის მიერ

შექმნილ სპექტაკლში გამართლებულია საბჭოთა რეჟისორის, როგორც სპექტაკლის იდეური ხელმძღვანელის მეტად რთული მისია, გ. ჟორდანიამ გაგვახარა თავისი ფანტაზიით და ახალდამწყებ დრამატურგისათვის მხარდაჭერით.

კარლ ვიტლინგერის პიესაში „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“, რომლის დადგმა ეკუთვნის საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. ინასარიძეს, თითოეული მსახიობი ხუთ-ხუთ როლში გვეჩვენება და ყველგან პროფესიონალურ სიმალღეზე დგანან და ზოგიერთი როლის შესრულებაში კი მაღალ ოსტატობას ამჟღავნებენ. ასეთი იყო მსახიობ ნ. წერეთლის მიერ შექმნილი ჰერტრუდის სახე.

და ბოლოს, დ. ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ბათუმის თეატრი დიდი ყურადღების ღირსია. იგი ღირსია ატარებდეს ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელიც ქართულ თეატრს უფრო თხილდებოდა როგორც ქართული მართლმეტყველების კერას.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს ბათუმის თეატრის მსახიობმა საქ. სსრ სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ, აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დიასამიძემ და თეატრის დირექტორმა შ. დავითაძემ, რომლებმაც მაღლობა გადაუხადეს სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს წარმომადგენლებს გარჯისათვის და საქმიანი შენიშვნებისათვის.

საწარმოო განყოფილება

ცნობილია, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოება ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წარმოადგენს. იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საბჭოთა თეატრალურ ხელოვნების განვითარებას, განამტკიცოს თეატრის მუშაკების კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, აღზარდოს თეატრალური მოღვაწეები საბჭოთა პატრიოტიზმის კომუნისტური მორალისა და ეთიკის სულისკვეთებით, ხელი შეუწყოს თეატრალურ მოღვაწეთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და შატერული ხელოვნების ოსტატობის ამაღლებას. ჩაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები იმ მიზნით, რომ საზოგადოების წევრებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს თავიანთი პროფესიის უკეთ დაუფლებისათვის.

თეატრალური საზოგადოება, ათანხმად აავისი წესობისა, საარსებოთ ქმნის ფინანსიურ საფუძველს, როგორც თეატრალურ საზოგადოების წევრთა შესასვლელის და საწევრო შესატანებისაგან, აგრეთვე საზოგადოების დამხმარე საწარმოების შემოსავლებსაგან.

საწარმოო განყოფილება, ძირითად მატერიალურ ბაზას უქმნის საზოგადოების პრეზიდენტს და აძლევს მას საშუალებას ფართოდ გაშალოს მუშაობა, სახელმწიფო და სახალხო თეატრების შემოქმედებითი კოლექტივებში და ასევე საზოგადოების ცალკეულ წევრთა შორის.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილებას, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობს: ბ. სიხარულიძე და მისი მოადგილე ა. ქედიია გააჩნია შემდეგი საამქროები:

1. ფოტო-სამხატვრო-სარეპორტაჟო-დეკორატიული, რომელიც ამზადებს, თეატრალური დადგმების, დრამატურების, მსახიობების, რეჟისორების სურათებს, აკეთებს სხვადასხვა სახის მხატვრულ სტენდებს, საპატიო

დაფებს, მხატვრულად გაფორმებულ ჩარჩოებს კედლის ვაზეთისათვის, დიაგრამებს, სქემებს, ლოზუნგებს და ამდაგვარ სხვადასხვა სახის სანახაობათა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეც-შეკვეთით.

აღნიშნულ საამქროს სხვადასხვა უბანზე ხელმძღვანელობენ გამოცდილი ოსტატები ი. ქურხული და ბრიგადირები ნ. ერქომაიშვილი და ვ. მაქსუდოვი.

2. გრიმ-კოსმეტიკის, თმისა და პარიკების დამამზადებელი საამქრო რომლის ხელმძღვანელია ი. ამრამიშვილი, ხოლო ლაბორანტი ტენილოვი მ. ბერიძე. საამქროს თეატრალური სპეციფიკობის გამო ცალკეულ უბნების დამატებით მეთვალყურეობას უწევენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. მგელაძე და მსახიობ-გრიმიორი მ. ლენინაშვილი, აქ ამზადებენ ნატურალური თმის პარიკებსა და პარიკებისათვის სხვადასხვა ფერის თმ, გრიმის დამხმარე საცხს „დემის“ სახელწოდებით, პუდრს, ვაზელინს, თმის საღებავ გამას, ტუშს და ყოველივე საჭირო დამხმარე მასალას, რაც მსახიობს სჭირდება სცენაზე ამა თუ იმ როლში, სახის ვარდგნული იერის შესაცვლელად. უნდა ითქვას, რომ ეს საამქრო საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილების ძირითადი საამქროა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სანახაობათა დაწესებულებებს და მათში მომუშავე ხელოვანთ, განსაკუთრებით ყურადღება ექცევა სახალწლო-სადღე-სასწაულო საღამო-მეჯლისების უზრუნველყოფას სხვადასხვა სამკაულებით: ნიღბებით, ტკაცუნებით, სერპანტინით და სხვა.

ასევე საწარმოო განყოფილებას გააჩნია ეგრეთწოდებული „ბუტაფორიული ნაწარმის დამამზადებელი საამქრო, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ დარგში ხანგრძლივად მომუშავე, თეატრის ყოფილი მუშაკი კ. ხუნდაძე. ეს საამქრო დაწესებულებების შეკვეთით

ამზადებს საჭირო სამკაულს და ცდილობს დაიცავს ხარისხიანობა,

წარმოებასთან არსებობს ეგრეთწოდებულ ხელოვნური - ძვირფასეულობის - სუვენირული და დამზარე მექანიკური საამქრო, რომელიც ამზადებს: სუვენირულ ნაწარმს. მაგალითად ხელოვნათა და ჩვენი რესპუბლიკის ღირს-შესანიშნავ აღდგომიღმბარეობის სურათებს სპეციალურ ჩარჩოებში, რომლებიც ითვლებიან სუვენირად.

ამ საამქროს ხელმძღვანელობენ ოსტატები თ. ვახუხაშვილი და რ. ვარშაშვილი.

საწარმოო განყოფილების მეხუთე საამქროში მზადდება დეკორაციების, ესკიზების, ხელოვნობის მუშაკების სურათებისათვის ფერის ჩარჩოები ამ საამქროს ხელმძღვანელია ბ. სააკოვი.

დაბოლოს საწარმოო განყოფილებასთან არსებობს კიდევ ერთი საამქრო, საამქინძო და კოლოფების დამამზადებელი. ეს საამქრო რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ავალიანი ძირითადად ემსახურება ზემო ჩამოთვლილ საამქროებს, რომლებსათვისაც მზა-ნაწარმი შესაფუთავ ტარას ამზადებს.

ამგვარად, საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილება მთლიანად ემსახურება რესპუბლიკის სანახაობათა დაწესებულებებს, აწოდებს მათ საჭირო სპეც-დამზარე საგნებს იაფ ფასებში და ხარისხიანად შესრულებულს. დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შეუძლიათ თეატრალურ საზოგადოების საწარმოო განყოფილებას (ჯიროვის ქუჩა № 13 ტელეფონი 9.98-41) შეუკვეთონ ან შეიძინონ თავიანთი საქართველოსათვის სხვადასხვა საგნები და მასალები სათანადო თანხის გადარიცხვით. ასევე აღსანიშნავია საამქროებში მომუშავეთა ავტარგვიანობა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარევიზიო კომისიამ საწარმოო განყოფილებაში ჩაატარა დოკუმენტალური რევიზია, 1961 წლის 1 აგვისტოდან 1963 წლის 1 ოქტომბრამდე. გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. სათანადო აქტი გადაეცა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. გაცნო, რა სარევიზიო კომისიის აქტს, საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. დ. კანთაძემ საწარმოო განყოფილებაში არსებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დაუშვა ბრძანება, რაც მთელ რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

ამასთანავე საწარმოო განყოფილების ცალკეულ მუშაკებს გამოეცხადათ მითითება, საყვედური, სასტაჟი საყვედური და გაფრთხილება.

სარევიზიო კომისიის შემოწმების შედეგად ისიც აშკარა გახდა, რომ წარმოებაში არიან მთელი რიგი მოწინავე მუშაკები, პარტიული და უპარტიო ამხანაგებისა, რომლებიც წლიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და მიუხედავად ამისა საწარმოო განყოფილების გასული წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება დაბალ დონეზე იდგა. ამიტომ მიმდინარე წლის იანვარში, თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ, საწარმოო განყოფილების უფროსმა და საზოგადოებასთან არსებული პარტიულროს, პროფკავშირის, კომკავშირის და პარტიულ სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელებმა, მიიწვია საამქროების უფროსების, მთავარი ოსტატების და მოწინავე მუშა-მოსამსახურეთა თათბირი, სადაც განიხილეს მრავალი საჭირობოროტო საკითხები. გამოირკვა, რომ 1963 წლის საწარმოო გეგმის შეუსრულებლობას ჰქონია, თავის ობიექტური მიზეზები, რომლის აღმოსაფხვრელადც მიმდინარე წლისთვის მთელი რიგი ღონისძიებები დაიხატა.

მიეთითა ბუტაფორიის საამქროს ხელმძღვანელს აიფისოს და გამოუშვას უფრო მეტი რაოდენობის ასორტიმენტი.

მიმდინარე წელს, საწარმოო განყოფილებაში უნდა იზრუნოს როგორც დეკორაციების და დანადგარების დამამზადებელი ასევე სათეატრო ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შემკეოავი საამქროების ჩამოსაყალიბებლად. სათანადო პროექტი უახლოეს ხანში დასამტკიცებლად უნდა წარმოთუღვიონს პრეზიდიუმს.

პარტიულროს მივიანმა ამხ. ა. ჯღღამ მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს უფრო მეტი გულისყურით მოეპყრონ თავიანთ საქმიანობას, იყვნენ კარგი მაგალითის მაჩვენებლები მუშაობაში და ნაწარმის სარისხის გაუმჯობესებაში.

თათბირზე ყველამ ერთხმად აიღო ვალდებულება, რათა მიმდინარე წელს გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შეასრულოს, როგორც საწარმოო, აგრეთვე საფინანსო გეგმა. გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, იზრუნოს თვითღირებულების შესამცირებლად და ნაწარმის შესაფუთავ ტარას მისცეს უფრო მეტი სიღამაზე. გამოითქვა აზრი, რათა გაიშალოს საამქროთაშორის სოცშეჯიბრი, რისთვისაც გამოიყო კომისია.

ზემო აღნიშნულ დადგენილების და ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის ხელმძღვანელობამ წარმოების მუშაკებს ყოველგვარი დახმარება აღუქვა.

საქართველოს სსრ თეატრების ახალი დადგმები
1963 წ. 1-იანვარიდან 1964 წ. 1 იანვრამდე



რამდენჯერ
დაიდგა

რამდენ
თეატრში

ოპერისა და მუსკომედიის თეატრებში:

1. იენანა—ოპერა ლ. თალიაშვილის, ლიბრეტო ო. ქედიძის და გ. ნახუცრიშვილის.	5	1
2. დონ-კიხოტი—ბალეტი ლ. მინკუსის	13 (აღდგ)	1
3. შჩელკუნჩიკი—ბალეტი პ. ჩაიკოვსკის	1	
4. რიგოლეტო—ოპერა ჯ. ვერდის	5 (აღდგ)	1
5. ლუჩია—ოპერა დონეცეტის	8	1
6. პოემა—ბალეტი—ოთხი დამოუკიდებელი ქორეოგრაფიული ნოველა ფ. ლისტის და ჯ. გერშვინის	4	1
7. თავადი იგორი—ოპერა ა. ბოროდინის	2 (აღდგ)	1
8. შესანიშნავი სანეული—ოპერეტა—მუსიკა გ. ცაბაძის, ლიბრეტო ლ. ქუბაბრიას	78	1
9. მზის დაბნელება—მუსიკალური კომედია—მუსიკა ვ. ცაგარეიშვილის, ლიბრეტო ბ. გამრეკელის	39	1
10. რომეო, ჩემო ჭეზობელო—მუს. კომედია—მუსიკა რ. გაჯიევის, ლიბრეტო ვ. ესმანის	20	1
11. მეგობრები—მუს. კომედია—მუსიკა რ. ლალიძის, ლიბრეტო ლ. ქუბაბრიას და რ. ებრაღიძის	36	1
12. ცირკის პრინცესა —ოპერეტა—ლიბრეტო ნ. მერცაღსკის და ბრამბერის და გროუმ ვალდის მოტივებზე.	2	1

დრამატულ თეატრებში:

1. მესამე სურვილი	ბ. ბლაჟევი	27	1
2. სასწაულმოქმედი	უ. გიბსონი	27	1
3. ამირანი	დ. გაჩეილაძე	36	1
4. ჭინჭრაქა	გ. ნახუცრიშვილის	31	1
5. მეტეხის ჩრდილში	ო. მამფორია	43	2
6. ვახშობის წინ	ვ როზოვი	34	2
7. პეპო	გ. სუნდუკიანი	16	1
8. რღვევა	ბ. ლავრენიევი	32	2
9. კერპი	კრონინი	37	1
10. ბუღარა	მ. ჯაფარიძე	51	2
11. უსახელო ვარსკვლავი	სებასტიანი	35	1
12. ლიუბოვ იაროვაია	ტრენევი	25	1
13. აურზაური არაფრის გამო	უ. შექსპირი	22	1
14. კოლხეთის ცისკარი	კ. ლორთქიფანიძე	163	2
15. შესანიშნავი დღე	ი. ზლობინი	73	1
16. ეზოში ავი ძაღლია	კ. ბუაჩიძე	66	1
17. პალატა	ს. ალიოშინი	34	1
18. ჩვეულებრივი სასწაული	ე. შვარცი	27	1
19. ოკეანე	ა. შტეინი	18	1
20. საჭიროა მატყუარა	დ. პსთასი	37	1

21. ვერავგობა და სიყვაროლი	შილერი	44	1
22. ჯუშუმუდ ვარანდელი	მ. კოჩარიანი	25	1
23. მოხერხებული შეყვარებული	ლოპე-დე-ვეგა	30	1
24. ხიდზე	გ. ზორიანი	24	1
25. ძია ბაღდასარი	ა. პარონიანი	29	1
26. საიათნოვა	ს. აგჩიანი	28	1
27. უორჟ დანდენი	მოლიერი	7	1
28. ტანია	ა. არბუზოვი	4	1
29. რ. ვ. ს. (გაიღარის მოთხრობის მიხედვით)	რაზნოვი	12	1
30. აღამიანი დაბრუნდა	ა. აბშილავა	118	3
31. თეთრი ჩრდილები	ო. ჩიჯავაძე	14	1
32. ხელაშვილების ოჯახი	ი. ნაკელი	17	1
33. ირინეს ბედნიერება	დ. კლდიაშვილი	52	1
34. საქმენი აქიმეთური	გ. შარუაშვილი	35	1
35. მკაცრი ქალიშვილები	კ. ბუაჩიძე	53	1
36. აღამიანი იბადება ერთხელ	ოტ. იოსელიანი	32	1
37. ამადლებული სოფელი	ვ. კანდელაკი	39	1
38. სიყვარულის წისკვილი	მ. ბარათაშვილი	36	1
39. მე ვხედავ მხეს	გ. ლორთქიფანიძე		
40. ტირიფები მტკვრის პირას	ნ. დუმბაძე	234	7
41. მოპარული ბედნიერება	გ. ბერძენიშვილი	46	2
42. მინდვრის დედოფალი	ივ. ფრანკო	7	1
43. გული ხელის გულზე	შ. როყვა	24	2
44. აფროდიტეს კუნძული	გ. ბერძენიშვილი	15	1
45. ქაშუშაძის გაჭირვება	ა. პარნისი	15	1
46. ბიძია თომას ქოხი	დ. კლდიაშვილი	3	1
47. მე, ბებია, ილიკო და ილარიონი	ჰ. ბიჩერ სტოუ	62	2
48. თეთრი ღამურა	ნ. დუმბაძე,		
49. ბედნიერი უილბლო	გ. ლორთქიფანიძე	55	2
50. რატომ	დ. თაქთაქიშვილი	6	1
51. ცხოვრების ჯარა	ო. ჩიჯავაძე	2	1
52. ყვარყვარე თუთაბერი	მ. ბარათაშვილი	5	1
53. ჩემი ყვავილეფი	ა. კაკაბაძე	5	1
54. უცხოური ჩემოდანი	პ. კაკაბაძე	17	2
55. და-ძმა	მ. ბარათაშვილი	1	—
56. სასჯელის შიშით	დ. უგრიმოვი	18	1
57. სახსოვარი	ვ. გუნია	67	1
58. შამის კვალზე	პ. გრუზინსკი	86	1
59. სიყვარულის ძალა	ს. მოვარაძის	18	1
60. სიმღერის შეთხზვა იოლი როდია	დ. კვიციანიძე	10	1
61. ივანე აფხაზი	გ. ბერძენიშვილი	9	1
62. სამი შინაიჭურა	ნ. თარბა	15	1
63. კლოდის ცოლი	მ. ჩამაგუა	46	1
64. ღვთაებრივი კომედია	დ. გულია, შ. ქვალუა,		
65. სისხლიანი ქორწილი	ა. ჩეხოვი	17	1
66. ოჯახური აურზაური	ა. დიუმა(შვილი)	26	1
67. როგორ მოვარჯულოთ ცოლი	ი. შტოკი	7	1
68. დამოკლეს მახვილი	ფ. გარსია ლორკა	3	1
	მ. მელი და ენეკენი	69	1
	ჯ. ფლეტჩერი	119	2
	ნ. ჰიქმეთი	13	1

69. მეღეა	ლ. სანიკიძე	55	1
70. შემთხვევა გზაზე	გ. ივანიშვილი	79	2
71. პატიმარი 702 (სახელგანთქმული 702)—მიროდინი		13	1
72. მრუდე კიბე	ლ. მილორავა	1	—
73. მეფე ოდიპოსი	სოფოკლე	8	1
74. ჩემი შვილი სიმონი	ა. სამსონია	8	1
75. ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი	ძ. ვიტლინგერი	7	1
76. ხანძიგუასა	ა. შარტანოვ-ასკერბი	50	2
77. მისაგებელი	მ. მაძიევი	19	1
78. სხვის ცხენზე ნუ შეჯდები	მ. ტუაივი და ა. იარალოვი	38	1
79. ლეგენდა სიყვარულზე	გ. გაგლოვევი	17	1
80. ხასანა	დ. მამსუროვი	28	1
81. პოემა გმირებზე	ს. ხაჩიროვი	4	1
82. მხიარული სტუმარი	გ. მუხტაროვი	1	—
83. უთავო მხედარი	მან რიდი	62	1
84. ძალად ექიმი	მოლიერი	25	1
85. წეროები	ვ. გოგოლაშვილი	9	1
86. ცეკვის მასწავლებელი	ლოპე-დე-ვეგა	46	1
87. ნაცარქექია	გ. ნახუცრიშვილი	23	1
88. ძუნწი	გ. ერისთავი	48	1
89. ხიდს იქით	ა. მილერი	14	1
90. ბახტრიონი	დ. გაჩეჩილაძე	14	1
91. 93 წელი	ვ. ჰიუგო	6	1
92. ბრაკონიორები	ე. რანეტი	7	1
93. მოხუცის გული	ლ. მილორავა	59	1
94. მაცი ხვითა	ან. ფურცელაძე	21	1
95. აპრაქუნე	ი. ვაკელი	31	1
96. გრიგალი	ვიონოვიჩი	15	1
97. ფიფქა და შვიდი ჯუჯა	ლ. უსტინოვა და ო. ტაბაკოვი	33	1
98. ალვები	ვ. გოგოლაშვილი	58	1
99. ვოვა და პლანეტა აწიმაამედ	კარასტილოვი	71	2
100. თეთრად ფრიალებს აფრა იული	ვ. კატაევი	8	1
101. ცისკარაულების ბუდე	რ. ბეტანინიშვილი	1	—
102. ჩექმებიანი კატა	მაკაროვი (პეროს მიხედვით)	1	—
103. პრინცესა ტურანდოტი	ფ. შილერი	53	1
104. ბრაზილიის საუნჯე	მარია კლარა მაშადუ	52	1
105. გზა მშვიდობისა	ვ. რაზოვი	32	1
106. სომბრერო	ს. მიხალკოვი	20	1
107. დაკარგული დრო	ალ. თაბორიძე	20	1
108. გლახის ნაამბობი	ი. ჰეგეზაძე	61	2
109. ერთი თავის ხაზვის მოტაცება (ინსცენირება)	გ. ნახუცრიშვილის) მარია კლარა მაშადუ	80	1
110. მაია წყნეთელი	ვ. კანდელაკი	35	1
111. წეროს ფრთები	კინოსიტა ძიუდი	35	1
112. პუეტრო სორიდოს ალი	ე. შინი და ა. მიჩკოვსკი	51	1
113. რომანტიკოსები	ე. როსტანი	17	1
114. ცოცხალი პორტრეტი	მორტო	7	1
115. ყოფილი ბიჭები	ნინა ივანტერი	15	1
116. აღისფერი ყვავილი	ი. კარნაუხოვა და ო. ბრაუსევიჩი	32	1

117. მხიარული შემთხვევა	ქ. გოლდონი	42	
118. პიტის თავგადასავალი	მ. ჟუკოვსკაია და მ. ასტრახანი	70	1
119. დაიკო მელაქუდა	ლ. ვერბილკაია	41	1
120. ფიფქიის სკოლა	ლანდაუ	51	1
121. წითელქუდა	ე. შვარცი	69	1
122. აღენუშკა	ი. დანციგერი	38	1
123. ცეროდენა	ა. ბრუშტინი	58	1
124. ქალბებელა	დ. კასრაძე (ინსც. ქ. კასრაძის და გ. ჩხაიძის)	49	1
125. დაკარგული საუნჯე	გ. სტეფანოვი	50	1
126. ჩექმებიანი კატა	ლ. ბრაუსევიჩი	54	1
127. კომბლე	გ. ნახუცრიშვილი	1	—
128. ჯოჯობეთის მოციქულები	ა. შალუტაშვილი	25	1
129. ყვაფი, ბუ და მელაქუდა	ს. ცაგარეიშვილი	78	1
130. ამირანი	ლ. მილორაფა	13	1
131. დაიყვირე მამალო	ს. ტეიშვილი	3	1

შ ე ი შ ვ ა : ერთჯერ ნახვევებია ის სპექტაკლები, რომლებიც წარმოდგენილი იყო წლის დასასრულს,
ვმ, 31—დეკემბერს.



1964 წლის პირველი კვარტალი

ჩვენმა საზოგადოებამ გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც გაშუქებულია „მოამბის“ პირველ ნომერში, ჩაატარა კიდევ შემდეგი ღონისძიებები:

როგორც ცნობილია გაერთიანებული ერების ქვეკომიტეტის იუნესკოს (კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილება) თაოსნობით დადგინდა, რომ 27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დადგენილებით ეს დღე ჩვენში ტარდება შესამეჯერ. ამ მიზნით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიმდინარე წლის 27 მარტს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად აღნიშნა თეატრის საერთაშორისო დღე. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ან. თ. ბუაჩიძემ, რის შემდეგაც მოხსენებით თემაზე. — *27—მარტი თეატრის საერთაშორისო დღე* გამოვიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ან. დ. ანთაძე.

სიტყვებით გამოვიდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტები, ვ. გოძიაშვილი, ო. დიმიტრიადი და აკ. ვასაძე, რესპ. სახ. არტისტი და ალექსიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბელოუსოვა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. გვაძე.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებისა რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრში საზოგადოების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სპექტაკლების განხილვასა და მათ მიღებაში. ასე მაგალითად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა გ. ციციშვილმა მონაწილეობა მიიღო სოხუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის გ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“ მიღებაში. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გოძიაშვილმა თელავის

თეატრში — „უთავო მხედარი“, ვ. კიკნაძემ — ბათუმის თეატრში „მინდა“ დოც. ბ. ნიკოლიშვილმა, რომელმაც აგრეთვე ჩაწერა სპექტაკლი სასცენო მეტყველების თვალსაზრისით.

ამავე დროს საზოგადოების ხაზით თეატრის თვითმოქმედ კოლექტივებში და კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ხაზით წაითხულები იქნა მოხსენებები: „შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება“, — კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ოსურ კოლექტივში, მომხსენებელი რესპ. სახ. არტისტი არ. ჩხარტიშვილი, „გრიმი სპექტაკლში“ და „გრიმის ტექნოლოგია“ — ბორჯომის სახალხო თეატრში, მომხსენებელი გრიმის ოსტატი მ. დედანაშვილი, ძერგისკის სახელობის კლუბში — „გიორგი ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება“ მომხსენებელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი, სოხუმის კულტურის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტში — მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლები და „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს“ — მომხსენებელი ფილოსოფიური მეცნიერებათა დოქტორი: თავაძე და სხვა.

გადახალისდა და განაახლეს მუშაობა საზოგადოების სამეცნიერო — შემოქმედებითი განყოფილებასთან არსებულმა სექციებმა.

რეჟისორისა და მსახიობისა, რომელშიაც შედიან ხელ. დამსახურებული მოღვაწე, ს. ჭელიძე (თავმჯდომარე), რეჟისორი ან. კუთათელაძე (მთადგილე) რესპ. დამსახურებული არტისტი თ. თეთრაძე (მდივანი), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები მ. კვალაიაშვილი, შ. კილოსანიძე, გ. მიქელაძე რესპ. დამსახ. არტისტები თ. თარხნიშვილი, მ. პიასცკი და რეჟისორი მ. გიჭიმყრილი.

აღნიშნულმა სექციამ შეადგინა 1964 წლის სამოქმედო გეგმა და შეუდგა მუშაობას.



გენიალური დრამატურგის იულიამ შექსპირის დაბადებიდან 400 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სექციამ მონაწილეობა მიიღო საიუბილეო სამეცნიერო სესიის პროგრამის შემუშავებაში, რომელიც საზოგადოების ხაზით უნდა ჩატარდეს.

სამხატვრო-სადადგმო ნაწილის სექციამ, რომლის ბიუროშიაც შედიან ხელ. დამსახ. მოღვაწე ვ. ლაპიაშვილი (თავმჯდომარე), ლ. ლომთათიძე (მდივანი), ხელოვნების დამ-

სახურებელი მოღვაწეები ელენე ახტელაძე, ს. ქობულაძე, დ. თავაძე, ს. ვირსალაძე და კ. ჩანკვეტაძე. ამ თავითვე ფართოდ გაშალა მუშაობა, რათა უკრაინის დედაქალაქ კიევში მიმდინარე წელს მოეწყოს ქართველი საბჭოთა თეატრალური მხატვრის ნამუშევართა გამოფენა, ხოლო კიეველი მხატვრებისათვის თბილისში, მონაცვლეობითი ხასიათის ღონისძიება უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ ორი მოძმე ხალხის შემომქმედებითი მუშაკების დამეგობრებას.





КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

27 марта—международный день театра

В Советском Союзе день театра—смотр идейно-художественного уровня советского театрального искусства, его растущей роли в деле формирования человека коммунистического общества, дружеских связей между народами мира.

Международный институт театра объединяет уже 50 стран. Организованный по его инициативе „Театр национальностей“ ежегодно с марта по июнь месяц подытоживает театральный сезон мира. В нем постоянно принимают участие и советские театры. Руководствуясь принципами социалистического реализма, встречами художественной интеллигенции с руководителями партии и правительства, в особенности решениями июньского пленума ЦК КПСС, многонаци-

ональный советский театр выносит свои достижения на мировую арену искусства.

Соответственно с общим подъемом советского искусства, за прошедший год после знаменательной встречи деятелей культуры с руководителями партии и правительства, в грузинском театре многое улучшилось в смысле решения вопросов современности в драматургии, роста творческих кадров и сети народных театров. Стимулирующим фактором в дальнейшей работе является учреждение премии имени Ш. Руставели. Но великое назначение советского театра не разрешает оставаться на достигнутом. Советский народ требует большего и театр его должен оправдать—это великое доверие.

Юбилей Георгия Эристави

14 января 1964 г. в малом зале театра имени Руставели театральная общественность Грузии праздновала 150 летие со дня рождения выдающегося писателя-реалиста и театрального деятеля, основоположника нового профессионального театра Георгия Эристави. Вечер со вступительным словом открыл министр культуры Грузинской ССР Т. П. Буачидзе. С докладом о жизни и творчестве Г. Эристави выступил исследователь творчества писателя проф. Д. Гамезардашвили. После доклада коллектив театра Руставели показал „Вечер поэзии“ в двух частях.

15 января в Доме работников искусств Театральное общество Грузии устроило научную сессию, посвященную Г. Эристави. Сессию открыл председатель президиума Театрального общества нар. арт. Д. Антадзе. Были прослушаны три доклада: Д. Гамезардашвили—жизнь и творчество Г. Эрис-

тави Д. Джanelидзе—Г. Эристави—основоположник грузинского реалистического театра, Г. Бухникашвили—14 января—день грузинского театра.

Присутствующие на сессии товарищи выступили с рядом предложений: привести в порядок могилу Г. Эристави, в будущем праздник театра отмечать шире и многообразней, издать произведения Г. Эристави на русском языке и др.

Следующий вечер, посвященный юбилею Г. Эристави состоялся в г. Гори.

20 февраля в Гос. педагогическом институте состоялся совместный вечер института иностранных языков и Театрального института им. Руставели. Вечер открыл доц. Ш. Кочорадзе. Присутствующие выслушали два доклада; Д. Джanelидзе—Г. Эристави основоположник грузинского реалистического театра и М. Гогсадзе—театр Г. Эристави и театральная критика. Во втором отделении—концерт.

и театральной молодежи республики

Ничто не волнует в искусстве так, как разговор о современности. В решениях XXII съезда КПСС июньского пленума не раз говорилось о высоком призвании театра познать и отобразить величие нашей действительности. Для этого необходимо постоянно следить за идейно-художественным ростом всего коллектива театра и качеством его продукции. С этой целью министерство культуры Грузинской ССР, ЦК комсомола Грузии и грузинское театральное общество с 15 ноября по 31 декабря прошлого года провели смотр спектаклей посвященных современности и театральной молодежи. В смотре участвовали творческие работники 21 государственных театров. Жюри просмотрело 45 спектаклей, посвя-

щенных современности и жизни молодежи советских и зарубежных авторов. Обсуждались только пьесы советских авторов о советской современности. Отменены театры, отличившиеся серьезным отношением к смотру. Дается подробный список драматургов, режиссеров, актеров, художников и композиторов, отличившихся своими творческими достижениями и награды, которые они получили. В заключении указывается, что по мнению жюри, несмотря на ряд достижений, в будущем от наших театров надо ожидать более высоких результатов, т. к. они имеют все условия для более глубоких и интересных решений насущных вопросов сегодняшнего дня.

II. Оцхели в Киеве

По инициативе Театрального общества Грузии и Украины 14 февраля 1964 г. в Киеве в выставочном зале союза художников Украины открылась выставка театрально-декоративных произведений П. Оцхели. Открытие выставки вылилось в торжество традиционной дружбы украинского и грузинского народов. В статье дается подробный отчет о вечере, посвященном памяти художника, о выступлении журналиста О. Эгадзе и художника К. Кукуладзе, о докладе театроведа Н. Швангирадзе, посвященном жизни и творчеству П. Оцхели, о выступ-

лениях украинских писателей, художников и театральных деятелей Л. Волмиского, В. Харченко, А. Атояна, А. Драка, Широкова и др. Единодушно высокая оценка творчества П. Оцхели, желание ближе ознакомиться с творчеством театральных художников обеих республик, вызвало к жизни новое мероприятие, продолжающее славное начатое дело творческой дружбы. В результате этого в скором будущем в Киеве и Тбилиси будут организованы выставки театральных художников Украины и Грузии.

Разбор спектаклей тбилисского театра музыкальной комедии им. В. Абашидзе

14 Марта в Доме работников искусств Театральное Общество Грузии совместно с Союзом композиторов Грузии устроило обсуждение спектаклей последних лет театра музыкальной им. В. Абашидзе. Диспут открыл председатель президиума театрального общества нар. артист респ. Д. Антадзе. С докладом „Творческая деятельность

театра музыкальной комедии“ выступил музыковед Г. Торадзе. Он говорил о заметном повышении идейно-художественного уровня коллектива в репертуарно-вокальном отношении, о пополнении труппы выпускниками театрального института, рассказывал о сильных и слабых постановках, разбирая партитуры, либретто, музыкально-вокальное



исполнение как национальных музкомедии, так и композиторов братских республик. Останавливался на отдельных актерских достижениях. Говорил о необходимости увеличения оркестра.

С докладом „Текущий репертуар театра музкомедии“ выступила театровед Н. Швангирадзе. Она говорила о национальных, классических и переводных произведениях, о поисках современной тематики и образа современного героя. Основным недостатком репертуара последних лет докладчик считает тематическую примитивность и однообразие

(любовь и семейные отношения) вместе с литературным материалом разбирает и актерские работы, особо подчеркивая необходимость литературной полноценности либретто.

В прениях приняли участие театроведы, музыковеды, композиторы, режиссеры. Они единодушно приняли повышение творческого уровня театра и необходимость улучшения условий работы (здание, оркестр, постановочная часть).

Диспут подытожил зам. министра культуры грузинской ССР тов. А. Двалишвили.

Методический совет по вопросам сценической речи продолжает работу

21, 22 и 23 февраля 1964 г. методический совет по вопросам сценической речи провел выездные заседания в городах Махарадзе и Батуки. Обсуждались спектакли „Я вижу солнце“ Н. Думбадзе и Г. Лорткипанидзе в драматическом театре г. Махарадзе и два спектакля батумского театра им. И. Чавчавадзе— „Мой сын Симон“ А. Самсония и „Человек со звезды“ К. Виттлигера. В выездных заседаниях принимали участие председатель президиума театрального общества Грузии нар. артист Д. Антадзе, акад. Г. Ахвледиани, проф. Ш. Дзидзигури, проф. Д. Джанелидзе, доц.

М. Мрвлишвили и др. На примерах выше упомянутых трех спектаклей обсуждались вопросы грузинской сценической речи, местного колорита, диалекта, литературной речи, говорилось об отличии сценической речи от жизненно бытовой, о произношении, о конкретных методах совершенствования речи, о связи общего уровня литературного языка с культурой сценической речи и др. Обсуждались и конкретные недостатки отдельных исполнителей.

В статье сообщается, что в апреле 1964 г. состоится научная сессия методического совета, посвященная вопросам грузинской сценической речи.

Производственный отдел театрального общества Грузии

В статье дается характеристика производственного отдела, как материальной базы, дающей возможность развернуть научно—творческую деятельность общества. Рассказано о работе различных цехов (фото-художественного, декоративного, гримерно—косметического, подарочно-сувенирного, переплетного и др.) с точки зрения дешевого и качественного обслуживания зрелищных

предприятий республики. Периодическая проверка работы цехов служит цели улучшения работы производственного отдела.

Дается перечень предложений для дальнейшего улучшения работы производственного отдела—создание новых цехов и конкретных возможностей для улучшения качества продукции.

О деятельности театрального общества Грузии в первом квартале 1964 г.

В статье перечислены мероприятия, проведенные Театральным обществом Грузии кроме уже упомянутых в данном номере Вестника: 27 марта был проведен между-

народный день театра. Со вступительным словом выступил министр культуры Грузинской ССР Т. П. Буачидзе. С докладом о международном дне театра—председатель

президиума театрального общества нар. артист респ. Д. Антадзе. Ряд выступающих товарищей: нар. арт. СССР В. Годзишвили и Ак. Васадзе, нар. арт. респ. Д. Алексидзе, засл. арт. респ. Т. Белоусова, засл. деятель искусств О. Эгадзе и другие говорили о необходимости дружной работы всех поколений творческих работников театра, о необходимости выносить достижения наших театров за пределы республики, о глубоком и основательном изучении прошлого нашего театра.

Указаны спектакли, которые обсуждались на местах. В обсуждениях участвовали

представители разных отраслей науки и искусства: филологи, режиссеры, театроведы, специалисты по сценической речи и др. Дается перечень докладов, прочитанных в самодеятельных коллективах, Они проводились по линии театрального общества и народных университетов культуры. Говорится об участии секции режиссуры и актерского мастерства в проведении шекспировских дней в Грузии, а также о деятельности художественно-постановочной секций в связи с предстоящей в Киеве выставке работ театральных художников Грузии.

ს ა რ ჩ ე ვ ი

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა (მოწინავე)	33
გიორგი ერისთავის იუბილე	
თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლებისა და თეატრალური ახალგაზრდობის რესპუბლიკური დათვალიერება და მისი შედეგები	
პეტრე ოცხელი კიევში	
ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლების განხილვა	
სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო განაგრძობს მუშაობას	2
საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილება	2
საქართველოს თეატრების ახალი დადგმები 1963 წ. 1-იანვრიდან 1964 წლის 1 იანვრამდე.	2
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1964 წლის პირველ კვარტალში	3

СО Д Е Р Ж А Н И Е

	ст.
27 марта—международный день театра (передовая)	3
Юбилей Георгия Эристави	5
Смотр спектаклей, посвященных современности и театральной молодежи республики . 10	
П. Оцхели в Киеве	13
Разбор спектаклей тбилисского театра музыкальной комедии им. В. Абашидзе . . 17	
Методический совет по вопросам сценической речи продолжает работу	22
Производственный отдел Театрального Общества Грузии	26
Новые постановки театров Грузии с 1-января 1963 г. по 1 января 1964 г.	28
О деятельности Театрального Общества Грузии в первом квартале 1964 г.	32

НА ПРАВАХ РУКОПИСИ

Т О Г
В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1964

№ 1 (27)

გადაეცა წარმოებას 12|V 1964 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20|V 1964 წ.

ფორმათა რაოდენობა 2,5

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография-Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 1856

УЭ 06421

Тираж 200

0 114

